ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 ივნისი ოთხშაბათი 2012 №144 (13 750) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭანტურია ლივერპულში?

გიორგი ბრენდან როჯერსის ხუთკაციან სიაში



4

# ინგლისი პირველზე!




9

## უკრაინას გოლი არ ჩაუთვალეს!





8

## შვედებმა კარი გაიჯახუნეს!

...და საფრანგეთი ესპანეთს შეატოვეს

## იტალიას ინგლისთან კიელინი დააკლდება



5

## მეოთხედფინალი

ჩეხეთი VS პორტუგალია
21 ივნისი. ვარშავა. 22:45

გერმანია VS საბერძნეთი
22 ივნისი. გდანსკი. 22:45

ესპანეთი VS საფრანგეთი
23 ივნისი. დონეცკი. 22:45

ინგლისი VS იტალია
24 ივნისი. კიევი. 22:45



## პლატინიმ ხორვატია გალანძღა, ხორვატიამ მსაჯი შტარკი

5



## ქართული ფეხბურთი

სიტუაცია

# დინამო: სირაძისთვის გარანტია არ მიგვიცია


დავით სირაძე

**თბილისის "დინამომ" ოფიციალურად ჯერ მხოლოდ ორი ფეხბურთელი დაიმატა: თორნიკე თარხნიშვილი და გიორგი სეთურიძე. თუმცა, კიდევ რა სიახლეებია, ვის გაუშვებენ და ვის მიიწვევენ, ამის გაჟღერებას არ ჩქარობენ.**

უცნობია ისიც, რა პოზიცია აქვს კლუბს **ალეკო კოშკაძის** აზერბაიჯანულ "ქიაფაზში" და **დავით ოდიკაძის** ზუგდიდის "ბაიაში" შესაძლო ტრანსფერებთან დაკავშირებით.

*"საკადრო საკითხები მთლიანად დუშან უჰრინის კომპეტენციაა და მისი ჩამოსვლის შემდეგ გადაწყდება. მთავარი მწვრთნელი იტყვის, ვინ სჭირდება და ვის გაშვებას გადაწყვეტს. გუნდი 24 ივნისს შეიკრიბება, მოსამზადებელ ეტაპს გაივლის, და კონკრეტულ ფეხბურთელთა შესახებ სიახლეებსაც თვის ბოლოს მოგახსენებთ"* – გვითხრა "დინამოს" პიარ-მენეჯერმა **ლაშა დვალიშვილმა**.

მან კომენტარი გააკეთა **დავით სირაძის** მიერ "ლელოში" გამოქვეყნებულ ინტერვიუს იმ ნაწილზეც, სადაც თავდამსხმელი ამბობდა, რომ ნალჩიკის "სპარტაკთან" კონტრაქტი თბილისის "დინამოში" გადასვლის იმედად გაწყვიტა: *"სირაძე კარგი თავდამსხმელი და ნამდვილი პროფესიონალია, მაგრამ მასთან მოლაპარაკება არც ოფიციალურად და არც იმ დონეზე ყოფილა, რომლის საფუძველზეც ძველ კლუბთან კონტრაქტი რომ გაეწყვიტა. ამის გარანტიები და დაპირებები ჩვენგან არავის მიუცია".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ლევან მჭედლიძე: მენეჯერის ზარს ველოდები
## გერმანია თუ იტალია?

**"ემპოლიმ" პლეი ოფის ორი მატჩის ჯამში "ვიჩენცას" აჯობა და შემდგომ სეზონშიც სერია B-ში თამაშის უფლება მოიპოვა. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა ლევან მჭედლიძემ გუნდის წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა: განმეორებით შეხვედრას "ვიჩენცა" გასვლაზე 2:0-ს იგებდა. "ემპოლის" მთავარმა მწვრთნელმა ალფრედო ალგიეტიმ მოედანზე ქართველი თავდამსხმელი 72-ე წუთზე შეუშვა, რომელმაც ბურთთან პირველივე შეხება მეტოქის კარის ალებით დაასრულა და ანგარიში შეამცირა. მერე მისმა თანაგუნდელებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს და "ემპოლი" დაქვეითებას გადაურჩა.**

*"უმნიშვნელოვანესი და უმძიმესი შეხვედრა მოვიგეთ. როდესაც "ვიჩენცა" 2:0 დაწინაურდა, გულშემატკივრებს იმედი გადაეწურათ, მაგრამ ბოლო წუთებამდე ვიბრძოლეთ, სასწაული მოვახდინეთ და სერია B-ში ადგილი შევინარჩუნეთ"* - ამბობს მჭედლიძე.

22 წლის ქართველმა თავდამსხმელმა გადაწყვეტილება უკვე მიიღო – მას "ემპოლიში" დარჩენა აღარ სურს: *"რაც ამ გუნდში ჩავირიცხე, მას შემდეგ სულ "ვჭიდაობდით", მათ ჩემი დატოვება სურდათ, მე – წასვლა. ადრეც გითხარით, რომ ჩემი "ემპოლიდან" წასვლის დრო დადგა. ახლა ეს უკვე ძალიან მსურს, რადგან საკმაოდ კარგი შემოთავაზებები მაქვს და მალე ჩემი ახალი კლუბი უნდა გაირკვეს. რამდენიმე ვარიანტია გერმანიასა და იტალიაში. მაგრამ კლუბებს ჯერ ვერ დავაკონკრეტებ, რადგან მენეჯერმა ყველაფერი დეტალურად უნდა გაარკვიოს. პასუხი მხოლოდ ამის შემდეგ მეცოდინება".*


ლევან მჭედლიძე

მაისში თურქეთი-საქართველოს ამხანაგურ შეხვედრაში გამოჩნდა, რომ მჭედლიძემ ფორმა აღიდგინა: *"ხანგრძლივი ტრავმების შემდეგ ფორმის სწრაფად აღდგენა ძნელია. საქმეს ისიც მირთულებდა, რომ ხშირად არ მათამაშებდნენ. თუმცა, ნელ-ნელა ჯანი მაინც დამიბრუნდა, შეცვლაზეც ვთამაშობდი და ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ თავდაჯერებულობა და გოლის ალღო დავიბრუნე".*

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ჯაბა კანკავა კრივბასში რჩება?

ინტერნეტ-გაზეთის, "უა-ფუტბოლის" ცნობით, საქართველოს ნაკრების მოთამაშეებს, მცველს **უჩა ლობჟანიძესა** და საყრდენ ნახევარმცველს **ჯაბა კანკავას** კრივოი როგის "კრივბასთან" კონტრაქტი დაუსრულდათ.

წესით, ორივე დნეპროპეტროვსკის "დნიპროში" უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ყველაფერი კრივოიროგელთა ახალი მთავარი მწვრთნელის პოზიციაზეა დამოკიდებული - სეზონის დასრულების შემდეგ **იური მაქსიმოვმა** პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა. მისი შემცვლელი **ვიტალი კვარციანი** კი, როგორც ინტერნეტ-გაზეთი ამტკიცებს, შემადგენლობის გადახალისებას აპირებს.

თუმცა, კანკავა გუნდთან ერთად მოემზადება: კვარციანის თქმით, ქართველი ნახევარმცველი კრივოიროგელებს მეორე შეკრებაზე შეუერთდება.

ასე რომ, შესაძლოა, კლუბები იჯარის ვადის გახანგრძლივებაზე შეთანხმდნენ და ჯაბამ მომდევნო სეზონშ კვლავაც "კრივბასში" ითამაშოს.

**მერაბ მამულაშვილი**


ჯაბა კანკავა

# ანანიძემ ვარჯიში დაიწყო

**ჯანო ანანიძემ** კოჭის ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და მოსკოვის "სპარტაკის" შემადგენლობაში უკვე სრული დატვირთვით ვარჯიში დაიწყო. კოჭის პრობლემების გამო მას ბოლო თვენახევრის განმავლობაში ინდივიდუალური პროგრამით მომზადება უწევდა.

შეგახსენებთ, "სპარტაკის" მთავარ მწვრთნელად ცოტა ხნის წინ "ვალენსიას" ყოფილი თავკაცი **უნაი ემერი** დანიშნეს, რომელიც მალე გადაწყვეტს, სჭირდება თუ არა ქართველი ნახევარმცველი.

იმედი დავიტოვოთ, რომ ჯანოს მომავალ სეზონში მეტი სათამაშო პრაქტიკა ექნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნამდვილად უჯობს "სპარტაკის" დატოვება და თუნდაც შედარებით სუსტ კლუბში რეგულარულად თამაში.

**ლევან ჯანეზაშვილი**


ჯანო ანანიძე

# ფარცვანია ვორსკლას უარყოფს

კიევის "დინამოსა" და უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალური მცველი **თემურ ფარცვანია** უარყოფს გავრცელებულ ხმებს, თითქოს კარიერას პოლტავის "ვორსკლაში" გააგრძელებს.

*"ინტერნეტ-გამოცემებიდან შევიტყვე, რომ "ვორსკლაში" ჩემი იჯარით გაშვებაზეა ლაპარაკი. მაგრამ კიევის "დინამოსთან" მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს. ძირითად შემადგენლობაში არ გადავსულვარ, მაგრამ აქედან წასვლაზეც არ ვფიქრობ"* – ამბობს ფარცვანია.

არადა, ჩვენი ინფორმაციით, უკვე ორი თვეა, მენეჯერები მის ახალ კლუბში გადაყვანაზე მუშაობენ. სწორედ ამ პერიოდში იყო, 21 წლის ზუგდიდელი ბიჭის გადაბირებით გორის "დილა" რომ ინტერესდებოდა. თუმცა, როგორც ჩანს, ფარცვანია ჯერ უფრო მაღალი დონის ლიგაში თამაშს ფიქრობს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ზურაბ ხიზანიშვილი: ფეხბურთელს თავისივე გადასახადი იცავს

**მოთამაშეთა, მწვრთნელთა და საფეხბურთო სამყაროში დასაქმებულთა სოციალური დაცვა საქართველოში საკმაოდ მტკივნეული თემაა. კარიერადასრულებული ზოგიერთი ლეგენდა დღეს გაჭირვებაში ცხოვრობს, აღარაფერს ვამბობთ ნაკლებად ცნობილ მოთამაშეებზე.**

კარიერის შემდგომ რომელ სოციალურ დაცვაზეა ლაპარაკი, როდესაც ჩვენი გუნდების ნაწილი კონტრაქტის პერიოდში მოთამაშის ოპერაციის დაფინანსების ვალდებულებაზეც კი უარს ამბობს.

საკითხი მისახედია, თუ ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ ნორმალური ქვეყანა გავხდეთ. პრობლემა კი აქტუალურია, რაც ცოტა ხნის წინ ერთი ცნობილი მოთამაშის ამბავმა გაგვახსენა, რომელსაც საოპერაციო ხარჯი ესაჭიროებოდა – არადა, ის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახლდათ. პრობლემა შეგვახსენა სპორტკომპლექს "არენაში" გამართულმა საქველმოქმედო მატჩმაც, როდესაც ფეხბურთისა და ფუტსალის ეროვნული ნაკრებების წევრებმა ფუტსალელი **ნიკა მახვილაძის** ოპერაციისთვის აუცილებელი თანხის შეგროვება სცადეს.

ცხადია, ქველმოქმედება მადლიანი საქმეა, მაგრამ ცივილიზებულ ქვეყნებში სოციალური დაცვის პროგრამები ელემენტარული აუცილებლობაა და ოპერაციის ხარჯის შესაგროვებლად ქველმოქმედება აუცილებელი არ არის.


ზურაბ ხიზანიშვილი

საქართველოს ნაკრების კაპიტანი, თურქული "კაისერის" მცველი **ზურაბ ხიზანიშვილი** ამ პრობლემაზე გველაპარაკა.

*"ერთი წელიც არ არის, რაც თურქეთში გადავედი და იქაურ ვითარებაში ნაკლებად ვერკვევი. ამიტომ ბრიტანეთში არსებულ პრაქტიკაზე ვილაპარაკებ, რაც კარიერის შემდგომ მოთამაშეთა სოციალური დაცვის გამართული სისტემის მაგალითად გამოდგება. ყოფილ ფეხბურთელებს ყველანაირად ხელს უწყობენ, რომ შეისწავლონ მწვრთნელის, მენეჯერისა თუ აგენტის პროფესია. რაც მთავარია, ფეხბურთელები პენსიას იღებენ. ეს თანხა მათივე შემოსავლის ნარჩენებია - ხელფასიდან გარკვეულ პროცენტს სახელმწიფოს უხდიან, მაგრამ ეს ფული მხოლოდ ბიუჯეტის საჭიროებას არ ხმარდება. ფაქტობრივად ისე გამოდის, რომ საშემოსავლო გადასახადი მოთამაშეს კარიერის შემდეგ პენსიის სახით უბრუნდება. მართალია, პენსია ხელფასის ოდენობის არ არის, მაგრამ საარსებო მინიმუმზე ბევრად მეტია. ორი აზრი არ არის, ბრიტანეთში ფეხბურთელი დაფასებულია. სამწუხაროდ, ქართულ ფეხბურთში არსებულ მდგომარეობაზე იგივეს ვერ ვიტყვით: ჩვენთან სოციალური დაცვის კუთხით ბევრი რამ არის გასაკეთებელი"* – ამბობს ხიზანიშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

თავისუფალი თემა

# ორი სახე და მუცელი

**საფეხბურთო ბაირამ-ცენტრი ახლა პოლონეთსა და უკრაინაშია, გდანსკიდან ხარკოვამდეა გადაჭიმული. რა გინდა სულო და გულო: თვალს კარგი ფეხბურთითაც გაახარებ და ტრიბუნაზე ატკრიაცლებული, მზის სხივებივით მშვენიერი გოგოებით.**

ევროპამდე კი გზა არის გასასვლელი. რასაც ჩვენ ტელევიზორში ვუყურებთ, მხოლოდ ფასადი არ არის. ევროპელი ხალხი აქამდე მივიდა და ახლა უკრაინაც ჩათრეულია ფერხულში. მერე რა, რომ უკრაინაში **ანგელა მერკელი** და არც სხვა კარგი ქვეყნების მმართველები არ ჩავლენ - ფეხბურთი მაინც უფრო იმ გულშემატკივრისაა, მაღალ საზოგადოებას რომ არ ეკუთვნის.

ფეხბურთის სიყვარული განსაკუთრებულად იქმნება. ეს ისეთი სიყვარულია, სხვა სიყვარულების მსგავსად სისულელეც რომ შეგიძლია დაარქვა. არაერთ ქართველ ბიზნესმენს დაუხარჯავს ფული ფეხბურთში და ბევრს უთქვამს, ეს რა სისულელეს აკეთებსო. ზოგ ასეთ ბიზნესმენს ამის გამო ბიზნესპარტნიორები გამოსცლია ხელიდან, უყაირათო ბიზნესმენი უიმედოდ შეყვარებულს დამსგავსებია, საფეხბურთო ფუნდამენტალიზმი გამხდარა მისი რელიგია.

მართლაც იყო რომანტიზმის ასეთი პერიოდი. ამ ხალხს არავინ ავალებდა საფეხბურთო კლუბის ყოლას, ამას ისინი თვითონ აკეთებდნენ. მათი პარტნიორი კი მხოლოდ გულშემატკივარი იყო.

საქართველოში არ იციან გულშემატკივრობაო - ვინც ამას ამბობს, რკინისებრი არგუმენტებიც მოჰყავს, ოღონდაც მთლად ასე კატეგორიულადაც არ უნდა იყოს საქმე. ჩვენთან მართლაც არის გულშემატკივრობის რაღაც ტრადიციები.

მაგრამ ნურას უკაცრავად – აგურებზე "რეინჯერსის" გულშემატკივრების სახელი და გვარი ყოფილა ჩახატული. გუნდის გულშემატკივარი ამაში ფულს იხდის, მის სულსა და გულს უხარია, რომ საყვარელი გუნდის სტადიონის კედელზე ის სამუდამოდ დარჩება, ამას ხომ მისი შვილთაშვილებიც ნახავენ.

შოტლანდიაზე დიდი კი ინგლისია. იქაურ პრემიერლიგაშიც უფრო მეტი ფული ტრიალებს. ქომაგი ქალაქიდან ქალაქში დაჰყვება საყვარელ გუნდს. ცხოვრება იქაც რთულია. თუ კარგი განათლება არ გაქვს, მძიმე სამუშაოს უნდა მოჰკიდო ხელი. ასეთების ხელფასი ორ-სამ ათას ფუნტამდე ადის. ეს ის თანხაა, პრემიერლიგელი ფეხბურთელის ცოლი თუ მეგობარი გოგო ერთ შოპინგზე რომ ხარჯავს. მაგრამ ინგლისელი ფანი **მეთიუ** ამაზე არ ფიქრობს, მან მატარებლის ბილეთი უნდა იშოვოს მანჩესტერიდან ნიუკასლში წასასვლელად, ფული სენდვიჩისთვისაც ეყოფა, რა თქმა უნდა, ლუდსაც ბევრს დალევს. კალორიებს სტადიონზე წივილ-კივილსა და სიმღერაში დახარჯავს, ის იქ მარტო არ იქნება, მანჩესტერელ მეგობრებთან კარგ დროს გაატარებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი გუნდი წააგებს.

მეთიუს არ აცვია ისე ლამაზად, როგორც მისი საყვარელი გუნდის ფეხბურთელებს და ალბათ არც დარდობს ამაზე, რადგან მას ფეხბურთი უფრო უყვარს, ვიდრე საკუთარი თავი ფეხბურთში. სხვანაირად ის ფეხბურთზე ერთ წასვლაში ას ფუნტამდე არ დახარჯავდა.

ქართველი **თემურას** საქმე სულ სხვაგვარადაა. დედა საბერძნეთშია წასული სამუშაოდ, მამას ოპელ-ასტრა ჰყავს და ტაქსაობს, თვითონ თემურა კი დროებით უმუშევარია. უბანში სასურსათო მაღაზიასთან დგას და იმაზე ფიქრობს, ტოტალიზატორის ბილეთი როგორ შეავსოს. საყვარელ გუნდს სხვა ქალაქში რომ ჩააკითხოს, ძვირი უჯდება.

თემურა და მეთიუ მაინც ჰგვანან ერთმანეთს, ლუდის სმის-





იმ დროს მოვსწრებივარ, როცა მამებს შვილები "დინამოს" დუბლების მატჩებზეც კი დაჰყავდათ. ბაბუები შვილიშვილებით დადიოდნენ ფეხბურთზე. გულშემატკივრობა მაშინ ძალიან კონსერვატორული და ამავე დროს სკაბრეზული გახლდათ. იყო სხვა ფლანგიც – ძირითადად თინეიჯერული, რომელთაც მათზე მოზრდილი ატამანი ჰყავდათ. მათ განკარგულებაში იყო სადად გარითმული შეძახილები, ლურჯ-თეთრი დროშები და პიონერული საყვირები. ლანჩხუთში კი მთელი დასავლეთ საქართველოდან მიდიოდა ხალხი "გურიას" საქომაგოდ, სტადიონი ივსებოდა, თამაშის მერე იყო პურმარილობა, ზეიმის გაგრძელება. საქართველო მერე სხვა ქვეყანა გახდა, სხვანაირი გახდა გულშემატკივრობაც.

....მომიწია რამდენიმე ქვეყანაში ჩასვლამ. პირველი გაკვირვება შოტლანდიაში ნანახმა აგურებმა გამოიწვიეს. "აიბროქსის" სტადიონის ზოგი კედელი დეკორატიული აგურითაა ნაგები, ლამაზ აგურებზე კი სახელი და გვარია ჩახაზული. მეგონა, რომ **ალი მაკოისტის, დევი კუპერის, გრემ სუნესის, მარკ ჰეიტლის, ენდი გორამის** ან კიდევ რომელიმე ლეგენდარული რეინჯერსელის სახელსა და გვარს ამოვიკითხავდი,

გან ორივეს წამოზრდილი მუცელი და წამოჭარხლებული სახე აქვს. ორივეს სული მითებითაა დატვირთული, - ეს ხომ ფეხბურთის აუცილებელი ატრიბუტია. ერთს შეუძლია სტადიონზე ნახოს მთვარესავით გლამურული, მკერდგათქვირული გოგოების გულშემატკივრობა, მეორე კი ამას მხოლოდ ტელევიზორში უყურებს. სამაგიეროდ, თემურას შეუძლია სიგარეტი იქ მოწიოს, სადაც მოუნდება, სტადიონზეც და იმ "მარშრუტკაშიც", რომლითაც ხანადახან საყვარელ გუნდს ჩააკითხავს სხვა ქალაქში. მეთიუს კი ამის უფლებას ინგლისში არ მისცემენ.

სოციალური მოტივები ფეხბურთის კიდევ ერთი აუცილებელი ამხანაგია. მეთიუსა და თემურას ამბავი ერთმანეთს რომ არ ჰგავს, ესეც ფეხბურთის ნაწილია. ადამიანი კი ყველგან ადამიანია და ფეხბურთის სიყვარულიც ყველგან შეუძლიათ.

ერთ ქართველ კლასიკოსს უთქვამს: სიყვარული იმდენად გამძლეა, რაც უფრო მეტი სიმწარე დაგრჩება მისგან.

არა მგონია, რომ ფეხბურთში პირუკუ იყოს...

**დავით თავართქილაძე**

ზესტაფონი



# გაძლიერებისა და წილისყრის მოლოდინში

**"ზესტაფონი" მომავალი სეზონისთვის მზადებას განარძობს. 25 ივნისს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე მეტოქის ვინაობა გახდება ცნობილი, იმავე დღეს კი "ზესტაფონი" ავსტრიულ შეკრებაზე გაემგზავრება, სადაც ოთხ საკონტროლო მატჩს გამართავს. ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი სპარინგ-პარტნიორის ვინაობაა დადგენილი – ეს ხორვატული "ჰაიდუკია".**

16 ივნისს "ზესტაფონმა" საკუთარ სტადიონზე საქართველოს ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასი, მედლები და 100-ათასდოლარიანი ჩეკი ჩაიბარა, რის შემდეგაც ფეროელებმა "დავით აბაშიძეზე" ორმხრივი თამაში ჩაატარეს.

მეტი ამხანაგური შეხვედრა "ზესტაფონს" ჯერ არ გაუმართავს, თუმცა ავსტრიაში გამგზავრებამდე საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ან პირველი ლიგის რომელიმე ბინადართან ერთხელ აუცილებლად ითამაშებს.

რაც შეეხება "ზესტაფონის" ბანაკში მიმდინარე ამბებს, ფეროელებს დაუბრუნდათ **ლევან შარიქაძე**. ახალგაზრდა ნახევარმცველი ხერხემალთან დაკავშირებული მცირე პრობლემების გამო აქამდე ვერ ვარჯიშობდა, მაგრამ ახლა თავს უკვე კარგად გრძნობს და სრული დატვირთვით ემზადება.

უკვე გაცნობეთ, რომ "ზესტაფონი" დატოვეს **გიორგი ონიანმა** და **გოგა ბერაიამ**. პირველი მათგანი კარიერას გორის "დილაში" გააგრძელებს, მეორე კი, სავარაუდოდ, აზერბაიჯანში დაბრუნდება. რაც შეეხება ნორვეგიულ "მიოლდეში" სინჯებზე მყოფ **რატი წინამძღვრიშვილს**, დიდია იმის ალბათობა, რომ მისი საკითხი დადებითად გადაწყდეს.

საქმე იქითკენ მიდის, რომ "ზესტაფონს" დატოვებს და კარიერას საზღვარგარეთ გააგრძელებს მისი ერთ-ერთი ლიდერი **შოთა გრიგალაშვილი**. იყო ვარაუდი, რომ იგი "ზესტაფონს" ევროტურნირებზე დაეხმარებოდა და კლუბს ამის შემდეგ შეიცვლიდა, მაგრამ, სავარაუდოდ, გრიგალაშვილი საქართველოს ჩემპიონს უფრო მალე დაემშვიდობება. ცნობისთვის, იგი "ზესტაფონის" შემადგენლობაში აღარც ვარჯიშობს.

ცნობილი გახდა ისიც, რომ ახალგაზრდა თავდამსხმელ **საბა ლომიას** მარტვილის "მერანში" გაანათხოვრებენ.

რაც შეეხება **დავით სირაძის** საკითხს, მასთან მოლაპარაკებები "ზესტაფონს" ჯერ არ შეუწყვეტია, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მხარეები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ.

ბუნებრივია, "ზესტაფონის" სატრანსფერო აქტიურობა ამით არ ამოიწურება და ჩემპიონთა ლიგის დაწყებამდე იმერული კლუბი შემადგენლობას გააძლიერებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

კოლხეთი

# ფოთელები ხუთ დღეში დაიწყებენ

ფოთის "კოლხეთს" დამდეგი სეზონისთვის მზადება ჯერ არ დაუწყია, თუმცა გუნდი რამდენიმე ფეხბურთელმა უკვე დატოვა და კოლხებიც მათი შემცვლელების ძიებაში არიან.

"კოლხეთიდან" ოთხი ფეხბურთელი წავიდა: **ბექა ტულუში, ლევან წურწუმია, ბოიომო** და **ლაშა გვალია**. კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდათ **დაჩი ფოფხაძეს, დავით ციცხვაიას, ლაშა ქებაძეს, ლადო ნადირაშვილს, ვაჟა ლომაშვილს, გიორგი ცხადაიას, გიორგი კილასონიასა** და **პაატა დათუნაიშვილს**. ეს ფეხბურთელები სხვა გუნდებში გადავლენ თუ ახალ კონტრაქტს გააფორმებენ "კოლხეთთან", ჯერ უცნობია, ფოთელებს სურთ, რომ რამდენიმე მათგანმა ისევ "კოლხეთში" ითამაშოს.

ზღვისპირელები ვარჯიშს 25 ივნისს დაიწყებენ ფოთში, მერე კი სავარაუდოდ, ურეკში წავლენ შეკრებაზე. "კოლხეთის" შეკრებას კვლავაც ნავსადგური დააფინანსებს და არის იმაზე ლაპარაკიც, რომ გუნდი ურეკის ნაცვლად უცხოეთში მოემზადოს.

"კოლხეთში" გვითხრეს, რომ გუნდს სტაბილური დაფინანსება ექნება 2012/13 წლების სეზონშიც. რაც შეეხება სტადიონს, ერთ-ერთ ტრიბუნაზე უკვე დაწყებულია ინდივიდუალური სკამების მონტაჟი და ახალი სეზონისთვის სამუშაოები დასრულებული უნდა იყოს.

**დავით თავართქილაძე**

სამზადისი

# მეტალურგმა სლოვენია მოგებით დაიწყო

რუსთავის "მეტალურგი" რამდენიმე დღეა, რაც სლოვენიურ შეკრებაზე იმყოფება. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** შეკრებაზე ეს ფეხბურთელები წაიყვანა:

მეკარეები: **გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი, გაბრიელ თებიძე**

მცველები: **მიხეილ მახვილაძე, გივი კვარაცხელია, ლაშა ჯაფარიძე, სევასტი თოდუა, გიორგი გავაშელიშვილი, თორნიკე კაკუშაძე**

ნახევარმცველები: **გიორგი ქავთარაძე, ირაკლი მაისურაძე, ლუკა რაზმაძე, რევაზ გეწაძე, ზვიად ლობჟანიძე, გიორგი თექთურმანიძე, შალვა ექვთიმიშვილი, ანზორ სუხიაშვილი, დენის დობროვოლსკი**

თავდამსხმელები: **დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი მიქაბერიძე, ირაკლი სიხარულიძე**

გუშინ "მეტალურგმა" სლოვენიური შეკრების პირველი მატჩი ითამაშა და ლიუბლიანას "ოლიმპია" 1:0 დაამარცხა. გოლი პირველ ტაიმში **გივი კვარაცხელიამ** გაიტანა, ნაკუთხურალ ბურთს შედეგიანი თავური უთავაზა. ბარემ იმასაც გეტყვით, "ოლიმპია" 2011/12 წლების სლოვენიის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა.

მომდევნო საკონტროლო შეხვედრას "მეტალურგი" 22 ივნისს გამართავს ხორვატულ "რიეკასთან".

**დავით თავართქილაძე**

სამზადისი

# ვიტ ჯორჯია დინამოთი იწყებს

უკვე რამდენიმე დღეა, რაც "ვიტ ჯორჯიამ" ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო, თუმცა იმის გამო, რომ უმაღლესლიგელთა უმრავლესობას ჯერ ვარჯიში არ განუახლებია, ვეტერინარებს საკონტროლო მატჩი ჯერ არ ჩაუტარებიათ.

"ვიტ ჯორჯიას" პირველი სპარინგ-პარტნიორის ვინაობა კი უკვე ცნობილია – 26 ივნისს **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე თბილისის "დინამოს" შეხვდება.

რაც შეეხება გუნდის ლიდერების, **გიორგი ჯანელიძისა** და **ლაშა კასრაძის** სავარაუდო ტრანსფერებს, ამ მხრივ ახალი ჯერ არაფერია, თუმცა კვლავაც არსებობს იმის რეალური შანსი, რომ ორივე მათგანმა კარიერა უკრაინული პრემიერლიგის კლუბებში გააგრძელოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ქართული ფეხბურთი

ევრო-2012 სპეციალისტის აზრი

**ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის ბოლო ორი მატჩის შეფასება ცნობილ ქართველ სპეციალისტს, ელგუჯა გუგუშვილს ვთხოვეთ, რომელიც უფრო დეტალურად ინგლისისა და უკრაინის დაპირისპირებას შეეხო. მანვე ევრო-2012-ის მეოთხედფინალების პროგნოზებიც გააკეთა.**

## ელგუჯა გუგუშვილი

# ფეხბურთს თამაშობენ ფეხით, მაგრამ იგებენ თავით



რაც შეეხება საფრანგეთის ნაკრებს, ფაქტია, რომ ამ გუნდმა შვედეთთან მარცხით საქმე ძალიან გაირთულა და მეოთხედფინალში მეტოქედ ესპანეთი ერგო. ამბობენ, თითქოს ეს გუნდი აღორძინების გზას დაადგა, მაგრამ მე მსგავსს ვერაფერს ვამჩნევ. ძალიან მეეჭვება, ფრანგები ამ ევროპის ჩემპიონატზე შორს წავიდნენ.

ზოგადად კი, ფეხბურთს თამაშობენ ფეხით, მაგრამ იგებენ თავით – ფეხბურთში გადამწყვეტ როლს სწორი ტაქტიკა-სტრატეგიის შერჩევა თამაშობს.

უკრაინელებმაც და ინგლისელებმაც ორივე ტაიმში გამართული და თანამედროვე ფეხბურთი ითამაშეს. ორივე გუნდი სწრაფად გადადიოდა დაცვიდან შეტევაში და უკანაც დროულად ბრუნდებოდა. საერთოდ, ძალიან მომწონს ის ტენდენცია, რომ ფეხბურთი კალათბურთის სტილზე გადაეწყო – ყველა შეტევაში და ყველა დაცვაში. გარდა ამისა, უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება კოლექტიურ თამაშს და სულ უფრო და უფრო მცირდება კონკრეტული ვარსკვლავების როლი.

უკრაინის ნაკრებმა ძლიერი გუნდური თამაში შემოგვთავაზა და შეეძლო, არ დამარცხებულიყო – სხვა რომ არაფერი, მასპინძლებს აშკარა გოლი არ ჩაუთვალეს. თუმცა ურიგოდ არც ინგლისელები გამოიყურებოდნენ და მეოთხედფინალში დამსახურებულად გავიდნენ.

აღვნიშნავდი, რომ ინგლისელებმა სულაც არ ითამაშეს ტიპური ინგლისური ფეხბურთი. ისინი უკრაინასთან მიკროკომბინაციებით უტევდნენ და თავით გოლი არ გაუტანიათ.

### მეოთხედფინალის პროგნოზი

**ჩეხეთი–პორტუგალია**

ორი სხვადასხვა სტილის გუნდის დაპირისპირებაში უპირატესობას ჩეხებს მივანიჭებდი.

**ესპანეთი–საფრანგეთი**

ესპანეთის ნაკრებმა ხორვატიასთან არცთუ მაღალ დონეზე ითამაშა, მაგრამ, ვფიქრობ, ესპანელები მეოთხედფინალში თავის საუკეთესო თვისებებს გამოავლენენ და ამ ბარიერსაც გადალახავენ.

**გერმანია–საბერძნეთი**

ფეხბურთში წარმატებას სამი უმთავრესი ფაქტორი განაპირობებს – ტაქტიკა-სტრატეგია, მენტალიტეტი და კადრები. პირველი ორი ორივე გუნდს მაღალ დონეზე აქვს, მესამე კომპონენტში კი გერმანიის უპირატესობა აშკარაა. შესაბამისად, წყვილის უდავო ფავორიტი გერმანიის ნაკრებია.

**ინგლისი–იტალია**

ამ წყვილს გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავს, მაგრამ მცირე უპირატესობას მივანიჭებდი იტალიას, რომელსაც, ჩემი აზრით, მეტოქეზე უფრო მაღალი დონის შემსრულებლები ჰყავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# ჭანტურია ლივერპულის ხუთკაციან სიაშია

**ბოლო** დღეებში **გიორგი ჭანტურიას** თაობაზე რამდენიმე სატრანსფერო ხმა გავრცელდა, რომელთა მიხედვითაც ჰოლანდიური "ვიტესის" ახალგაზრდა ქართველი ფორვარდის შეძენა იტალიურ კლუბებს. "ინტერსა" და "ჯენოას" სურდათ. გუშინ კი ბრიტანულმა ვებგვერდმა ბლეაცჰერრეპორტ.ცომ-მა არანაკლებ საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა – ჭანტურიათი "ლივერპულის" ახალი მთავარი მწვრთნელი **ბრენდან როჯერსი** დაინტერესებულა.

როგორც აღნიშნული გამოცემა წერს, როჯერსს თავისი კლუბის სავარაუდო ახალწვეულთა სია შეუდგენია და ამ სიაში ჭანტურიას გვარიც ფიგურირებს. სტატიაში ქართველი თავდამსხმელი მოკლედაა დახასიათებული და აღნიშნულია, რომ მას თამაშის მანერით მესის ადარებენ, საგოლე ალღოც აქვს და თამაშის გამწვავება და თანაგუნდელთა შედეგიანი გადაცემებით მომარაგებაც შეუძლია.

ისღა დაგვრჩენია, მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ – იმედია, ჭანტურია მიმდინარე სატრანსფერო პერიოდში კარიერაში წინ დიდ ნაბიჯს გადადგამს.



გიორგი ჭანტურია

**ლევან ჯანეზაშვილი**

ევრო 2012

# უკრაინას არ ჰყავს ყიფიანის დარი ფეხბურთელი

**უკრაინის ნაკრებს არ ჰყავს დათო ყიფიანის დარი ფეხბურთელი და დისპეტჩერი, რის გამოც ნაკრებს ძალიან უჭირს წარმატებული თამაში. ამის შესახებ ინგლისის ნაკრებთან მატჩის წინ გვითხრა ფეხბურთის სტაჟიანმა გულშემატკივარმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, დონეცკის ნაციონალური უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა პეტრე დობროვმა, რომელსაც სამეცნიერო და სპორტულ წრეებში ასევე ფეხბურთის ენციკლოპედიას ეძახიან. მან თქვა, რომ ოლეგ ბლოხინს მაინცდამაინც არ უყვარს ტექნიკური და მოაზროვნე იმპროვიზატორი ფეხბურთელები და უპირატესობას ანიჭებს ძალისმიერ ფეხბურთს.**

19 ივნისს მან განაცხადა, რომ უკრაინას უკან დასახევი არ აქვს, ჩვენ ჰაერივით გვჭირდება გამარჯვება ინგლისთან. თავის მიმართვაში **პეტრე დობროვმა** ("შახტიორის" ცნობილი ფეხბურთელის, აწ გარდაცვლილი ვიტალი სტარუხინის დიდი მეგობარი) უკრაინის ნაკრების ფეხბურთელებს მოუწოდა "არ გადავიდნენ შტორმზე ინგლისის წინააღმდეგ, რადგან ინგლისელებს შეუძლიათ კონტრშეტევებით დაგვძლიონ. ოლეგ ბლოხინმა და ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონ პრაგმატული და გონიერი ფეხბურთი, რაც აუცილებლად მოგვიტანს შედეგებს" - აღნიშნა მან. დობროვმა ბლოხინს მოუწოდა უკრაინის ნაკრების შემადგენლობაში შეიტანოს ცვლილებები, კერძოდ, მოედანზე გამოიყვანოს "შახტიორის" კარგად გამოცდილი მცველი **იაროსლავ რაკიტსკი**, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო მტკიცე დაცვას, არამედ მოხერხებულად ერთვება შეტევაში და დირიჟორობს ბიჭების თამაშს.



დავით ყიფიანი

**თენგიზ პაჭკორია**
დონეცკიდან

რეგიონი

# თელავის კახეთი აღდგება

**გუშინ** გაცნობეთ, რომ თელავში **გივი ჩოხელის** სახელობის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო, რომელიც სექტემბრისთვის დასრულდება. ისიც ცნობილია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კახეთის რეგიონულ ფედერაციას მომავალი სეზონისთვის პირველ ლიგაში მოასპარეზე გუნდის ჩამოყალიბება დაავალა.

ამ საკითხთან დაკავშირებით კახეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტს **გოჩა როსტომაშვილს** მივმართეთ, რომლისგანაც საინტერესო სიახლეები შევიტყვეთ.

*"ბოლო წლებია, კახეთს ეროვნული ჩემპიონატის არც ერთ ლიგაში წარმომადგენელი არ ჰყავს, რაც, ბუნებრივია, ძალიან სამწუხარო ფაქტია. მიხარია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და მთავრობამ თელავის სტადიონის რეკონსტრუქცია რომ წამოიწყეს. პირობად კი წამოგვიყენეს, რომ აუცილებლად ავადგინოთ გუნდი. ჩვენ მზად ვართ შემხვედრი ნაბიჯის გადასადგმელად და პირობას ვდებ, რომ მომავალი სეზონიდან საქართველოს ჩემპიონატს თელავის "კახეთი" დაუბრუნდება"*, - გვითხრა როსტომაშვილმა.

მან ჯერ არ იცის, "კახეთი" პირველ ლიგაში იასპარეზებს თუ რეგიონულში, მაგრამ მთავარ ფაქტორად ის მიაჩნია, რომ კლუბის აღორძინებით კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაა დაინტერესებული და არსებობს რამდენიმეწლიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც "კახეთმა" უმაღლეს ლიგაში ადგილი ეტაპობრივად უნდა დაიბრუნოს.

იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ჩანაფიქრი წარმატებით განხორციელდება და კახეთის ფეხბურთი, რომელიც ბოლო წლებში ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა, ნელ-ნელა გამოცოცხლებას დაიწყებს.

როსტომაშვილს იმედისმომცემად ის ამბავი მიაჩნია, რომ ბოლო წლების კრიზისის მიუხედავად, კახეთის არც ერთ რაიონში ბავშვთა საფეხბურთო წრეების ფუნქციონირება არ შეწყვეტილა და იქაურ ფეხბურთს ახალი თაობები ეზრდება. კახეთში ბავშვთა მწვრთნელების უმრავლესობა ლიცენზირებულია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რეგიონი



# იმარჯვეს სამაჩაბლოს პატარებმა

**გორის მიმდებარე სოფელ ტინისხიდის ბალახისა და ხელოვნურსაფარიან სტადიონებზე დასრულდა მინი-ფეხბურთის რეგიონული ტურნირი 12-წლამდელთა შორის დავით ყიფიანის თასზე.**

შეჯიბრება დაგეგმა და ჩაატარა ლევან ჟორდანიას სახელობის საქველმოქმედო ფონდმა, "სახალისო ფეხბურთის ლია სკოლების" წარმომადგენლობამ საქართველოში და შიდა ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციამ. ტურნირში 6 საფეხბურთო სკოლა მონაწილეობდა. გამარჯვება სამაჩაბლოდან დევნილთა გუნდმა „სამაჩაბლომ" (მწვრთნელი **ზურა მაისურაძე**) მოიპოვა. მეორე ადგილზე გავიდა „ქართლი 2011", მესამეზე — სოფელ ტინისხიდის გუნდი.

„ტურნირი ტრადიციულია და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში იმართება. შეჯიბრებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, შიდა ქართლშიც დიდი ინტერესი გამოიწვია, ყმაწვილ მობურთალთა მატჩებს მრავლად ჰყავდა მაყურებელი. პრიზები მერაბ ჟორდანიამ გამოგვიგზავნა" — გვითხრა შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და ამავე რეგიონში "ლია სახალისო ფეხბურთის" კოორდინატორმა **გია რევაზიშვილმა.**

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ფუტსალი

# ნაკრებს ასათიანი გაწვრთნის?

**ფუტსალში** საქართველოს ჩემპიონატის მესამეადგილოსანი „თელასი" მოსკოვში იმყოფებოდა, სადაც პოსტსაბჭოთა ქვეყნების ენერგოკომპანიების ჩემპიონატი ჩატარდა.

ტურნირში სულ 28 გუნდი მონაწილეობდა. **ავთანდილ ასათიანის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „თელასმა" 5 რუსული გუნდი დაამარცხა, მაგრამ ფინალში დამარცხდა.

ცნობისთვის გეტყვით, რომ ასათიანი საქართველოს ფუტსალის ნაკრების მთავარი მწვრთნელიც იყო და მისი დამსახურებაა, გუნდმა წუმპეს თავი რომ დააღწია.

მაგრამ შეიცვალა ფუტსალის ასოციაციის ხელმძღვანელობა და ასათიანი გაათავისუფლეს. თუმცა, შევიტყვეთ, რომ ასოციაციაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ ნაკრების გაწვრთნა კვლავ შესთავაზეს. ასოციაციის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა **ლევან ცქიტიშვილმა** დაგვიდასტურა, რომ ასათიანის კანდიდატურა განიხილება და სავარაუდოდ, ამ სიახლეს უახლოეს პერიოდში დაამტკიცებენ.

**მერაბ მამულაშვილი**




ავთანდილ ასათიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევრო 2012

● ოფიციოზი

## ფინალში ესპანეთსა და გერმანიას ელის

ესპანური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** ევრო 2012-ის სავარაუდო ფინალისტებზე პროგნოზი შემოგვთავაზა. მისი აზრით, ყველაზე ძლიერი გუნდები ტურნირზე გერმანიასა და ესპანეთს ჰყავთ და გადამწყვეტ შეხვედრაში სწორედ ისინი დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდებმა უკვე დაიბევეს 1/4-ფინალის საგზური. სადაც გერმანია საბერძნეთს ხვდება, ესპანეთის მეტოქე კი გუშინ ღამე უნდა გარკვეულიყო. *"ეს გუნდები ფინალურ ეტაპზე უმთავრეს ფავორიტებად მიმაჩნია. ესპანეთს დიდი ხანია, საკუთარი სათამაშო ხელწერა შემუშავებული აქვს, რისი წყალობითაც გუნდი ახერხებს, რომ სხვებზე ნაკლებად დაიღალოს. მათ თამაშებზე ყველაზე მეტს ბურთი მოძრაობს და არა ფეხბურთელი"*, - აცხადებს პლატინი. გარდა ფავორიტებისადმი სიმპათიისა, პლატინიმ ჩემპიონატის ორგანიზატორ ქვეყნებზეც ილაპარაკა და პოლონეთსა და უკრაინას გამარჯვებული ქვეყნები უწოდა: *"მასპინძელთა მიერ გაწეული სამუშაოთი ძალიან*


მიშელ პლატინი

*კმაყოფილი ვარ. ამ ქვეყნებმა უკვე გაიმარჯვეს. ჩემპიონატზე ატმოსფერო 99%-ით ფანტასტიკურია. უამრავი პრობლემის შემდეგ, რასაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ვაწყდებოდით და დიდი ეჭვების მიუხედავად, რაც ბუნებრივად გვიჩნდებოდა, ორივე ქვეყანამ ღირსეულად მოახერხა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ყველაფერი იდეალურად არ არის, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი რამ ჰქონდათ მოსასწრები, ისიც ვერ წარმომიდგენია, ამაზე უკეთ როგორ უნდა მოხერხებულიყო საქმისთვის თავის მობმა"* – განაცხადა მან.

გარდა მიმდინარე ამბებისა, ფრანგმა ფუნქციონერმა უეფას სამომავლო გეგმებზეც გააკეთა კომენტარი. 2013 წელს ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატი ისრაელშია დაგეგმილი. ახლო აღმოსავლეთში არსებული დაძაბული ვითარებისა და ერთი მხრივ ისრაელ-ამერიკასა და მეორე მხრივ ირანს შორის მოსალოდნელი ომის გამო ვითარების განმუხტვა რეგიონში მოსალოდნელი არც არის. უეფას პრეზიდენტის თქმით, ყოველივეს მიუხედავად, მისი ორგანიზაცია არ აპირებს ჩემპიონატის სხვაგან გადატანას. მეტიც, მან ოფიციალურად სთხოვა ისრაელის ფეხბურთის ფედერაციას იმის დადასტურება, რომ ქვეყანა მზადაა ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის სამასპინძლოდ. ევროფორუმის სხვა ქვეყანაში გადატანის მოთხოვნით უეფას პალესტინის ფედერაციამაც მიმართა. მიზეზად ის დასახელდა, რომ ებრაელ სამხედროებს სამი პალესტინელი ფეხბურთელი დღემდე უკანონო პატიმრობაში ჰყავთ

**ლევან ბიბილაშვილი**

## პლატინიმ პირი აიმურალა!
### უეფას პრეზიდენტს ხორვატი ფანები შემოელანძღა



მიუხედავად ჯგუფში ჩარჩენისა, თამამად უნდა ითქვას, რომ ხორვატიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რასაც ვერ ვიტყვით **სლავენ ბილიჩის** გუნდის ულტრას ქომაგებზე, რომლებმაც სამივე მატჩის დროს პეტარდები დაანთეს, იტალიასთან შეხვედრისას კი, „სკუადრა აძურას" შავკანიან ფორვარდ **მარიო ბალოტელის** რასისტული შეურაცხყოფა მიაყენეს – მოედანზე ბანანები გადმოუყარეს.

ეს ძალიან ცუდი საქციელია, მაგრამ უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინის** მაინც არ აძლევს იმის უფლებას, რომ ხორვატიის ნაკრების თუნდაც უკიდურესად ულტრასი ქომაგები უშვერი სიტყვებით ლანძღოს...

*„ევროპის ჩემპიონატზე შესანიშნავი ატმოსფეროა და ყველაფერს ხორვატიის ნაკრების ფანები აფუჭებენ. უფრო სწორად, აფუჭებდნენ! ამას ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ ფაქტია, რომ გარკვეულ ჯგუფში მხოლოდ იდიოტები არიან თავმოყრილნი, - განაცხადა გუშინ პლატინიმ, - ერთი წლის წინ ხორვატიაში ვიმყოფებოდი და ახლაც გავიმეორებ, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მუშაობით უკმაყოფილო ვარ. ფაქტია, ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ, რომელიც შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ როცა ამ სიმპათიურ გუნდს რამდენიმე ასეული უკანალი დაჰყვება, ეს უკვე მიუღებელი და აუტანელია. ეს რომ პირველი შემთხვევა იყოს, არაფერს ვიტყოდი, მაგრამ წლებია, ხორვატი ულტრასები ასე ამაზრზენად იქცევიან და ფედერაციამ ეს პრობლემა ვერაფრით მოაგვარა."*

შეგახსენებთ, რომ პლატინი ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციას შარშან პრობლემატური ფანების გამო დისკვალიფიკაციით დაემუქრა, ხორვატიაში ვიზიტის დროს კი თვით ქვეყნის პრეზიდენტ **ივო იოსიპოვიჩს** სთხოვა, ეს პრობლემა მოაგვარეთო...

**გოტფრიდ ლენცი**

● გერმანიის ნაკრები

## იოზილი – [illegible]!
### მესუთი სოციალურ ქსელში მის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიით შეურაცხყოფილია

გერმანიისა და დანიის ნაკრები გუნდების მატჩის (2:1 გერმანელთა სასარგებლოდ) დროს, სოციალურ ქსელ „თვითერში" გერმანიის ნაკრების გამთამაშებლის, **მესუთ იოზილის** წინააღმდეგ უდიდესი რასისტული კამპანია აგორდა. შეხვედრის დროს უცნობმა პიროვნებამ ხსენებულ სოციალურ ქსელში ასეთი სახის შეტყობინება გამოაქვეყნა: *„იოზილი ხომ ნაღდად არ არის გერმანელი! ქაღალდის ერთი ნაგლეჯი ადამიანის ეროვნებას ვერ შეცვლის!"*


გერმანიის ნაკრებისა და რეალის გამთამაშებელი მესუთ იოზილი

ძალიან მოკლე დროში ამ შეტყობინებას უამრავი მიმდევარი გამოუჩნდა! იწერებოდა ისეთი კომენტარები, როგორიცაა - *„გერმანიის ნაკრებში მხოლოდ ის ფეხბურთელები უნდა თამაშობდნენ, რომლებსაც გერმანული გვარები აქვთ"*. ამ თემას გერმანიის საფეხბურთო კავშირის სოციალური ქსელის სხვა მომხმარებლების პროტესტი მოჰყვა, რის გამოც „თვითერმა" თემა წაშალა.

ცხადია, ამ თემას გამოეხმაურა მესუთიც, რომლის მშობლები წარმოშობით თურქები არიან, თავად იოზილი კი, მოგეხსენებათ, გელზენკირხენში დაიბადა და გაიზარდა. მისმა ადვოკატმა კი სასამართლოში სარჩელი შეიტანა, მომხდარის გამოძიებას, თემის ავტორის პოვნას და მის დასჯას ითხოვს.

*„დიდხანს ვფიქრობდი, მიგვემართა თუ არა სასამართლოსთვის და გადავწყვიტე, რომ სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს და ამისათვის სასწრაფოდ მოქმედებაა საჭირო,"* - განაცხადა მადრიდის „რეალის" ვარსკვლავის მამამ, 44 წლის **მუსტაფა იოზილმა.**

**გოტფრიდ ლენცი**

● ხორვატიის ნაკრები

## ხორვატია განრისხდა: შტარკმა გაგვაგდო!
### ვოლფგანგს დღეს ალბათ სახლში გაუშვებენ...

დიუსელდორფის ცნობილი, სკანდალური მატჩისა და **ლევან კობიაშვილთან** დავის შემდეგ, რაც ქართველი ფეხბურთელის შვიდთვიანი დისკვალიფიკაციით დამთავრდა, გერმანელი არბიტრი **ვოლფგანგ შტარკი** ევროპის ჩემპიონატზეც უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდა.

მეტიც, ხორვატიისა და ესპანეთის გუშინწინდელი დუელის შემდეგ, რომელიც სწორედ 42 წლის შტარკმა იმსაჯა, გერმანელ არბიტრს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა. შტარკს ხორვატიის ნაკრები აშკარად შემოეჩაგრა და ცხადია, ლანძღვის პირველი ტალღები სწორედ ხორვატებისგან წამოვიდა, მაგრამ ფაქტია, რომ შტარკს კრიტიკა არც ესპანელებმა დააკლეს. არადა, ვოლფგანგმა პირველი მატჩი (პოლონეთი-რუსეთი 1:1) საკმაოდ კარგად იმსაჯა და ევროპის ჩემპიონატზე დარჩენის კარგი შანსი ჰქონდა, ახლა კი ალბათ სახლში გაუშვებენ...

*„გმირულად ვიბრძოლეთ და მსაჯმა დაგვჩაგრა!"* - წერდა გუშინ ზაგრებული გაზეთი „დანასი". *„ხორვატია მსაჯმა შტარკმა გააგდო!"* - ეს კი გაზეთ „ჟუტარნი ლისტის" ჰედლაინია.

გერმანელი მსაჯის კრიტიკის უმთავრესი მიზეზი შეხვედრის 27-ე წუთზე მომხდარი ფაქტია, როცა ესპანელთა მცველმა **სერხიო რამოსმა მარიო მანჯუკიჩთან** ორთაბრძოლისას თამაშის წესები აშკარად დაარღვია (გაშლილი ფეხით იმოქმედა), შტარკმა კი პენალტი არ დანიშნა!

### შტარკი გერმანელებმა და ესპანელებმაც გააკრიტიკეს

გერმანელი მსაჯი ამის გამო თანამემამულე ექსპერტებმაც კი გააკრიტიკეს: *„შტარკმა ამ ეპიზოდში აშკარად შეცდომა დაუშვა. პენალტი უნდა დაენიშნა,"* - აცხადებს ყოფილი გერმანელი მსაჯი **ურს მაიერი**. ამ უკანასკნელმა კარის უკან მდგომი **ფლორიან მაიერიც** გააკრიტიკა – შექმნილი სიტუაცია ამ უკანასკნელს მაინც შეეფასებინა სწორად და შტარკისთვის უნდა ეთქვა, რომ პენალტი იყოო.

თუმცა ეს არ არის ერთადერთი ეპიზოდი, რომლის გამოც ხორვატები თავიანთ წარუმატებლობას გერმანელ მსაჯს აბრალებენ. არანაკლებ სკანდალური გამოდგა ის მომენტიც, როცა **სერხიო ბუსკეტსმა** კუთხურის დროს **ვედრან ჩორლუკას** კინაღამ მაისურა ჩამოახია...

*„მსაჯი აშკარად დაგვეხმარა, რადგან ჩვენს კარში ორი ასპროცენტიანი თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა,"* - წერდა გუშინ ესპანური გამოცემა AS-იც. ჩვენმა ესპანელმა კოლეგებმა ორი წლის წინანდელი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიც გაიხსენეს, როცა შტარკმა რეალელი **პეპე** ბარსელონელ **დანი ალვესთან** ორთაბრძოლის გამო მოედნიდან მიაბრძანა. დაახლოებით ასეთივე საქციელისთვის მან გუშინწინ სერხიო რამოსი დაინდო!

საწუწუნო ესპანელებსაც ჰქონდათ, რადგან მატჩის მიწურულს **პიკეს** სახეში იდაყვი უთავაზეს, თუმცა ესპანელებს იმ მომენტისთვის პენალტი არ მოუთხოვიათ – ალბათ ხვდებოდნენ, რომ შტარკმა იმ საღამოს ესპანეთის ნაკრებს ისედაც „ბევრი საქმე გაუკეთა".

უეფამ დღეს უნდა გადაწყვიტოს, რომელ არბიტრებს დატოვებს ევრო 2012—ზე პლეი ოფებისთვის. პირველ მატჩში მაღალი დონის მსაჯობის გამო შტარკს ევროპის ჩემპიონატზე დარჩენის კარგი შანსი ჰქონდა, ახლა კი გერმანელს ალბათ სახლში გაუშვებენ.

**გოტფრიდ ლენცი**


ვოლფგანგ შტარკმა ხორვატები აშკარად დაჩაგრა

● იტალიის ნაკრები

## კიელინი მეოთხედფინალს გამოტოვებს!
### პრანდელი აუცილებლად 2014 წლის მუნდიალამდე დარჩება

იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ჩეზარე პრანდელის** დაცვაში პრობლემები არ ელევა: როგორც იცით, „სკუადრა აძურას" ჯგუფურ ეტაპს პირველ ორ მატჩში ტრავმის გამო **ანდრეა ბარძალი** აკლდა, რის გამოც პრანდელი იძულებული გახდა, ტაქტიკური სქემა შეეცვალა და 3-5-2-ით ეთამაშა. ბარძალი მხოლოდ მესამე ტურისთვის გამოჯანმრთელდა და ირლანდიასთან 2:0-ზე მოგებულ მატჩში, რამაც „აძური" ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში გაიყვანა, „იუვენტუსის" მცველმა შესანიშნავად ითამაშა. სამაგიეროდ, იტალიას ახლა დაცვის მეორე ბურჯი, **ჯორჯო კიელინი** დაუშავდა!

27 წლის ჯორჯო ირლანდიელებთან შეხვედრის დროს დაშავდა და გუშინ ცნობილი გახდა, რომ „სკუადრა აძურას" მეოთხედფინალში ვერ დაეხმარება. *„სამწუხაროდ, უკვე ასი პროცენტით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კიელინი მეოთხედფინალში ვერ დაგვეხმარება,"* - განაცხადა გუშინ იტალიის ნაკრების მთავარმა ექიმმა **ენრიკო კასტელაჩიმ.**

კიელინის კუნთი აწუხებს და ჯერჯერობით უცნობია, მოახერხებს თუ არა ნახევარფინალში თამაშს – თუკი იტალიელები მეოთხედფინალურ ეტაპს გადალახავენ. კიელინი ირლანდიასთან მატჩის 55-ე წუთზე შესაცვლელი გახდა და პრანდელიმ მის ნაცვლად მოედანზე **ლეონარდო ბონუჩი** შეიყვანა.

ამასობაში, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ** ოფიციალურად დაადასტურა, რომ პრანდელი აუცილებლად „სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დარჩება – მიუხედავად იმისა, გავა თუ არა იტალია ნახევარფინალში. ფედერკალჩოს შეფის თქმით, იტალიის ნაკრებს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზეც ჩეზარე გაიყვანს.

*„პრანდელი სწორი არჩევანია და ამაში ეჭვი არასდროს შეგვპარვია. ჩვენი აზრით, ეს სწორედ ის მწვრთნელია, რომელმაც იტალიის ნაკრები ბრაზილია 2014-ისთვის უნდა მოამზადოს,* - განაცხადა აბეტემ და დასძინა, - *ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატზე ძალიან კარგად გამოიყურება. „აძურის" თამაშით ყველანი კმაყოფილები ვართ."*


ჯორჯო კიელინი ირლანდიასთან მატჩის დროს დაშავდა

**გოტფრიდ ლენცი**

# ევრო 2012

## ● პორტუგალიის ნაკრები

# პეპემ ვარჯიში განაახლა
## და ჩეხეთთან აუცილებლად ითამაშებს!



პეპემ გუშინ გუნდთან ერთად ივარჯიშა

პორტუგალიისნაკრების ქომაგებს შეუძლიათ, შვებით ამოისუნთქონ: **პაულუ ბენტუს** გუნდის დაცვის ბურჯმა **პეპემ** გუშინ სრული დატვირთვით ივარჯიშა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხვალ, ჩეხეთთან მეოთხედფინალურ მატჩში მისი ასპარეზობა კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ დგას.

შეგახსენებთ, რომ „რეალის" მცველი ჰოლანდიასთან (2:1 პორტუგალიელთა სასარგებლოდ) შეხვედრაში დაშავდა. აღსანიშნავია, რომ ბენტუს 23-ივე ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს.

**გოტფრიდ ლენცი**

## ● რუსეთის ნაკრები

# რუსეთის ნაკრებს გაზაევს ჩააბარებენ?



ვალერი გაზაევი ახლა ალანიას პრეზიდენტია

ევროპის ჩემპიონატზე განცდილი, მოულოდნელი კრახის შემდეგ, რუსეთის ნაკრებში სერიოზული ცვლილებები იგეგმება – ამის შესახებ ჩვენი რუსი კოლეგები წერენ. რუსეთის საფეხბურთო კავშირისთვის უპირველესი ამოცანა ნაკრებისთვის ახალი მთავარი მწვრთნელის პოვნაა, რადგან ჯერ კიდევ ევრო 2012-ის დაწყებამდე გახდა ცნობილი, რომ ტურნირის შემდეგ ჰოლანდიელი სპეციალისტი **დიკ ადვოკაატი** რუსეთის ნაკრებს დატოვებდა.

რუსული მედიის ინფორმაციით, ადვოკაატის შემცვლელად პირველ რიგში **ვალერი გაზაევი** მოიაზრება, რომელიც რუსეთის ნაკრებს 2003 წელსაც (ცოტა ხნით) წვრთნიდა. 2005 წელს კი გაზაევმა მოსკოვის ცსკა-ს უეფას თასი მოაგებინა და შეგახსენებთ, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა რუსული ფეხბურთის ისტორიაში - ამ ქვეყნის კლუბმა ევროტურნირი პირველად მოიგო.

დღესდღეობით გაზაევი ვლადიკავკაზის „ალანიას" პრეზიდენტია, მისი სამწვრთნელო კარიერა კი დასრულებულად მიიჩნევა.

**გოტფრიდ ლენცი**

## ● მოსალოდნელი დანიშვნა

# გვარდიოლა ბაიერნში, 2013 წლიდან?
## პირველი კონტაქტი შედგა, ესპანელი თანახმააო...

მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელები არც ევროპის ჩემპიონატის დროს ისვენებენ და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ამ დღეებში სენსაციურ გარიგებაზე მუშაობენ! გაზეთ „ბილდის" ექსკლუზიური ინფორმაციით, რეკორდმაისტერის შეფები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ „ბარსელონას" ყოფილი თავკაცი **ხოსეპ გვარდიოლა** დაითანხმონ. პრეზიდენტ **ული ჰიონესის** და ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** მიზანი ის არის, რომ „ბაიერნი" 2013 წლის ზაფხულიდან 41 წლის პეპს ჩააბარონ! მიუნხენური გრანდის ამჟამინდელ თავკაც **იუპ ჰაინკესს** კონტრაქტი სწორედ 2013 წლის ზაფხულში უმთავრდება.

„ბილდის" ცნობით, „ბაიერნის" სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი** 25 მაისს მადრიდში, „ვისენტე კალდერონზე" იმყოფებოდა – ესპანეთის თასის ფინალურ მატჩს დაესწრო და გვარდიოლას ფორმაციის „ბარსას" ბოლო ტრიუმფი (3:0 ბილბაოს „ატლეტიკთან") იხილა. ცნობილია, რომ ნერლინგერი „სამეფო თასის" ფინალს ბილბაოელი **ხავი მარტინესის** გამო დაესწრო – ადრეც გაუწყეთ, რომ „ბაიერნს" ამ 23 წლის უნიჭიერესი ფეხბურთელის გადაბირება სურს.

### ნერლინგერი პეპის ძმას შეხვდა

ახლა კი გაირკვა, რომ ნერლინგერი მადრიდში პეპის ძმას და მრჩეველს, **პერე გვარდიოლასაც** შეხვდა და მასთან პირველი მოლაპარაკებები გამართა! უფრო მეტიც: „ბილდის" საიდუმლო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, ხოსეპ გვარდიოლამ ნერლინგერს შეუთვალა, მზად ვარ, 2013 წლის ზაფხულიდან „ბაიერნის" მწვრთნელი გავხდეო! ჩვენი გერმანელი კოლეგები იმასაც წერენ, რომ გვარდიოლამ სწორედ „ბაიერნის" გამო უთხრა უარი „ჩელსის", სადაც **რომან აბრამოვიჩი** ზღაპრულ ხელფასს, წელიწადში 13 მილიონ ევროს სთავაზობდა. შესაბამისად, პეპის უარის შემდეგ ლონდონელებმა **რობერტო დი მატეოს** კონტრაქტი გაუფორმეს.

ცნობილია ისიც, რომ „ბარსელონადან" წამოსვლის შემდეგ გვარდიოლამ ერთწლიანი პაუზის აღება გადაწყვიტა და „ბაიერნშიც" სწორედ 2013 წლიდან სჭირდებათ!

მაისში რეკორდმაისტერის პრეზიდენტმა ჰიონესმა გვარდიოლა ძალიან აქო და არ დამალა, რომ „ბაიერნის" მწვრთნელად სწორედ მის დანიშვნაზე ოცნებობს. ერთადერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ისაა, რომ პეპმა გერმანული არ იცის, „ბაიერნის" ხელმძღვანელებს კი ისეთი მწვრთნელი სურთ, რომელიც გერმანულად ისაუბრებს, მაგრამ თუ პეპმა მართლაც ახლავე გადაწყვიტა მიუნხენში მუშაობა, ერთი წელი საკმარისი დროა იმისათვის, რომ გერმანული ისწავლოს...

### კონტენტო 2016 წლამდე

ამავდროულად, „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა მარცხენა მცველ **დიეგო კონტენტოს** ახალი კონტრაქტი გაუფორმეს, რომელსაც ვადა 2016 წლამდე აქვს – 22 წლის ფეხბურთელს ძველი ხელშეკრულება გაისად უმთავრდებოდა. შეგახსენებთ, რომ კონტენტო „ბაიერნის" აღზრდილია, პირველ გუნდში კი 2010 წლიდან თამაშობს. მას მერე, მიუნხენში დაბადებულმა და გაზრდილმა დიეგო არმანდო კონტენტომ ბავარიული გრანდის ფორმა 47 ოფიციალურ მატჩში მოირგო, 2010 წელს კი „ბაიერნთან" ერთად დუბლი შეასრულა. გასულ სეზონში, ჰაინკესმა ბუნდესლიგაში 11-ჯერ ათამაშა, გოლი კი არ გაუტანია.

**გოტფრიდ ლენცი**



პეპ გვარდიოლასთან მოლაპარაკებებს ბაიერნის სპორტული დირექტორი კრისტიან ნერლინგერი აწარმოებს

## ● მანჩესტერ იუნაიტედი

# ეშმაკების სარეკორდო ნავაჭრი

„მანჩესტერ იუნაიტედმა" მალაიზიაში ადგილობრივ „მეიბანკთან" ერთად ბაზარზე თავისი სადებეტო ქაღალდების გატანა ორი თვის წინ გადაწყვიტა. პრეზენტაციას „იუნაიტედის" ყოფილი ვარსკვლავები **რონი ჯონსონი** და **გარი პალისტერი** დაესწრნენ. მას შემდეგ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული კლუბის ფასიანი ქაღალდი 100 ათასზე მეტმა ადამიანმა შეიძინა. მათ მფლობელებს მიეცემათ შანსი, რომ „ეშმაკების" მიერ გათამაშებული ფასიანი პრიზები მოიგონ. საუკეთესო შემთხვევაში მათ „ოლდ ტრეფორდზე" მატჩის ნახვის უფლებაც მიეცემათ. აქციის ორგანიზატორთა გათვლებით, წელიწადში ისინი 50 ათასი ასეთი ქაღალდის რეალიზაციას გეგმავდნენ, მაგრამ მოთხოვნამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა.

„იუნაიტედს" მარკეტინგული თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე აქვს, თუმცა ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით გუნდში შექმნილ საკადრო ვითარებაზე. „სანის" ცნობით, „ალისფერ ეშმაკებს" „პორტუდან" კოლუმბიელი **ჯეიმს როდრიგესის** შეძენა სურთ და მზად არიან, 20 წლის ვინგერში 20 მილიონი ფუნტი (24.83 მლნ ევრო) გადაიხადონ. თუკი ეს გარიგება შედგა, დიდი ალბათობით ტრანსფერზე დადგება **ნანი**, ვინც კლუბისგან ახალი კონტრაქტის სანაცვლოდ კვირაში 130 ათას ფუნტს ითხოვს. მოქმედი ხელშეკრულება 25 წლის ფეხბურთელს ერთი წლის შემდეგ უმთავრდება.

**ლევან ბიბილაშვილი**

## ● ევრო 2012-ის ამბები

### კიდევ ერთი დააკავეს

სამართალდამცავებმა ხორვატია-ესპანეთის შეხვედრის დასრულებისთანავე დააკავეს 36 წლის რუსი ტურისტი, რომელსაც თამაშის მიმდინარეობისას პიროტექნიკური საშუალების სროლა ედება ბრალად. უკეთეს შემთხვევაში მას სერიოზული ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, რადგან მეორე იარუსიდან მის მიერ ნასროლმა საგანმა მოედნამდე ვერ მიაღწია და ხორვატი ფანების სექტორში ჩავარდა.

### დაკარგული ინგლისელი

უკრაინული პრესის ცნობით, რამდენიმე დღის წინ დაკარგული ინგლისელი ტურისტი **დევიდ ფორდი** ხარკოვის მილიციაში გამოცხადდა და დახმარება ითხოვა, რათა უსაბუთოდ და უფულოდ დარჩენილს როგორმე დონეცკში ჩაეღწია. ფორდზე ძებნა მას შემდეგ გამოცხადდა, რაც მეგობრებმა ის პორტუგალია-ჰოლანდიის მატჩის შემდეგ თვალთახედვიდან დაკარგეს. სიტუაცია იმან გაართულა, რომ რაკი ფორდი მეტისმეტად მთვრალი იყო, მეგობრებმა ტელეფონი და საფულე (მასში იდო დევიდის პასპორტი და სხვა დოკუმენტები) გამოართვეს. სამართალდამცავთა დახმარებით, ფეხბურთის ფანი საკუთარ სასტუმროში გუშინ დილას მოხვდა.

### პირესი: გერმანია და ესპანეთი

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **რობერ პირესი** მიიჩნევს, რომ ევროპის ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტები გერმანელები და ესპანელები არიან. ის პირველი არ არის, ვინც მსგავს პროგნოზს აკეთებს. *„ეს გუნდები სხვებს აშკარად აღემატებიან პოტენციალით, თუმცა ამის მიუხედავად სიურპრიზებს მაინც არ გამოვრიცხავ საფრანგეთისა და პორტუგალიის გუნდებისგან,"* – თქვა პირესმა.

**ლევან ბიბილაშვილი**

## ● ევროს მიღმა

### არსენალმა ჟირუ მოიგო

GOAL.COM-ის მტკიცებით, "არსენალმა" "მონპელიესთან" **ოლივიე ჟირუს** ტრანსფერთან დაკავშირებული ყველა დეტალი შეათანხმა და ფეხბურთელთან კონტრაქტს ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გააფორმებს. ტრანსფერის დეტალებზე ვებგვერდი ზუსტ მონაცემებს ვერ გვაწვდის, თუმცა ვარაუდობს, რომ 25 წლის თავდამსხმელის გადაბირება ჩრდილოლონდონელებს 12-16 მილიონი ევრო დაუჯდებოდათ. ჟირუს ხელფასი კვირაში 50 ათასი ფუნტი იქნება. თუ ინფორმაცია დადასტურდა, ეს მეორე ტრანსფერი იქნება "მეთოფეებისთვის". ჯერ კიდევ წინა საკლუბო სეზონის დასრულებამდე გაირკვა, რომ "ემირიტსზე" ითამაშებდა გერმანიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი, 26 წლის **ლუკას პოდოლსკი**. მოსალოდნელია, რომ "არსენალშივე" გააგრძელებს კარიერას "რენის" 21 წლის საყრდენი **იან მ'ვილაც**.

### ნიუკასლი: დე იონგი და დებიუში

ბრიტანული პრესის ცნობით, "ნიუკასლს" "ტვენტედან" ჰოლანდიის ნაკრების 21 წლის თავდამსხმელის **ლუკ დე იონგის** შეძენა სურს და მზადაა, ერედივიზიეს წარმომადგენელს 8 მილიონი ფუნტი (9,93 მლნ ევრო) გადაუხადოს. მოსალოდნელია, რომ დე იონგს **დემბა ბას** შემცვლელის როლი დაეკისრება, ვისაც ამ ზაფხულს "სენტ ჯეიმს პარკიდან" აბარგებას უწინასწარმეტყველებენ.

თავდასხმის გარდა, "კაჭკაჭებს" პრობლემა უკანა ხაზშიც აქვთ. მათ "ლილისა" და საფრანგეთის ნაკრების 26 წლის მარჯვენა მცველის **მატიე დებიუშის** გადაბირება განიზრახეს და მზად არიან, ლიგა ერთის ყოფილ ჩემპიონს ფეხბურთელში 4 მილიონი ფუნტი (4,96 მლნ ევრო) გადაუხადონ. ინფორმაცია, რომ ჯორდებისგან ოფიციალური წინადადება მიიღეს, "ლილის" თავკაცმა **რუდი გარსიამ** დაადასტურა. *"თუკი მატიე ფიქრობს, რომ მისთვის "ნიუკასლში" გადასვლა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, მზად ვართ, მას ხელი აღარ შევუშალოთ, მაგრამ იქამდე პრემიერლიგური კლუბისგან შესაფერისი წინადადება უნდა მივიღოთ,"* – აცხადებს გარსია.

### სიტი უარზეა

"მანჩესტერ სიტიმ" ჭკუა ისწავლა და ფეხბურთელში საბაზრო ფასზე მეტის გადახდაზე უარი თქვა. "ქალაქელებმა" ზედმეტ ფუფუნებად მიიჩნიეს **რობინ ვან პერსიში** 15 მილიონ ფუნტზე მეტის გადახდა, რადგან ამ ნაბიჯს შეიძლება გუნდის სახელფასო ბიუჯეტშიც სერიოზული ცვლილება მოჰყვეს. მანჩესტერელებს ჰოლანდიელის შეძენისა და მერე სახელფასო ხარჯებისთვის კონკრეტული თანხა აქვთ გამოყოფილი, თუკი სატრანსფერო შეთავაზება მკვეთრად გაუმჯობესდება, მაშინ მათ ფეხბურთელისთვის ნაკლები ხელფასის შეთავაზება მოუწევთ, რაზეც ცხადია, რომ თავად ვან პერსი არ დაჰყაბულდება.

### ჩორლუკა ლოკომოტივში

"ტოტენჰემმა" ამ ზაფხულს მეორე ხორვატი ფეხბურთელი გაყიდა. კვირაზე მეტი არც არის გასული მას მერე, რაც **ნიკო კრანჩარის** კიევის "დინამოში" ტრანსფერი დადასტურდა. ამავე კლუბს სურდა **ვედრან ჩორლუკას** გადაბირებაც, მაგრამ 26 წლის უნივერსალმა მცველმა მოსკოვის "ლოკომოტივის" წინადადება ამჯობინა. სხვა თუ არაფერი, ფეხბურთელს "ჩერკიზოვოზე" (რკინიგზელთა ბაზა) ნაცნობი მწვრთნელი დახვდება. მოგეხსენებათ, "ლოკომოტივმა" მთავარ მწვრთნელად **სლავენ ბილიჩი** დანიშნა.

### მილევსკი: ტოტენჰემი თუ ნიუკასლი

კიევის "დინამოსა" და უკრაინის ნაკრების თავდამსხმელ **არტემ მილევსკის** კარიერის გაგრძელებას ინგლისური პრემიერლიგის ამბიციური კლუბები სთავაზობენ, ლაპარაკია "ტოტენჰემსა" და "ნიუკასლზე". ეს კლუბები მზად არიან "დინამოს" თავდამსხმელში 5,5 მილიონი ფუნტი (6,83 მლნ ევრო) გადაუხადონ. შეგახსენებთ, რომ მილევსკის შეძენა შარშან "ლივერპულსაც" სურდა, მაგრამ მათგან კიეველებმა 13 მილიონი ფუნტი (16,14 მლნ ევრო) მოითხოვეს, რის გამოც მოლაპარაკებები შეწყდა. თავდამსხმელს "დინამოსთან" ხელშეკრულებაში წელიწადილა დარჩა, ახლის გაფორმებაზე კი ის უარსაა.

### უარი ჩელსის

"უიგანმა" "ჩელსის" 21 წლის შემტევი ნახევარმცველის, ნიგერიელი **ვიქტორ მოზესის** ტრანსფერზე უარი უთხრა. პრემიერლიგის შარშანდელი გათამაშების აუტსაიდერი ფეხბურთელთან ხელშეკრულების გაგრძელებას დიდი ხანია, ცდილობს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოსდის. მოსალოდნელია, რომ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულები ლანკაშირელებს კიდევ ერთ წინადადებას გაუგზავნიან გაუმჯობესებული პირობებით.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ლა ლიგა

# ლა ლიგის ახალწვეულები

ლა ლიგის მომავალი სეზონის შემადგენლობა სრულად დაკომპლექტებულია - „დეპორტივოსა" და „სელტას" ახლახან, პლეი ოფის მოგების შემდეგ, „ვალიადოლიდი" შეემატა. აღსანიშნავია, რომ სამივე ეს კლუბი ჩრდილო-დასავლეთ ესპანეთიდანაა - პირველი ორის დაბრუნებით პრიმერაში გალისიური დერბი აღდგება, „რეალ ვალიადოლიდი" კი კასტილია-ლეონს წარადგენს. აქვე შეგახსენებთ, რომ თითო ვალენსიური (ვილიარეალი), ასტურიული (სპორტინგი) და კანტაბრიული (რასინგი) კლუბი გავარდა ბოლო სეზონში. ამჯერად, ყველაზე მეტი წარმომადგენელი 2012/13 წლების ფორმაციის ლა ლიგაში ეყოლება მადრიდსა („რეალი", „ატლეტიკო", „ხეტაფე", „რაიო ვალეკანო") და ანდალუსიას („სევილია", „ბეტისი", „მალაგა", „გრანადა") - 4-4. 2-2 წარმომადგენელი ეყოლება ვალენსიის მხარეს, კატალონიას, გალისიას და ბასკთა ქვეყანას. თითო: ნავარას, არაგონს, ბალეარის კუნძულებს და კასტილია-ლეონს.

შეგახსენებთ, რომ რიგით 82-ე ჩემპიონატი 18 აგვისტოს დაიწყება და 2013 წლის 1 ივნისს დამთავრდება. ლა კორუნიის „დეპორტივო" გავარდნის შემდეგ უმალ დაბრუნდა ლა ლიგაში, თანაც სეგუნდა დივიზიონი ძალზე დამაჯერებლად მოიგო. „სელტა" უმაღლეს დივიზიონში ხუთი წელია არ გვინახავს, „ვალიადოლიდი" კი - 2. „დეპორტივო" სეზონის დასრულების შემდეგ საუკეთესო ფეხბურთელმა (ის კლუბის ოფიციალურ საიტზე ფანების 26%-მა დაასახელა საუკეთესოდ), მექსიკელმა ანდრეს გუარდადომ დატოვა, ის „ვალენსიაში" გადავიდა.



ახალ სეზონში დეპორტივო ასეთი ფორმით ითამაშებს

### დეპორტივო (ლა კორუნია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დეპორტივო | 42 | 29 | 4 | 9 | 76-45 | 91 |

**დაარსდა**: 1904; **ტიტული**: ჩემპიონი - 1 (2000), თასის მფლობელი - 2 (1995, 2002), სუპერთასი - 3 (1995, 2000, 2002), ინტერტოტოს თასი (2008).
**მწვრთნელი**: ხოსე ლუის ოლტრა;
**სტადიონი**: რიასორი, 34 600

**სტატისტიკა. 2011/12:** ალექს ბერგანტინიოსი (42 თამაში, 3 გოლი), ვალერონი (39, 5), ლაურე (38, 1), არანსუბია (38), გუარდადო (36, 11), კოლოტო (36, 3), ხუან დომინგესი (35, 4), ლასადი (33, 14), რიკი (30, 14), ბრუნო გამა (29, 7), დიეგო სალომაო (29, 4), აიოსე (27), ზე კაშტრო (27), აიტამი (23, 2), ბორხა (22, 2), მორელი (18), საული (16), ხისკო ხიმენესი (16, 3), ხესუს ვასკესი (15), პაბლო ალვარესი (11), მანუელ პაბლო (8), ბოდიპო (6, 1), სეოანე (6), ლუქსი (4), როჩელა (3), ხუან კარლოსი (1).

### სელტა (ვიგო)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2. სელტა | 42 | 26 | 7 | 9 | 83-37 | 85 |

**დაარსდა**: 1923
**ტიტული**: ინტერტოტოს თასი (2000)
**მწვრთნელი**: პაკო ერერა
**სტადიონი**: ბალაიდოსი, 32 500

**სტატისტიკა. 2011/12:** ენრიკე დე ლუკასი (37 თამაში, 9 გოლი), ფ. ორელანა (37, 13), ხოან ტომასი (37, 5), ალექს ლოპესი (36, 6), ლაგო (35, 1), ასპასი (35, 23), ბერმეხო (35, 8), უგო მალიო (34), იოერი (33), ტონი (30, 2), ტუნიესი (29, 1), ნაჩო ინსა (28, 1), დავიდ როდრიგესი (28, 9), ბორხა ოუბინია (28), იოელი (25), ბუსტოსი (24), ბელვისი (21), სერხიო ალვარესი (19), კატალა (18, 2), ხონათან ვილა (15)

### რეალ (ვალიადოლიდი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3. ვალიადოლიდი | 42 | 23 | 13 | 6 | 69-37 | 82 |

**დაარსდა**: 1928;
**ტიტული**: -; **მწვრთნელი**: მიროსლავ ჯუკიჩი (სერბეთი)
**სტადიონი**: ხოსე სორილია, 26 512;

**სტატისტიკა. 2011/12:** ვიქტორ პერესი (43 თამაში, 6 გოლი), ხესუს რუედა (43, 1), ხაიმე (42), ხოფრე (41, 4), ხავი გუერა (40, 20), სისი (40, 5), ბალენზიაგა (40), პენია (39, 1), ოსკარ გონსალესი (38, 14), ნაფტი (37), მარკ ვალიენტე (37, 1), ალემანი (35, 9), ბუენო (34, 7), ალვარო რუბიო (25), მარკიტოსი (24, 1), ბარახა (24), მანუჩო (19, 4), ტეკიო (9), ხუანიტო (8), ვიქტორ მონგილი (7), დ. ერნანდესი (6), ხორხე ალონსო (5, 1), სანა (2), ნავასი (1), ფელიპე (1), დანი აკინო (1).

● ლივერპული

# აგერი მზადაა

"ლივერპულ ეხოს" ცნობით, ევროპის ჩემპიონატიდან დანიის ნაკრების გამოვარდნის შემდეგ ლივერპულელ **დანიელ აგერს** დრო მიეცა, რათა საკლუბო კარიერას მიხედოს. ფეხბურთელმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ერთ-ერთ პირველივე ინტერვიუში განაცხადა, რომ მზადაა, ახალი ხელშეკრულების შეთავაზების შემთხვევაში მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს. "ენფილდზე" ჩატარებული დიდებული სეზონის შემდეგ ფეხბურთელით მდიდარი ევროპული კლუბები დაინტერესდნენ. ლაპარაკია "რეალსა" და, რა თქმა უნდა, "მანჩესტერ სიტიზე". *"კარიერის სხვა კლუბში გაგრძელებაზე არაფერი მსმენია. არც ერთი წინადადება არ მიმიღია. რაც შეეხება "ლივერპულს", არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ აქ ძალიან ბედნიერი ვარ. სხვანაირად რომ ყოფილიყო, "ენფილდზე" 6 წელიწადს არ გავატარებდი. ვფიქრობ, კლუბში ჩემთან მოლაპარაკების დაწყება იმიტომ არ ეჩქარებათ, რომ ჩემს მოქმედ კონტრაქტს ვადა 2014 წელს გასდის. ახლა კარგად დავისვენებ, მერე კი მოუთმენლად დაველოდები ახალ მენეჯერთან შეხვედრას. "სუონსიში" შარშან მის მიერ ჩატარებული სამუშაოთი უბრალოდ აღფრთოვანებული ვიყავი,"* – განაცხადა აგერმა.

● ამბები

## გრანადამ მწვრთნელი იშოვა

„გრანადას" ახალი თავკაცი ჰყავს - 54 წლის **ხუან ანტონიო ანკელა**. ბოლო სამი წლის განმავლობაში ეს სპეციალისტი „ალკორკონში" მუშაობდა და აქამდე არავისთვის ცნობილი გუნდი სეგუნდა დივიზიონში გადაიყვანა, მანამდე კი ნამდვილი სასწაული მოახდინა სამეფო თასზე, როცა „რეალი" სამარცხვინოდ დაამარცხა. ანკელას გუნდი ახლახან დამარცხდა პლეი ოფის ფინალში და ვერ შეძლო ლა ლიგის საგზურის მოპოვება. შეგახსენებთ, რომ „გრანადა" სეზონის დასრულების შემდეგ დაემშვიდობა **აბელ რესინოს**, რომელსაც ახალი კონტრაქტი აღარ შესთავაზეს.

## კაკა მილანში არ გამოვა

ბევრს ლაპარაკობენ, რომ **კაკა** „რეალს" დატოვებს, მაგრამ, როგორც ჩანს, „სამეფო კლუბს" გაუჭირდება ბრაზილიელთან განშორება, რადგან ამ უკანასკნელს წასვლა არ სურს. ამჟამად კაკა სამშობლოშია, სადაც შვებულებას ატარებს, თუმცა წასვლამდე მან პრეზიდენტ **ფლორენტინო პერესს** და **ჟოზე მოურინიოს** განუცხადა, რომ „რეალში" დარჩენა სურს. „რეალს" კი დავიდ სილვას ყიდვა სურს და ტრანსფერისთვის ფული სჭირდება.

„მილანი" დაინტერესებულია კაკას დაბრუნებით, მაგრამ იტალიური გრანდი ფინანსურ სირთულეებს შეეჯახა. როგორც კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** აცხადებს, კაკა „მილანისთვის" შეუფერებლად მაღალ ხელფასს იღებს და ეს მისი დაბრუნების საკითხში დიდ პრობლემას შექმნის. *„ამის გამო დანამდვილებით შემიძლია გითხრათ - კაკა „მილანში" არ იქნება"*, - განაცხადა გალიანიმ.

## არ გაყიდოთ ხოსელუ!

„რეალის" ფანები აღშფოთებულნი არიან - ამის მიზეზი კი ისაა, რომ კლუბი **ხოსელუს** ტრანსფერზე დაყენებას აპირებს. ეს ფორვარდი „რეალ კასტილიაში" თამაშობს და 26 გოლით დივიზიონის ბომბარდირი გახდა, „რეალის" მეორე გუნდმა კი სეგუნდა დივიზიონის საგზური მოიპოვა. „დიარიო ას-მა" ამ საკითხთან დაკავშირებით ჩაატარა გამოკითხვა. 40 ათასი მონაწილის 80%-მა მხარი ხოსელუს „რეალში" დარჩენას დაუჭირა. ინგლისური „ვესტ ჰემ იუნაიტედი" ახალგაზრდა ფორვარდის სანაცვლოდ 5 მილიონ ევროს იხდის.

## როსელი, რონალდოს და მოურინიოს შესახებ

„რეალსა" და „ბარსელონას" შორის „სიტყვების ომში" კატალონიური გუნდის პრეზიდენტი **სანდრო როსელიც** ჩაება. როსელმა **კრიშტიანო რონალდო** და **ჟოზე მოურინიო** ცუდ კონტექსტში მოიხსენია. პრეზიდენტი ბარსელონაში ინსტიტუტო დე ქიმიკა დე სარიაში იმყოფებოდა სტუდენტებთან შეხვედრაზე. სწორედ იქ განაცხადა მან, რომ კრიშტიანო რონალდო „ბარსელონაში" მე-12 ფეხბურთელი იქნებოდა, რადგან კატალონიური გრანდის 11-ივე სასტარტო ფეხბურთელი პორტუგალიელზე უკეთესია. აი, რა თქვა მან მოურინიოს შესახებ: *„მე არასოდეს მივიღებდი მწვრთნელს, რომელსაც გამარჯვების მოპოვება ყველა ხერხით სურს. მაშინვე ბოდიშს მოვიხდიდი, ჩემს მწვრთნელს ვინმესთვის თვალში თითი რომ ეტაკებინა"*.

● არგენტინა. კლაუსურა. XVIII ტური


ეროვნული ბიბლიოთეკა
ტიგრეს ფორვარდი კარლოს ლუნა ჩემპიონატის ბომბარდირი ხდება

# ბოლო ტურის წინ: ტიგრე შეიძლება ჩემპიონი გახდეს... ან გავარდეს

## ბოკა ხუნიორსის შოკისმომგვრელი მარცხი და თითქმის დაკარგული ტიტული

**სან მარტინი–ნიუელსი 2:1**

**გოლები:** 1:0 დ. გარსია (1), 2:0 კაპრარი (26), 2:1 პ. პერესი (31)
**გაძევება:** ვანიონი (82. ნიუელსი)

**ბელგრანო–ბანფილდი 3:1**

**გოლები:** 0:1 დე სოუსა (1), 1:1 ალმერარესი (41), 2:1 მელანო (65), 3:1 მელანო (66)

**ესტუდიანტესი–ოლიმპო 1:0**

**გოლი:** 1:0 მერკადო (50)

**ველესი–ტიგრე 0:1**

**გოლი:** 0:1 ლუნა (78)
**გაძევება:** კუბერო (67. ველესი)

**არხენტინოსი–ოლ ბოისი 1:0**

**გოლი:** მორალესი (73)
**გაძევება:** ფერარი (16. ოლ ბოისი), ბასუალდო (49. არხენტინოსი), დომინგესი (51. ოლ ბოისი), მორალესი (75. არხენტინოსი), კორონელი (79. ოლ ბოისი), მატოსი (90. ოლ ბოისი).

**ატლეტიკო–რასინგი 4:2**

**გოლები:** 1:0 კარინიანო (36-პენ), 1:1 სუკულინი (45), 1:2 ლ. კასტრო (56), 2:2 ა. კასტრო (57), 3:2 კარინიანო (66), 4:2 ფ. გონსალესი (72)

**ბოკა–არსენალი 0:3**

**გოლები:** 0:1 სელაია (1), 0:2 ლეგისამონი (38), 0:3 ლეგისამონი (56)
**გაძევება:** სოსა (85. ბოკა ხუნიორსი)

**კოლონი–გოდოი კრუსი 2:0**

**გოლები:** 1:0 ფუერტესი (22), 2:0 ფუერტესი (50)
**გაძევება:** ნავარო (53. გოდოი კრუსი)

**ინდეპენდიენტე–სან ლორენსო 0:0**

**გაძევება:** ველასკესი (48. ინდეპენდიენტე)

**ლანუსი–სანტა ფე 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 18 | 10 | 5 | 3 | 29-15 | 35 |
| 2. ტიგრე | 18 | 10 | 5 | 3 | 27-13 | 35 |
| 3. ბოკა | 18 | 9 | 6 | 3 | 29-17 | 33 |
| 4. ნიუელსი | 18 | 9 | 4 | 5 | 26-19 | 31 |
| 5. ველესი | 18 | 8 | 6 | 4 | 24-14 | 30 |
| 6. ოლ ბოისი | 18 | 8 | 6 | 4 | 18-12 | 30 |
| 7. კოლონი | 18 | 6 | 8 | 4 | 21-18 | 26 |
| 8. არხენტინოსი | 18 | 7 | 5 | 6 | 17-15 | 26 |
| 9. ესტუდიანტესი | 18 | 7 | 5 | 6 | 21-22 | 26 |
| 10. ლანუსი | 18 | 7 | 4 | 7 | 19-18 | 25 |
| 11. სანტა ფე | 18 | 5 | 9 | 4 | 19-18 | 24 |
| 12. ბელგრანო | 18 | 6 | 6 | 6 | 17-19 | 24 |
| 13. სან ლორენსო | 18 | 5 | 7 | 6 | 19-22 | 22 |
| 14. სან მარტინი | 18 | 6 | 4 | 8 | 20-26 | 22 |
| 15. ატლეტიკო | 18 | 5 | 6 | 7 | 23-23 | 21 |
| 16. ინდეპენდიენ. | 18 | 5 | 4 | 9 | 20-26 | 19 |
| 17. რასინგი | 18 | 5 | 4 | 9 | 18-25 | 19 |
| 18. გოდოი კრუსი | 18 | 2 | 8 | 8 | 10-22 | 14 |
| 19. ოლიმპო | 18 | 3 | 3 | 12 | 20-34 | 12 |
| 20. ბანფილდი | 18 | 2 | 5 | 11 | 15-34 | 11 |

**შენიშვნა:** თუკი ორი და მეტი გუნდი თანაბარ ქულებს დააგროვებს, ჩემპიონი გამოვლინდება ნეიტრალურ მოედანზე დანიშნული პლეი ოფით, რომელიც ტურნირის დასრულებიდან 72 საათში უნდა გაიმართოს. სხვა შემთხვევაში თანაბარი ქულების შემთხვევაში (როცა ჩემპიონი არ არის გამოსავლენი) ითვლება: ა) ბურთების სხვაობა, ბ) ბურთების რაოდენობა, გ) ურთიერთშეხვედრები.

**გავარდნის კოეფიციენტები**

**გავარდნის ზონა:** 20. ოლიმპო - 1,013; 19. სან ლორენსო - 1,239
**გადათამაშების ზონა:** 18. ბანფილდი - 1,257; 17. ატლეტიკო - 1,270
**საშიში ზონა:** 16. ტიგრე - 1,274; 15. სან მარტინი - 1,297; 14. რასინგი - 1,310.
**ბომბარდირები:** 11 - ლუნა (ტიგრე); 7 - კარპარი (სან მარტინი), ფარიასი (ინდეპენდიენტე), განდინი (ატლეტიკო), გილიოტი (სან ლორენსო), პავონე (ლანუსი).

**ბოლო ტური**

**22 ივნისი:** ოლიმპო-არხენტინოსი.
**24 ივნისი:** ოლ ბოისი-ბოკა, არსენალი-ბელგრანო, ბანფილდი-კოლონი, სანტა ფე-ესტუდიანტესი, ნიუელსი-ლანუსი, რასინგი-ველესი, სან ლორენსო-სან მარტინი, ტიგრე-ინდეპენდიენტე, გოდოი კრუსი-ატლეტიკო.

კლაუსურა სრულდება - არგენტინის ჩემპიონი ბოლო ტურში გამოვლინდება, კანდიდატი კი ერთბაშად სამია: სარანდის „არსენალი", „ატლეტიკო ტიგრე" და მოქმედი ჩემპიონი „ბოკა ხუნიორსი". პირველ ორს 35-35 ქულა აქვს, ხოლო „ბოკა" მათ 2 ქულით ჩამორჩება. არგენტინულ ფეხბურთში ხომ ყოველთვის საოცრებები ხდება, ახლაც ასეა - „ტიგრეს" ბოლო ტურის წინ ორი პერსპექტივა აქვს: ჩემპიონობა და უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნა. აი, ასე...

ის, რაც არგენტინის 30-გზის ჩემპიონმა ბოლოსწინა ტურში საკუთარ „ბომბონერაზე" ჩაიდინა, ძნელად ასახსნელია - უშუალო კონკურენტ „არსენალთან" პირწმინდად წააგო 0:3 და საჩემპიონო შანსი შეიმცირა. ახლა ბუენოსაირესელებზე აღარ არის დამოკიდებული ტიტულის ბედი. „ბოკას" რომ მოეგო, ბოლო ტურში „ოლ ბოისის" დამარცხებით ტიტულს შეინარჩუნებდა. ახლა კი მხოლოდ ეს აღარ კმარა - „არსენალი" შინ „ბელგრანოსთან" უნდა დამარცხდეს, ხოლო „ტიგრე" - „ინდეპენდიენტესთან". ამ ორივე კონკურენტის ფრის შემთხვევაში კი გადათამაშება დაინიშნება. პრინციპში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ბოკამ" ტიტული ამ მარცხით წააგო.

ჩემპიონის კონკურენტები უტიტულო გუნდები არიან, სარანდელებს პრიმერა C თუ მოუგიათ, „ტიგრეს" კი - პრიმერა B.

მაშ ასე, კვირას „არსენალი" „ბომბონერას" ეწვია და „ბოკას" ფანების არმია შოკში ჩააგდო. ეს სარანდელთა კლუბის მოკრძალებულ ისტორიაში საუკეთესო თამაში გახლდათ. ამ სტადიონზე ძალიან ძნელია „ბოკას" შემტევი ფეხბურთი ეთამაშო და ის დაჩაგრო, მაგრამ „არსენალმა" ეს შეძლო. უკვე პირველ წუთზე სტუმრებმა ბურთი საჯარიმოში ჩააწოდეს, სადაც ყველას თავით **ემილიო სელაიამ** აჯობა - 0:1. გაგიკვირდებათ და, ამის შემდეგ ბურთი უფრო „არსენალს" ჰქონდა, სტუმრები უკეთ და უფრო ხშირად უტევდნენ. „ბოკა" კი მეტოქეს კონტრშეტევებით პასუხობდა, 27-ე წუთზე მასპინძელმა **ბლანდიმ** კინაღამ გაათანაბრა, მაგრამ „არსენალის" გოლკიპერმა **კამპესტრინიმ** იყოჩაღა. 38-ე წუთზე **ლეგისამონისა** და სელაიას კომბინაცია ცარიელ კარში გოლით დაასრულა პირველმა. „ბოკელთა" რიგებში პანიკა დაიწყო, მეორე ტაიმში კი ლეგისამონმა კიდევ ერთხელ დასაჯა ჩემპიონი - 0:3.

იმავე დღეს „სან ლორენსო" სტუმრად 0:0 დაუზავდა „ინდეპენდიენტეს" და ახლა ეს სახელოვანი გუნდი ვერაფრით ასცდება გადათამაშებას (შესაძლოა, პირდაპირაც გავარდეს). „არხენტინოს ხუნიორსისა" და „ოლ ბოისის" შეხვედრაში, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს, მსაჯმა 6 ფეხბურთელი გააძევა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრანგებმა ცხოვრება გაირთულეს

## იბრას შედევრი და მექსეს დისკვალიფიკაცია

**მატჩი №23. 19.06. კიევი. ოლიმპიური სტადიონი**

| შვედეთი | საფრანგეთი |
|---|---|
| 2 | 0 |

**შვედეთი (4-4-2):** ისაქსონი – მელბერგი, ი. ოლსონი, მ. ოლსონი, გრანკვისტი – ჩელსტრიომი, სვენსონი (78. ჰოლმენი), ბაირამი (46. ვილჰელმსონი), ლარსონი – იბრაჰიმოვიჩი – ტოივონენი (78. ვერნბლოომი).

**საფრანგეთი (4-3-2-1):** ლორისი – დებიუში, მექსესი, რამი, კლიში – დიარა, მვილა (83. ჟირუ), ნასრი (77. მენეზი) – ბენ არფა (59. მალუდა), რიბერი - ბენზემა.

გოლები: 1:0 იბრაჰიმოვიჩი (54), 2:0 ლარსონი (90).

გაფრთხილება: სვენსონი, ჰოლმენი - მექსესი

კუთხური: 2-8; ჯარიმა: 17-14; თამაშგარე: 6-1; კარში დარტყმა: 12(7)-24(10); ბურთის ფლობა: 40%-60%.

მაყურებელი: 70 000

**საფრანგეთის ნაკრებმა 23-მატჩიანი წაუგებელი სერია უმოტივაციო შვედეთთან შეწყვიტა და ინგლისს უნდა უმადლოდეს, რომ მეოთხედფინალში იასპარეზებს. დიახ, უკრაინას რომ ბრიტანელებთან მოეგო, ლორან ბლანის გუნდი ჯგუფში ჩარჩებოდა, რადგან თვითონ სკანდინაველებისგან ორი უპასუხო გოლი მიიღო. მატჩის წინასიტყვაობაში ვწერდით, რომ ფრანგებს მარცხის შემთხვევაშიც შეეძლოთ მომდევნო ეტაპზე გასვლა და სწორედ ასე მოხდა; დანარჩენზე ქვემოთ...**



შვედების მეორე გოლი

### ტაქტიკა/სტრატეგია

**ლორან ბლანმა** რამდენიმე უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, რითაც ბევრი გააკვირვა – მაგალითად, ნაცადი ტაქტიკა 4-2-3-1 მოულოდნელად შეცვალა და 4-3-2-1-ით ჩაანაცვლა, ამასთან, **ჟერემი მენეზი** სათადარიგოთა სკამზე დასვა და ძირითადში **ბენ არფა** გაამწესა. ასევე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ უკან დახია **სამირ ნასრი** და წინა შეხვედრებთან შედარებით, სიღრმიდან ათამაშა. მოკლედ, ბლანმა რალაცები გამოიგონა და აშკარად შეცდა – საფრანგეთის ნაკრებმა თამაში ჩააგდო და სრულიად დამსახურებულად დამარცხდა.

რაც შეეხება შვედეთის ნაკრებს – ტრადიციული 4-4-1-1 სქემით გაისარჯა და აქ, გამოკვეთილი ფორვარდი **ოლა ტოივონენი** გახლდათ. მის უკან **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ირჯებოდა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელია. თუმცა, მასზე ქვემოთ უფრო ვრცლად ვიტყვით...

### საუკეთესო ფეხბურთელი

#### ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი)

ზლატან იბრაჰიმოვიჩი სამივე შეხვედრაში მოწოდების სიმაღლეზე იყო, ფრანგებთან კი სულაც საუკეთესო თამაში ჩაატარა და ულამაზესი გოლიც გაიტანა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ შეგდებული ბურთი ჯერჯერობით საუკეთესოა ჩემპიონატზე და დიდი ეჭვი გვაქვს, რომ ასეთადვე დარჩება. ამასთან, ზლატანი ხშირად იწევდა უკან და სიღრმიდან იწყებდა მისი გუნდის იერიშებს. რაც ასევე მნიშვნელოვანია, უკანახაზელების დახმარებასაც არ თაკილობდა და ხშირად ჩადიოდა საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან. მოკლედ, იბრაჰიმოვიჩმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და ნამდვილად დაიმსახურა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის სტატუსი

### ფეხბურთელი იმედგაცრუება

#### ქარიმ ბენზემა (საფრანგეთი)

საფრანგეთის ნაკრები ძირითადად მეტოქის საჯარიმოს დასტრიალებდა, ასეთ დროს კი ცენტრფორვარდის ფუნქცია მუდმივი მოძრაობა, თავისუფალი ზონების მოძებნა და გახსნაა – ვერ ვიტყვით, რომ ქარიმს მონდომება არ ეტყობოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი არაფერი გამოუვიდა და კიდევ ერთი უფერული შეხვედრა ჩაატარა. საფრანგეთში უკვე აქტიურად ითხოვენ, რომ ბენზემას ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში **ოლივიე ჟირუმ** ითამაშოს – ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ლორან ბლანი.

### მსაჯი

პორტუგალიელმა **პედრო პროენშამ** დაკისრებულ მოვალეობას თავი კარგად გაართვა და არც მის ასისტენტებს შეურცხვენიათ თავი. რამდენიმე სადავო ეპიზოდში, აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო და თამაშის სადავეებიც ბოლომდე ხელთ ეპყრა.

### მწვრთნელების დუელი

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ლორან ბლანმა ტაქტიკა-შემადგენლობაში კორექტივები შეიტანა, რამაც ნამდვილად არ გაამართლა. ფაქტია, რომ "მამლებმა" ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვეს და თუ ასე ითამაშეს მეოთხედგინალში, ესპანელთა დამარცხება ნამდვილად გაუჭირდებათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფრანგებმა ჯგუფში პირველი ადგილი დაკარგეს და შედეგად, პლეი ოფის პირველ სტადიაზე ევროპისა და მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებს გადაეყარნენ.

რაც შეეხება **ერიკ ჰამრენს**, მან სიტყვა შეასრულა და ევროპის ჩემპიონატი სენსაციური გამარჯვებით დაასრულა – ანუ, კარი გაიჯახუნა. სკანდინაველთა მწვრთნელმა კვლავ შესანიშნავად გამოიყენა იბრაჰიმოვიჩი, რომელიც სიღრმიდან ათამაშა – ჰამრენის ეს მოდელი შეიძლება "მილანის" მთავარმა მწვრთნელმა, **მასიმილიანო ალეგრიმაც** გამოიყენოს, რომელიც ზლატანს გამოკვეთილი ფორვარდის პოზიციაზე ათამაშებს. ბლანის შეცდომების ფონზე, ჰამრენის ტრადიციული სვლები გამარჯვების მომტანი გამოდგა და შედეგიც სახეზეა.

### ანალიზი

თამაშის წინ, შვედეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ ერიკ ჰამრენი კიდევ ორი წლით დარჩება შვედეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე და გუნდის შენების პროცესიც მასთან ერთად გაგრძელდება. ჰამრენმა თავის მხრივ, მადლობა გადაუხადა ფედერაციას ნდობისთვის და დასძინა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, გუნდის ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩება; ამ ყველაფერს მოჰყვა ზლატან იბრაჰიმოვიჩის ბრიფინგი, სადაც მან სანაკრებო კარიერის გაგრძელების შესახებ გააკეთა განცხადება და დაამატა, დარწმუნებული ვარ, ბრაზილიაში გასამართ მუნდიალზე წარმატებით ვიასპარეზებთო. როგორც ჩანს, ყველაფერ ამან, შვედებზე ძალიან კარგად იმოქამედა – მთელი თამაში ფაქტობრივად უშეცდომოდ ჩაატარეს და სრულიად დამსახურებლად მოიგეს. საფრანგეთის ნაკრებმა კი თავისი გულშემატკივრები აშკარად დაზაფრა – კარგად ჩატარებული ორი მატჩის შემდეგ, გუნდმა უსახური თამაში აჩვენა და უმოტივაციო მეტოქეს ვერაფერი დააკლო.

### დასკვნა

საფრანგეთის ნაკრები დამარცხდა არა მხოლოდ კონკრეტულ შეხვედრაში, ინგლისელებთან დუელშიც და ჯგუფში მეორე ადგილს დასჯერდა – ეს ადგილი კი ესპანეთთან დაპირისპირებას ნიშნავს, გუნდთან, რომელიც დღეს, აბსოლუტურად ყველა მეტოქესთან ფავორიტია. ამასთან, ლორან ბლანს **ფილიპ მექსეს** იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომელმაც ყვითელი ბარათების ლიმიტი ამოწურა და დისკვალიფიკაციაც მიიღო. მოკლედ, ფრანგებმა გაირთულეს ცხოვრება, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.



ზლატან იბრაჰიმოვიჩის სუპერ-დარტყმა

**ლაშა ნიკლაური**

# 2012

D ჯგუფი. III ტური

**მატჩი №24. 19.06. დონეცკი. დონბას არენა**

| ინგლისი | | უკრაინა | |
|---|---|---|---|
| | 1 | | 0 |

**ინგლისი (4-4-1-1):** ჰარტი – ჯონსონი, ტერი, ლესკოტი, კოული – მილნერი (უოლკოტი 69), ჯერარდი, პარკერი, იანგი – რუნი (ოქსლეიდ-ჩემბერლენი 87) – უელბეკი (კეროლი 82)

**უკრაინა (4-3-1-2):** პიატოვი – გუსევი, ხაჩერიდი, რაკიცკი, სელინი – იარმოლენკო, ტიმოშჩუკი, კონოპლიანკა – გარმაში (ნაზარენკო 78) – დევიჩი (შევჩენკო 70), მილევსკი (ბუტკო 77)

**გოლები:** 1:0 რუნი (48)

**გაფრთხილება:** ჯერარდი, კოული – ტიმოშჩუკი, რაკიცკი, შევჩენკო

**კარში დარტყმა:** 7(3)-14(3); **კუთხური:** 6-10; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 0-0; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 48 700

# მოპარული გოლი

**„დონბას არენაზე“ გუნდების ბედი წყდებოდა. მასპინძელს მარტო მოგება აძლევდა ხელს, სტუმარს ფრეც ჰყოფნიდა. საბოლოოდ ინგლისელებმა პროგრამა-მინიმუმს „გადააჭარბეს“, მოიგეს, ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდეს და პლეი ოფში იტალიას დაეჯახნენ. როი ჰოჯსონის შეგირდებს იქ უკვე მძიმე გამოცდა ელით.**

## ტაქტიკა/სტრატეგია

ინგლისთან თამაშამდე **ოლეგ ბლოხინს ანდრიი შევჩენკო** დააკლდა, რამაც მას ძირითადში ოთხი ცვლილებისკენ უბიძგა. რაკი მას მარტო მოგება სურდა, შემადგენლობაც შედარებით შემტევი დააყენა. შეცვლებზე შესულმა უკრაინელმა ფეხბურთელებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

სტუმართა (პირობით მასპინძელთა) ტაქტიკა კი არაფრით განსხვავდებოდა წინა მატჩებისგან. ბეტონივით მყარი დაცვა, მაღალი კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული მუშა ნახევარდაცვა იგივე იყო, ერთადერთი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი კი ნაკრებს მე-10 ნომერი ჰყავდა. **უეინ რუნისთან** ერთად ინგლისი ნამდვილად სხვა გუნდია, რაც გუშინდელმა მატჩაც დაადასტურა.

## საუკეთესო ფეხბურთელი

### უეინ რუნი (ინგლისი)

უეინ რუნიმ ეს სტატუსი მხოლოდ გადამწყვეტი გოლის ავტორობით კი არ დაიმსახურა, იმითაც, რომ მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც მან მოედანზე გაატარა, მასპინძელთა მცველებისთვის ამოსუნთქვის საშუალება არ მიუცია.

## ფეხბურთელი იმედგაცრუება

### არტემ მილევსკი (უკრაინა)

**არტემ მილევსკის** სერიოზული როლი ჰქონდა. სწორედ მას უნდა შეეცვალა ანდრეი შევჩენკო, თუმცა მან ეს ტვირთი ვერ ზიდა. არ ვუკარგავთ, რომ ბევრს შრომობდა, მაგრამ უკრაინელთა მხრიდან სწორედ მას ჰქონდა ყველაზე რეალური მომენტი, რომელიც ქარს გაატანა.

## მსაჯი

უეფამ მატჩზე ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ახალგაზრდა არბიტრი **ვიქტორ კაშაი** მიავლინა. ძირითად შემთხვევებში 36 წლის უნგრელი მონოდების სიმაღლეზე იყო, თუმცა 62-ე წუთზე მან უკრაინის ნაკრების თავდამსხმელ **მარკო დევიჩს** აშკარა გოლი წაართვა და ამით ინგლისის ნაკრებს სერიოზული სამსახური გაუწია. გასაგებია, რომ ფრეც კუნძულელებს აძლევდათ ხელს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასპინძელთა არჩათვლილმა გოლმა ამით ფასი დაკარგა. ამ შეცდომით კაშაიმ მთელი გარჯა წყალს გაატანა.

## მწვრთნელების დუელი

ოლეგ ბლოხინი იძულებული გახდა, ანდრეი შევჩენკო ტრავმის გამო სკამზე დაესვა. შევასთან ერთად ძირითადს მიღმა აღმოჩნდა **ანდრეი ვორონინიც.** მათ ადგილზე **მარკო დევიჩი** და **არტემ მილევსკი** გამოჩნდნენ, რომელთაც გუნდს მეტი მობილურობა შესძინეს. უკრაინელთა გუნდში აქტიურობდნენ ფლანგის ნახევარმცველები **ანდრეი იარმოლენკო** და **ევგენი კონოპლიანკა.** უკანასკნელი ტექნიკით კი გამოირჩეოდა, მაგრამ ტაქტიკური თვალსაზრისით საკმაოდ ლარიბულად გამოიყურებოდა - მიიღებდა თუ არა ბურთს, ცენტრისკენ იწევდა და ფლანგზე **ევგენი სელინს** უთავისუფლებდა სივრცეს. ეს უკანასკნელი კი შეტევაში ჩართვაზე პრაქტიკულად არ ფიქრობდა. იარმოლენკოს ფლანგზე შედარებით აქტიური იყო მეორე განაპირა მცველი **ოლეგ გუსევი.** ამ ტაქტიკით ბლოხინის გუნდს სათამაშო უპირატესობა 90 წუთი ეპყრა ხელთ, მაგრამ მან მთავარი ვერ მოახერხა და დამარცხდა.

რაც შეეხებათ ინგლისელებს, მათი უმთავრესი ტაქტიკა თავის კარგად დაცვა გახლდათ. ისინი მთელი 90 წუთის განმავლობაში მეტოქის შეცდომებს უცდიდნენ. “ლომებმა” პირველ ნახევარში კარში ერთხელაც ვერ დაარტყეს. მათი მხრიდან ბურთის განაწილება **სტივენ ჯერარდს** დაევალა, ვინც ამ მხრივ ნამდვილად გამოირჩეოდა. ჰოჯსონს ჩანაფიქრმა ნამდვილად გაუმართლა.



## ანალიზი

პირველი რეალური მომენტი ევგენი სელინის ჩაწოდებისა და მილევსკის პასის შემდეგ მარკო დევიჩს შეექმნა, თუმცა ბურთი **სკოტ პარკერს** მოხვდა და სიტუაცია განიმუხტა. შემდეგ უკვე კონოპლიანკამ სცადა გატანა, მაგრამ **ჯონ ტერის** გაარტყა. მალე ოლეგ გუსევს შეეძლო თავის გამოჩენა, თუმცა საჯარიმოს გარედან დარტყმული ხარიხას ოდნავ გადასცდა.

22-ე წუთისთვის ინგლისელებმა პირველი ხიფათის მაგვარი შექმნეს. ჯერარდის საჯარიმოს რუნი ვერ შესწვდა. ეს რომ არა, პიატოვი ბურთის ამღები ნამდვილად არ იყო. მალე იანგის პასით სცადა რუნიმ ანგარიშის გახსნა, მაგრამ სიზუსტე არ ეყო. ბურთმა ძელს მეტრზე მეტში ჩაუარა. 30-ე წუთზე იარმოლენკოს შეექმნა მომენტი, თუმცა ბრწყინვალედ ითამაშა **ჯო ჰარტმა.** ინგლისელთა დაცვამ არც დევიჩს მისცა გატანის საშუალება. 41-ეზე იარმოლენკო საჯარიმოს მისადგომებთან პატარა ბავშვივით გაუსწორდა რამდენიმე ინგლისელ მცველს, მაგრამ ბოლოს კუთხურის მეტს ვერაფერს გამორჩა.

მეორე ნახევარი უკრაინელთა დაცვის უხეში შეცდომით დაიწყო. 48-ე წუთზე ჯერარდმა საჯარიმოში ჩააწოდა, **დენი უელბეკმა ევგენი ხაჩერიდის** დაასწრო, ვერც ანდრეი პიატოვმა ივარგა, ვისაც ბურთი ხელებს ქვეშ გაუძვრა. საბოლოოდ ბურთმა რუნის თავი მოძებნა. “იუნაიტედის” ვარსკვლავმა კარის ხაზზე მდგარმა გაიტანა - 1:0.

გოლმა უკრაინელები ცოტა დააბნია. გუსევის ჩაწოდების შემდეგ დამაჯერებლად ითამაშა ჰარტმა. მასპინძლები ლამის მთელი ძალებით გადავიდნენ შეტევაზე, რითაც სარგებლობა ინგლისელებს შეეძლოთ. ჯერარდის პასით კონტრშეტევაზე რუნი გაიქცა, მაგრამ სწრაფმა უკრაინელებმა მისი ეს მცდელობა მალევე აღკვეთეს.

61-ე წუთზე არტემ მილევსკის მშვენიერი შანსი მიეცა, მაგრამ თავდამსხმელმა ახლოდან ვერ გაიტანა. 62-ე წუთზე კი ის მოხდა, რაც ნამდვილად დიდი განსჯის საფუძველი გახდება. ვიქტორ კაშაიმ და მისმა ასისტენტებმა მარკო დევიჩს 100%-იანი გოლი არ ჩაუთვალეს. 68-ე წუთზე ინგლისის ნაკრების რიგებში პირველი გოლის გატანა შეეძლო **ეშლი კოულს,** მაგრამ პიატოვმა იყოჩალა. მომენტები მატჩის ბოლომდე ორივე კართან იქმნებოდა. აქეთ კონოპლიანკას შეეძლო გათანაბრება, იქით რუნის შეეძლო დუბლის შესრულება, მაგრამ საბოლოოდ თამაში ამავე ანგარიშით დასრულდა.



ამ მომენტში ჯონ ტერიმ ინგლისელები ვერ გადაარჩინა, მაგრამ... მსაჯმა გოლი არ ჩათვალა

## დასკვნა

კუნძულელებმა ყველას დაუმტკიცეს, რომ არ ეშინიათ არანაირი ზეწოლის, იქნება ეს სათამაშო თუ მინდორს გარეთ ფსიქოლოგიური. ჰოჯსონის გუნდს ჯგუფში საკმაოდ ძლიერი ნაკრებები ჰყავდა და მან ღირსეულად განვლო ეს ეტაპი. გასწვდება თუ არა კუნძულელთა მწვრთნელის ცოდნა იტალიის ნაკრებსაც, ამას რამდენიმე დღეში ვნახავთ.

**ლევან ბიბილაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| 2. საფრანგეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 3. უკრაინა | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 4. შვედეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |



ქართული სპორტი

● თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ახალგაზრდული პირველობა

# ბრინჯაოს დასაწყისი

## არასახარბიელო სტარტი ხორვატიაში




ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში გუშინ დაიწყო ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომლის პირველი ორი დღეც თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს ეთმობათ. ჩვენმა ნაკრებმა მოსამზადებელი ეტაპი ბრწყინვალედ გაიარა, თუმცა სტარტი არცთუ შთამბეჭდავი გამოუვიდა – პირველ დღეს მხოლოდ ერთ ბრინჯაოს დასჯერდა, რომელიც გორელმა **ჯუმბერ ყველაშვილმა** (74) მოიპოვა. ანალოგიურ წარმატებამდე ერთი მოგება დააკლდა მისივე თანაქალაქელ **ომარ გუსოშვილს** (96), რომელმაც ბრინჯაოსთვის გამართული შეხვედრა დათმო და მეხუთე ადგილს დასჯერდა.

ორივე მათგანი ნახევარფინალში გავიდა და იქიდან მოუხდათ გადაბარგება დამამშვიდებლის ფინალში. ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონი ყველაშვილი პირველ წრეში ისვენებდა, სასტარტო შეხვედრაში კი ლატვიელი **არნას დრაუგელისი** ორ პერიოდში გვარიანი უპირატესობით დაჯაბნა – 4:1; 6;2. გერმანელ **აჰმედ დუდაროვთან** ბრძოლა ბევრად დაძაბული გამოდგა და ჩვენებურს დამატებითი დროც დასჭირდა –პირველი პერიოდი 0:1 დათმო, მეორე 1:1-ზე ბოლო ქულის წყალობით მოიგო, დამატებითში კი 1:0 იმარჯვა. მესამე პერიოდამდე მივიდა საქმე ნახევარფინალში თურქ **აბდულკადირ ოზმენთან**, რომელთან შეხვედრაც გორელმა კატასტროფულად დაიწყო – 0:5 დამარცხდა. მეორე პერიოდი მინიმალური ანგარიშით მოიგო – 1:0, დამატებითში კი 4:5 დამარცხდა და დამამშვიდებელში გადაინაცვლა, სადაც ბრინჯაოსთვის შერკინებაში რუმინელ **სებასტიან უტას** დააყრევინა ფარ-ხმალი – 1:0; 2:0. ყველაშვილი ნაკრების დებიუტანტია და მისასალმებელია, უმედლოდ რომ არ დარჩა.

პირველ წრეში გუსოშვილიც ისვენებდა, რომელმაც ტურნირის ძირითად ბადეში სამი ორთაბრძოლა გამართა და აქედან მხოლოდ ერთი დაასრულა ორ პერიოდში. მან პირველ შეხვედრაში დამატებით დროში ბერძენი **ასიგკრიტოს მოურანტიდისი** დაამარცხა – 2:3; 4:0; 2:0, მერე კი პოლონელ **რობერტ ბარანს** იოლად მოუგო – 4:0; 2:1. დასანანი იყო მარცხი ნახევარფინალში ბელარუს **დმიტრი ჰარბუნოუსთან,** რადგან დამატებითში მინიმალური ანგარიშით დამარცხდა – 0:1. მან წააგო პირველი პერიოდიც – 0:3, თუმცა მეორეში 4:0 იმარჯვა და ანგარიში გაათანაბრა. სამწუხაროდ, კონცენტრაცია ვერც მესამე ადგილისთვის შეხვედრაში შეძლო აზერბაიჯანელ **საიდ გამიდოვთან** და ორ პერიოდში წააგო. მართალია, ორივეში მინიმალური სხვაობით დამარცხდა – 2:3; 3:4, მაგრამ ეს წარუმატებლობას ვერ ამართლებს. არადა, გუსოშვილი გუნდში ერთადერთია, ვინც წლეულს საქართველოს პირველობა ვერ მოიგო - მეორეზე გავიდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოსამზადებელ პერიოდში უცხოურ ტურნირებში კონკურენტს აჯობა.

ამავე წონაში კიდევ ერთი ქართველი გამოდიოდა – სომხეთის სახელით **ვიქტორ ყაზიშვილი** ჭიდაობდა, ერთი შეხვედრაც მოიგო და მერე დამამშვიდებელშიც გადავიდა, თუმცა მაინც უმედლოდ დარჩა.

გუშინ კიდევ ორ ქართველს უნდა ეჭიდავა, მაგრამ ხალიჩაზე მხოლოდ **ბექა ბუჯიაშვილი** (50) გავიდა, **ლევან ქელეხსაშვილი** (60) კი არ აწონილა. სამწუხაროდ, ბუჯიაშვილი პირველივე შეხვედრაში დამარცხდა – უკრაინელ **არმენ არაქელიანთან** (1:3; 0:5) და მერე არც სანუგეშოში გადასვლის საშუალება მიეცა.

დღეს ზაგრებში დარჩენილი წონების წარმომადგენლებიც იჭიდავებენ და, იმედია, ამჯერად მაინც ვიხილავთ ქართულ კვარტეტს. ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ევროპის პრიზიორი **ლაშა ტალახაძე** (55), რომელიც აქამდე 50-ში გამოდიოდა, მაგრამ შარშან წონის დაკლება ისე გაუჭირდა, მსოფლიოს პირველობაზე ცუდად გახდა და ბრინჯაოსთვის შეხვედრა ველარ გამართა, წლეულს კი ახალ წონაში გადმოვიდა, პირველ ორთაბრძოლას რუს **საიდ გაზიმაგომედოვთან** გამართავს, **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66) – მოლდოველ **ტომა ვასკანთან, სანდრო ამინაშვილი** (74) კოსოვოელ **შალა ედონს** ხვდება, ახალგაზრდებში ევროპის პრიზიორი, ჭაბუკებში მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონი **გენო პეტრიაშვილი** (120) – უკრაინელ **მურადინ კუშკოვს.**

**ირაკლი თავაძე**

● ძიუდო. რეგიონი




# უკვე საერთაშორისო

მესტიამ ამ დღეებში ნესტორ ხერგიანის სახელობის ტურნირს უმასპინძლა 1996-1998 და 1999-2000 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის. ტურნირმა, რომელიც ძიუდოს ეროვნული ფედერაციის კალენდარშია შესული, წლეულს საერთაშორისო სტატუსი მიიღო, რადგან მასში უკრაინის გუნდიც მონაწილეობდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სტუმრებმა კარგად იასპარეზეს და რამდენიმე მედალიც მოიპოვეს. ისინი სამომავლოდაც გეგმავენ მონაწილეობას ამ საინტერესო შეჯიბრებაში.

ნორჩი ძიუდოისტები მესტიას საქართველოს მრავალი კუთხიდან ესტუმრნენ, სულ ტატამზე უკრაინელ სტუმრებთან ერთად 237 სპორტსმენი გამოვიდა. გამარჯვებულები და პრიზიორები თასებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ. როგორც იცით, ჩვენი სახელოვანი ფალავანი, **ნესტორ ხერგიანი** 60 კგ-მდე წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. ამ წონაში გამარჯვებულისთვის დაწესებული სპეციალური პრიზი სამაჩაბლოელ **ვასო ჯარმენიშვილს** გადაეცა.

### კვარცხლბეკი

### 1996-1998 წლებში დაბადებულები

**35 კგ.** 1. ავთანდილ მუკბანიანი (ლენტეხი), 2. თორნიკე გულბანი (თეთრიწყარო), 3. გიგა პირველი, 3. ლუკა კვანჭიანი (ორივე - მესტია);

**38 კგ.** 1. საბა კაპანაძე (სამაჩაბლო), 2. ზურაბ კახნიაშვილი (გორი), 3. ბესო კვანჭიანი (მესტია), 3. გიორგი შონია (აბაშა);

**42 კგ.** 1. თემურ ნოზაძე, 2. ვასილ ქელდიყოშვილი (ორივე - გორი), 3. ბექა გირგვლიანი (მესტია), 3. ირაკლი ხერგიანი (თბილისი);

**46 კგ.** 1. რომიკო ბეგლარიშვილი (გორი), 2. ჯეირან წულაია (ფოთი), 3. ბაგრატ ნინიაშვილი (დმანისი), 3. გიორგი ხომუკი (ლემშვენიერა);

**50 კგ.** 1. ჯაბა ქურდიანი (ქუთაისი), 2. ლევან ჩხვიმიანი (დმანისი), 3. გიორგი რუხაძე (აბაშა), 3. რომან რატიანი (მესტია);

**55 კგ.** 1 ალუდა ჩეკურიშვილი (გურჯაანი), 2. ლუხუმ კვანჭიანი (მესტია), 3. ლერი ჩხეტიანი (დმანისი), 3. ილია შუბითიძე (სამაჩაბლო);

**60 კგ.** 1. ვასილ ჯარმენიშვილი (სამაჩაბლო), 2. ირაკლი გულედანი (მესტია), 3. ბექა ოთინაშვილი (სამაჩაბლო), 3. დიმიტრი მაქაცარია (ზუგდიდი);

**66 კგ.** 1. ბექა ფალიანი (მესტია), 2. გიორგი ყალაბეგაშვილი (თბილისი), 3. თორნიკე მახათაძე (სამაჩაბლო), 3. იმედა გუდავაძე (ოზურგეთი);

**73 კგ.** 1. გიორგი ციხელაშვილი (დმანისი), 2. ლუკა ფუტკარაძე (სენაკი), 3. ავთო იოსელიანი (მესტია), 3. ჯაბა ლიპარტელიანი (ქუთაისი);

**81 კგ.** 1. ირაკლი გოგია (ზუგდიდი), 2. დავით დავითულიანი (ქუთაისი), 3. სერგეი ბილი (უკრაინა), 3. ირაკლი გოგებაშვილი (ბოლნისი);

**+81 კგ.** 1. ბაქარ კუხიანიძე (ქუთაისი), 2. კონსტანტინე ხაბეიშვილი (ქობულეთი), 3. ბექა ძოწენიძე (ქუთაისი), 3. მიხეილ ჟორჟოლიანი (მესტია).

### 1999-2000 წლებში დაბადებულები

**27 კგ.** 1. კოტე კაპანაძე, 2. ბექა წიფიანი (ორივე - მარნეული), 3 ვანო გერლიანი (ზუგდიდი), 3. ბერდია პირველი (მესტია);

**30 კგ.** 1. ზურაბ ბეჟანიშვილი (მარნეული), 2. ბექა ბონდარენკო (ქუთაისი), 3. ლუკა კაპანაძე (მარნეული), 3. გიორგი კვანჭიანი (მესტია);

**34 კგ.** 1. ვახტანგ ვიბლიანი, 2. ლაშა გირგვლიანი (ორივე - დმანისი), 3. საბა ირემაძე (ქუთაისი), 3. ბექა სანაია (ფოთი); **38 კგ.** 1 ლაშა გუგავა, 2. დავით ლიპარტელიანი (ორივე - ლენტეხი), 3. ლუკა ცხვედიანი (ქუთაისი), 3. ცოტნე ალანია (აბაშა);

**42 კგ.** 1. ალეკო მამიაშვილი (გორი), 2. ლუკა ხერგიანი (მარნეული), 3. ლევან გუგავა (ლენტეხი), 3. რომან კვანჭიანი (ზუგდიდი);

**48 კგ.** 1. ილია გაზდელიანი (ლენტეხი), 2. გოგიტა დევდარიანი (მესტია), 3. საბა ხურციძე (ქუთაისი), 3. გიორგი ქარჩავა (თბილისი);

**50 კგ.** 1. საბა მეშველიანი (ლენტეხი), 2. მანუკი მარგიანი (დმანისი), 3. ვლადისლავ მაიბოროდა, 3. ვლადისლავ დიდენკო (ორივე - უკრაინა);

**55 კგ.** 1 გიგა იმერლიშვილი (ახმეტა), 2. გელა ცინდელიანი (მესტია), ლუკა გერგაია, 3. გიორგი სართანია (ორივე - ზუგდიდი);

**+55 კგ.** 1. ნიკა დონლვანი (ქუთაისი), 2. ალექსი გოგუა (ხობი), 3. ლაშა ხერგიანი, 3. საბა გაბრიჭიძე (ორივე - მესტია).

**„ლელოს“ კორ.**

● მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი



# ნარიმანიძე – ლიდერებში

ამერიკულ ოგდენში დაიწყო მშვილდოსანთა მსოფლიოს თასის რიგით მესამე გათამაშება, რომელიც პარალელურად, სალიცენზიო სტატუსისაა. ტურნირში საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდები სამ-სამი მონაწილით გამოდიან: **ლაშა ფხაკაძე, ირაკლი ქვლივიძე, თორნიკე რიჟამაძე, ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე, ასმათ დიასამიძე.**

გუშინ საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართა, თუმცა სასაათო სარტყლებს შორის არსებული სხვაობის გამო დაწვრილებით მხოლოდ ვაჟთა გამოსვლაზე თუ ვისაუბრებთ. სამწუხაროდ, ფხაკაძის გარდა, სხვები კვლავაც მონაწილეობით შემოიფარგლნენ, თუმცა ოგდენში გუნდის ლიდერიც გვარიანად ჩამორჩა საკუთარ რეკორდს და მე-60-ე ადგილზე გავიდა. ფხაკაძემ თვის დასაწყისში საქართველოს ჩემპიონატში 665 ქულით ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა, ახლა კი მხოლოდ 633 დააგროვა. ის თავიდან უფრო უკეთ ისროდა და შეჯიბრების შუაწელში 42-45-ე ადგილებს შორის იდგა, თუმცა მერე პოზიციები დათმო.

ქვლივიძემ 602 ქულა დააგროვა და 162 მონაწილეს შორის 122-ე ადგილზეა, რიჟამაძე კი 597-ით – 126-ზე. გუნდურ ჩათვლაში ქართული სამეულის საერთო მონაგარი 1832 ქულაა, რაც 31-ე ადგილს შეესაბამება. ამდენად, ჩვენები პლეი ოფში ვერ ისვრიან, მაგრამ ხვალ სალიცენზიო ტურნირში კი გამოვლენ.

წუხელ, ღამის 1 საათზე ქალებს შეჯიბრების მხოლოდ ნახევარი ჰქონდათ გავლილი, ჩვენებიდან კი ყველაზე უკეთ ნარიმანიძე ისროდა. 36 გასროლის შემდეგ მისი მონაგარი 323 ქულა და IX ადგილი იყო. დიასამიძე 313 ქულით 37-ე იყო, ესებუა კი 295-ით 86-ე პოზიციას იკავებდა. იმ დროისთვის ქალთა ნაკრები გუნდურში XI იყო ანუ პლეი ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებდა.

დასასრულ შეგახსენებთ, რომ ინდივიდუალურ სალიცენზიო ტურნირში მხოლოდ იმ ნაკრებების წარმომადგენლები მიიღებენ ჩათვლას, რომლებსაც არც ერთი საგზური არ აქვთ, ოღონდ საამისოდ ხუთეულში უნდა მოხვდნენ. გუნდურში საგზურებს სამეულში მოხვედრილები მიიღებენ.

**ირაკლი თავაძე**

● შეკითხვა „ლელოს“

**შეკითხვა:** გამიგია, რომ სიტყვა „დოპინგი“ ცხენოსნობიდან დამკვიდრდა. როგორ?

**კახა გეგეშიძე**
ქუთაისი

**პასუხი:** დოპინგის ცნება პირველად სწორედ საცხენოსნო სპორტში გაჩნდა. ჯერ კიდევ ძველი რომაელი მეეტლეები ცხენებს თაფლნარევ წყალს ასმევდნენ, რაც ხელს უწყობდა სისწრაფის გაზრდას. XVII საუკუნის ტექსტებში აღწერილია დოლის დროს მასტიმულირებელი საშუალებების გამოყენების ფაქტები. XIX საუკუნის მიწურულს, ფარმაცევტული ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად, დოპინგის გამოყენების პრობლემა უფრო აქტუალური გახდა. ცხენის ნერწყვში ალკალოიდების კვალი პირველად 1910 წელს აღმოაჩინეს ავსტრალიაში. 1966 წელს ინგლისში გამოცემულ ოფიციალურ დეკრეტში პირველად მოიხსენიება „ცხენების დოპინგი“. საცხენოსნო სპორტში დოპინგს სხვადასხვა მიზნით იყენებენ (ტრავმის შენიღბვა, კიდურების მგრძნობელობის გაზრდა, ცხენის აღგზნება და ა.შ.). აკრძალული ნივთიერების გამოყენება ზოგჯერ აუცილებელიც კი ხდება. ვეტერინარული კომისია ხშირად თავად იძლევა ამის უფლებას (მაგალითად, ცხელ ამინდში ნებადართულია მარილხსნარების შეყვანა ცხენის ორგანიზმში მარილების ბალანსის აღსადგენად). საცხენოსნო სპორტში დოპინგ-კონტროლი შემოიღეს 1974 წელს კიევში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე.



## ქართული სპორტი

### სუმო




# ხუთნი შვიდი მედლით

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში სუმოისტთა ევროპის ჩემპიონატზე 17 ქვეყნის წარმომადგენლებმა იასპარეზეს. ქართველები შეჯიბრებაზე ხუთკაციანი დელეგაციით ჩავიდნენ, ამის მიუხედავად, შვიდი ჯილდო მოიხვეჭეს. განსაკუთრებით ახალგაზრდებმა იყოჩაღეს: მძიმე წონაში **გიგა გელაშვილმა** და აბსოლუტურ წონით კატეგორიაში **ზურაბ აქუბარდიამ** ოქროს მედლები დაიმსახურეს. ჩვენებურთა დუეტმა გუნდურშიც აჯობა ყველას. ზურაბმა 100 კილოშიც მოსინჯა ძალები. მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა.

უფროსებში **ავთანდილ ცერცვაძემ** გამოიჩინა თავი: +115 კილოგრამსა და აბსოლუტურში ვერცხლის მედლები მოიპოვა. ასევე მეორე იყო საქართველოს ნაკრები (ავთანდილ ცერცვაძე, **ზაზა ბალაშვილი, იასონ კარიბოვი** და ზურაბ აქუბარდია).

ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას საქართველოს სუმოს ფედერაციის თავკაცი **თენგიზ რუხაძე** ევროპის სუმოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

ვაჟა დანელია

### ჩოგბურთი

# მასპინძლებმა თავი მოიწონეს

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დამთავრდა 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. საასპარეზოდ 10 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. მასპინძლებმა ოთხი ოქროს და ამდენივე ვერცხლის მედალი მოიხვეჭეს.

14 წლის გოგონათა ძირითად ბადეში 17 ჩვენებური ცდიდა ძალებს. ნახევარფინალში სამმა მათგანმა გააღწია. პირველ ნომრად განთესილმა **მარიამ ბოლქვაძემ** აქ მეექვსე ნომერ **ქრისტინე გეგეშიძეს** აჯობა (6:2, 6:3) და ფინალში ანასტასია ბლიუკტეროვას (რუსეთი) მძლეველ (4:6, 6:1, 7:6) **ანა ახალკაცს** დაუპირისპირდა. ბოლქვაძეს გადამწყვეტ პაექრობაში გამარჯვებაც არ გასჭირვებია (6:3, 6:3) და მთავარი პრიზიც მოიპოვა. ახალკაცი წყვილთა შორისაც გავიდა ფინალში სეხნია **ანა მუჯირთან** ერთად (ნახევარფინალში პირველ ნომრად განთესილი რუსების - მარია ტურინას და ვალერია დიომინას დუეტი ჩამოიცილეს გზიდან), მაგრამ მთავარი პრიზი აქაც დათმო **მედეა პეტრიაშვილისა** (საქართველო) და **ანა პეტროვას** (უკრაინა) ინტერნაციონალურ წყვილთან - 7:6, 5:7 (8:10).

ბიჭებში უძლიერესი იყო პაველ კოტოვი (რუსეთი). გადამწყვეტ შეხვედრაში მან რუსეთში მცხოვრები **დავით ნორაკიძე** დაჯაბნა - 6:3, 6:4, არადა, ნახევარფინალში ამ უკანასკნელმა ტურნირის ფავორიტ ტიმურ იგამბერდიევს (რუსეთი) დააყრევინა ფარ-ხმალი - 6:3, 6:3. გოგონების მსგავსად, ვაჟთა წყვილებშიც ქართულ-უკრაინულმა დუეტმა იმარჯვა: **ირაკლი მეტრეველმა** და **არტიომ როლიჩმა** პირველ წრეში **დავით გიორგაძე** (რუსეთი) და **საბა ფურცელაძე** (საქართველო) დაამარცხეს - 6:1, 6:1, შემდეგ ასეთივე ანგარიშით **ნიკოლოზ დავლიანიძესა** და **ვაჟა შუბლაძეს** (ორივე - საქართველო) სძლიეს, ნახევარფინალში ტურნირის ფავორიტებს - მურათ გურელსა (თურქეთი) და მაქსიმ ზუბკოვს (ბელარუსი) აჯობეს - 6:3, 3:6, 10:7. ბოლო დაძაბულ პაექრობაში დავით ნორაკიძე და სავა პოლუხინი (ორივე - რუსეთი) დაჯაბნეს - 7:5, 7:5.

16-წლიან გოგონებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა პირველ ნომრად განთესილი ალინა ზუბკოვა (ბელარუსი). მან ბოლო სამ შეხვედრაში ზედიზედ სძლია **მარიამ მითაიშვილს** (6:3, 6:3), **თამარ კუტუბიძეს** (6:2, 6:3) და **ეკატერინე ლასარეიშვილს** (7:6, 6:2). მეორე პრიზი ლასარეიშვილს ერგო. ეკატერინე მეორე ადგილზე გავიდა მარიამ მითაიშვილთან ერთად წყვილთა დუელში. აქ მათ, ასევე, ჩვენებურებმა - მარიამ ბოლქვაძემ და თამარ კუტუბიძემ აჯობეს - 6:0, 6:0.

ვაჟების ერთეულთა თანრიგში ტოლი არ ჰყავდა ბერძენ სტეფანოს ციციპასს. ელადელს ნახევარფინალში უკრაინელი დენის გეველის დასამარცხებლად სამი ხელი (1:6, 6:1, 7:6) დასჭირდა, გადამწყვეტი ორთაბრძოლაც თანამემამულე დიმიტრის სტავროპულოსს სამ სეტში მოუგო - 6:3, 4:6, 6:4.

წყვილებშიც უცხოელებმა იყოჩალეს. პირველი ადგილი სომხებმა - მიქაილ ავეტისიანმა და არშაკ ხაზარიანმა დაიკავეს, რომლებმაც ფინალში სტანისლავ ალიოხინს და დენის გეველს (ორივე - უკრაინა) სძლიეს - 7:5, 6:3.

თბილისის ტურნირის მონაწილეებმა "ოლიმპის" კორტებზე გადაინაცვლეს, სადაც, ასევე, ტრადიციულ "რენას და დათოს თასის" გათამაშებაში ჩაებნენ.

ვაჟა დანელია

### ჭადრაკი

# საჭურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესეს

სომხურ ჯერმუკში კარენ ასრიანის მემორიალის მონაწილეებმა ოთხი ტური მოილიეს. სამი ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულით 11 მოჭადრაკე ლიდერობდა. გუშინ მათი რაოდენობა სამამდე შემცირდა: თბილისელმა დიდოსტატმა **დავით არუთინიანმა** თანაქალაქელ სეხნიას **დავით ლომსაძეს** სძლია, ტიგრან კოტანჯიანმა - დავით შაჰინიანს, ჰრაირ სიმონიანმა კი სურენ პოღოსიანს მოუგო. 3,5-3,5 ქულით სწორედ გამარჯვებულთა ტრიო დაწინაურდა.

ლიდერებს მიუახლოვდა **კონსტანტინე შანავა,** რომელმაც ჰოვანეს გაბუზიანს აჯობა, **გაიოზ ნიგალიძემ** - ჰაიკ მუშეხიანს, **სოფიკო გურამიშვილმა** შავი ფიგურებით დიდოსტატ ევგენია დოლუხანოვას გააჩერებინა საათი. **დავით მალალაშვილმა** სარგის მანუკიანთან წააგო, არადა, მეტოქეს რეიტინგში 204 პუნქტით უსწრებს.

ოთხი ტურის შემდეგ ჩვენებურთა მონაგარი: არუთინიანი-3,5, შანავა-3, ლომსაძე, გურამიშვილი-2,5-2,5, მალალაშვილი, ნიგალიძე-1,5-1,5 ქულა.

მე-5 ტურში ქართველი მოჭადრაკეები მეტოქეებს ასე დაუწყვილდნენ: კოტანჯიანი-არუთინიანი, ბაბუჯიანი-შანავა, ლომსაძე-ჰაირაპეტიანი, გურამიშვილი-პეტროსიანი, მალალაშვილი-ხაჩიკიანი, კარატოროსიანი-ნიგალიძე.

ვაჟა დანელია

# ოლიმპიური საქართველო 1952-2012

## ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიით და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებით და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება".
ხუან ანტონიო სამარანჩი

## ზაფხულის XXI ოლიმპიური თამაშები, 1976 წ. მონრეალი, 17 ივლისი - 1 აგვისტო

Montréal 1976


ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა) - I


ლევან თედიაშვილი (თავ. ჭიდაობა) - I


ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი) - I


რამაზ ხარშილაძე (ძიუდო) - II

**საქართველოდან მონრეალში საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში გამოდიოდა 11 სპორტსმენი, რომელთა წილად მოდის 3 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი. სულ - 6 ოლიმპიური ჯილდო. მონაწილეობდნენ: 92 ქვეყანა, 6084 სპორტსმენი**


მიხეილ ქორქია (კალათბურთი) - III


შოთა ჩოჩიშვილი (ძიუდო) - III


იგორ ომელჩენკო (ცურვა) - V


ვლადიმერ ისელიძე (წყალბურთი) - VIII


იგორ კუშპელიოვი (ცურვა) - X


მარლენ პაპავა (ტყვიის სროლა) XXVI


ოლეგ ზურაბიანი (ძიუდო) - I წრე

*„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი"* /ზაურ ბოლქვაძე/

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალათბურთი

● რუბრიკის პრემიერა

## ქართული სპორტის მგეზავები

### კალათბურთელები

საქართველოში კალათბურთი სპორტის ის სახეობაა, რომლის წარმომადგენლები წარმატებით მონაწილეობდნენ ოლიმპიურ სარბიელზე, მსოფლიოს თუ კონტინენტის ჩემპიონატებში. დღეიდან თითოეული მათგანის სპორტულ ბიოგრაფიას მხოლოდ სტატისტიკის პრინციპით წარმოგიდგენთ.
მაშ ასე, ვიწყებთ 1952 წლიდან, როცა საქართველოს ათლეტები პირველად გავიდნენ ოლიმპიურ სარბიელზე მაშინდელი საბჭოთა რესპუბლიკების სპორტსმენებთან ერთად, პირველთა შორის კი ორი ქართველი კალათბურთელიც იყო. დღეს ერთ მათგანს წარმოგიდგენთ.



### ოთარ ქორქია

დაიბადა 10. 05. 1923 წელს ქუთაისში. გარდაიცვალა 12. 03. 2005 წელს თბილისში. ამ კალათბურთელის სიმაღლე იყო 190 სმ. თამაშობდა ქუთაისისა (1943-46) და თბილისის „დინამოში" (1947-58). იყო სსრკ ნაკრების წევრი (1947-55) და კაპიტანი (1953-55). 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, ევროპის სამგზის ჩემპიონი (1947, 51, 53) და მესამე პრიზიორი (1955), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1950, 53, 54), მეორე (1947) და ორგზის მესამე (1948, 52) პრიზიორი, სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1949, 50), სსრკ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე (1952). იყო სსრკ ახალგაზრდული ნაკრების (1958-62), თბილისის „დინამოს" (1962-67), კამბოჯის ქალთა და კაცთა ეროვნული გუნდების (1968-70) მთავარი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით თბილისის „დინამომ" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა (1962). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერი.

● სუპერლიგა. რუსთავი



ტუჯანი (№23) და ხმელიძე (№12) შსს-ელი იმნაძის წინააღმდეგ

# მიხეილ ბერუაშვილი: რუსთაველების დაბრუნებას ვცდილობთ

**„არმიას", „ოლიმპისა" და „ქუთაისის" შემდეგ 2011-12 წლების სეზონში „რუსთავის" გამოსვლის შეფასების დროც დადგა. ამ გუნდის მწვრთნელი, მიხეილ ბერუაშვილი საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების თავკაციცაა და ამიტომ ვესაუბრეთ როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო თემაზე. 18-წლამდელთა ამბები ნაცრისფერ ფონში მოვათავსეთ, აქ კი რუსთაველთა შესახებ ვთქვათ.**

- შარშან ქვემოქართლელები მეათე ადგილზე გავიდნენ, ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავდათ. საინტერესოა, ახალ სეზონში რა ძალის გუნდი იქნება „რუსთავი"...

- ამ მიმართულებით უკვე ვმუშაობთ და, იმედია, ყველაფერი დადებითად გადაწყდება. მხარში გვიდგას როგორც მხარის, ასევე ქალაქის ხელმძღვანელობა. ვცდილობთ, სხვადასხვა ქართულ კლუბებში მიმოფანტული რუსთაველები შევკრიბოთ და კლუბი გავაძლიეროთ. სადღეისოდ, მხოლოდ ამის თქმა შემიძლია, დანარჩენზე რამდენიმე კვირაში ვისაუბროთ.

**- განვლილ სეზონში „რუსთავმა" არათანაბარად ითამაშა: თავიდან არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებოდა, ჩემპიონატის დასკვნით მონაკვეთში კი თამაში გააუმჯობესა. რა იყო ამის მიზეზი?**

- გუნდი ძირითადად ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული, რომლებსაც სეზონის ბოლოს გამოცდილება შეემატათ. ასევე ჩემპიონატის შუაში შემოგვიერთდა ჟულივეტ ტუჯანი, რომელმაც საგრძნობლად გაგვაძლიერა. მეათე ადგილი დავიკავეთ, რაც დადებით შედეგად ვერ ჩაითვლება, თუმცა განვლილი ჩემპიონატი სასარგებლო იყო ახალგაზრდა რუსთაველებისთვის, რომლებსაც მაღალი დონის მეტოქეებთან უწევდათ თამაში.

**- ყველაზე მეტი პროგრესი ვინ განიცადა?**

- კარგად წარმოჩნდა ლევან ხმელიძე, რომელმაც არაერთი შეხვედრა ჩაატარა მაღალ დონეზე. თუმცა აქცენტს დაცვასა და გუნდურ თამაშზე ვაკეთებდით. ამ მხრივ ყველამ მოინდომა და ბევრიც იშრომა.

**- სეზონის ბოლოს, მომავალ ჩემპიონ „არმიასთან" თანაბრად ითამაშეთ. მატჩის ბედი უკანასკნელ წუთებზე გადაწყდა. ალბათ ეს იყო, ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი...**

- ტუჯანის დამატების შემდეგ არაერთი კარგი შეხვედრა ჩავატარეთ. არა მხოლოდ „არმიასთან", „დინამოსთან", „ქუთაისთან", „სამედიცინოსთან" თანაბრად ვიბრძოლეთ, მაგრამ ბოლო წუთებზე გამოცდილებამ თავისი გაიტანა და დავმარცხდით.

### სეზონის მონაგარი

| № | მოთამაშე | თ | წთ | 2ქ.ჩ. | 2ქ.ნ. | 2ქ% | 3ქ.ჩ. | 3ქ.ნ. | 3ქ% | 1ქ.ჩ. | 1ქ.ნ. | 1ქ% | მ.მ. | მ.დ. | მ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ზურაბ მაჟავარიანი | 19 | 25.7 | 2.2 | 5.3 | 41 | 0.9 | 2.6 | 34.7 | 1.2 | 2.1 | 59 | 0.9 | 1.6 | 2.5 | 2.7 | 2.8 | 3.1 | 0.7 | 0.1 | 8.2 |
| 5 | გაგა არაბული | 16 | 12.2 | 0.8 | 1.4 | 52.2 | 0.1 | 0.6 | 22.2 | 0.3 | 0.6 | 55.6 | 0.8 | 1.8 | 2.6 | 0.9 | 0.7 | 1.6 | 0.8 | 0.1 | 2.2 |
| 6 | გივი ბერუაშვილი | 13 | 7.6 | 0 | 0.7 | 0 | 0 | 0.2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.2 | 0.3 | 0.5 | 0.6 | 1.6 | 0.5 | 0.8 | 0.1 | 0 |
| 7 | დავით არწივიძე | 20 | 28.6 | 1.6 | 3.5 | 46.4 | 1.3 | 3.5 | 36.2 | 0.8 | 1.4 | 59.3 | 0.7 | 1.7 | 2.4 | 4.8 | 2.7 | 2.4 | 1.3 | 0 | 7.8 |
| 8 | ზურაბ თვარაძე | 9 | 11.4 | 0.4 | 1.4 | 30.8 | 0.8 | 1.8 | 43.8 | 0.1 | 0.1 | 100 | 1.1 | 1.1 | 2.2 | 1 | 2.2 | 1.3 | 0.7 | 0 | 3.3 |
| 9 | რატი ბაბაკაშვილი | 18 | 15.7 | 1.2 | 2.9 | 39.6 | 0.7 | 2.6 | 27.7 | 1.2 | 1.8 | 65.6 | 0.3 | 1.7 | 1.9 | 1.1 | 1.3 | 1.2 | 0.9 | 0.2 | 5.7 |
| 10 | რევაზ ჩაჩანიძე | 20 | 28.3 | 2.5 | 5.9 | 42.7 | 1.8 | 7 | 25 | 1.5 | 2.3 | 66.7 | 0.6 | 2.1 | 2.7 | 1.6 | 2.6 | 1.8 | 1.7 | 0.1 | 11.8 |
| 11 | ჯაბა არაბული | 6 | 5.8 | 0.5 | 1.8 | 27.3 | 0 | 0 | 0 | 0.2 | 0.3 | 50 | 0.8 | 0.5 | 1.3 | 0.8 | 0.5 | 0.5 | 0 | 0 | 1.2 |
| 12 | ლევან ხმელიძე | 20 | 31.3 | 5.6 | 12.8 | 43.9 | 0.9 | 2.7 | 31.5 | 3 | 4.9 | 61.9 | 1.9 | 4.6 | 6.5 | 2.3 | 3.9 | 2.4 | 1.3 | 0.3 | 16.8 |
| 14 | დავით გუგავა | 18 | 19.9 | 2.9 | 7.2 | 40 | 0 | 0 | 0 | 0.7 | 1.2 | 59.1 | 2.1 | 2.9 | 5 | 0.7 | 2.8 | 0.7 | 1.2 | 0.6 | 6.5 |
| 21 | ერეკლე ლორთქიფანიძე | 2 | 10 | 0 | 1 | 0 | 1.5 | 3 | 50 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0.5 | 0.5 | 4.5 |
| 23 | ჟულივეტ ტუჯანი | 10 | 35.9 | 4.9 | 12.1 | 40.5 | 0 | 0.1 | 0 | 1.3 | 2.2 | 59.1 | 2.8 | 8.5 | 11.3 | 2.9 | 3.1 | 3.2 | 1.4 | 1 | 11.1 |
| 25 | ლევან ოგბაიძე | 3 | 2.3 | 0 | 0.3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.3 | 1.3 | 25 | 0.3 | 1 | 1.3 | 0 | 0.7 | 0.7 | 0.3 | 0 | 0.3 |

● 18-წლამდელთა ნაკრები. B დივიზიონი

# აქაც ჰოლანდია-ბოსნია

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში ითამაშებს. მწვრთნელმა **მიხეილ ბერუაშვილმა** შეჯიბრებისთვის მზადება უკვე დაიწყო...

*- ნაკრებში 18 კალათბურთელი გამოვიძახეთ, მაგრამ 2 კაცი თავიდანვე გამოგვაკლდა. ამის მიზეზი ისაა, რომ სწორედ 18-წლამდელებს უწევთ მისაღები გამოცდების ჩაბარება. ამიტომ, ხელი არ შევუშალეთ, - გვითხრა გუნდის მწვრთნელმა, - ჯერ ფიზმომზადებაზე ვმუშაობთ, ივნისის ბოლოს კი დარბაზში შევალთ და ბურთით ვარჯიშს შევუდგებით.*

იყო ლაპარაკი, რომ ორი ჭაბუკი 20-წლამდელთა ნაკრებში უნდა გადაეყვანათ. **ირაკლი მიქელაძე და ბექა ბურჯანაძე...**

*- ბექა 20-წლამდელებთან ვარჯიშობს და ახალგაზრდებს ევროპის ჩემპიონატზე დაეხმარება, რის შემდეგაც ჩვენ შემოგვიერთდება.*

...თუ ეროვნულ ნაკრებში არ წაიყვანეს, რასაც უმცროსი ასაკის ნებისმიერი ნაკრების მწვრთნელი მიესალმება.

როგორც მიხეილ ბერუაშვილმა გვითხრა, მოსამზადებელ ეტაპზე იგეგმება სამი საკონტროლო შეხვედრა. ქართველი 18-წლამდელები ივლისის ბოლოს ესტონეთში გაემგზავრებიან, სადაც ადგილობრივ თანატოლებს სამჯერ დაუპირისპირდებიან.

B დივიზიონის მატჩები კი 9 აგვისტოს დაიწყება. საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები პირველ ტურში ისვენებს და შეჯიბრებაში 10 აგვისტოდან ჩაერთვება. ჩვენი კრებული ხუთგუნდიან ჯგუფში მოხვდა, საიდანაც პირველობისთვის ბრძოლას ორი საუკეთესო აგრძელებს. ისევე როგორც ეროვნული ნაკრები, 18-წლამდელებიც ბოსნიასა და ჰოლანდიას „დაეჭიდებიან". მათ გარდა ჯგუფში არიან ბელგია და პორტუგალია. მიხეილ ბერუაშვილს მეტოქეთა შესახებაც ვკითხეთ:

*- უმცროსი ასაკის ნაკრებებში შემადგენლობები ყოველწლიურად იცვლება. ერთ ეტაპზე ძლიერი თაობა, შესაძლოა სუსტმა შეცვალოს. ამიტომ, ვიდრე უშუალოდ მეტოქეთა თამაშს არ ვნახავთ, მათ სიძლიერეზე ვერაფერს ვიტყვით. ჩვენი ინფორმაციით, ჰოლანდიას ჰყავს ძლიერი გუნდი. ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის ბოსნიაც სერიოზულად იბრძოლებს, რადგან ტურნირის მასპინძელია. ტრადიციულად არც ბელგიელებსა და პორტუგალიელებს ჰყავთ ხელწამოსაკრავი გუნდები.*

**A ჯგუფი:** შოტლანდია, უნგრეთი, რუმინეთი, ბელარუსი, ინგლისი, ისრაელი.

**B ჯგუფი:** ავსტრია, ესტონეთი, ჩეხეთი, ლუქსემბურგი, სლოვაკეთი.

**C ჯგუფი:** ისლანდია, შვეიცარია, შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი, ჩერნოგორია.

**D ჯგუფი:** საქართველო, ბოსნია, ბელგია, ჰოლანდია, პორტუგალია.



2011 წელი, მიხეილ ბერუაშვილი 18-წლამდელთა ვარჯიშზე

### D ჯგუფის კალენდარი

**9 აგვისტო**

ბოსნია-ბელგია
ჰოლანდია-პორტუგალია

**10 აგვისტო**

საქართველო-ჰოლანდია
პორტუგალია-ბოსნია

**11 აგვისტო**

ბელგია-პორტუგალია
საქართველო-ბოსნია

**12 აგვისტო**

ჰოლანდია-ბოსნია
საქართველო-ბელგია

**13 აგვისტო**

საქართველო-პორტუგალია
ბელგია-ჰოლანდია

ვაჟა სიმონიშვილი

● მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფი

# უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ნეკერჩხალი დაბერტყეს

**საქართველო-კანადა 31:17**

საქართველო: 15. საბა ნიკოლავა, 14. გიორგი ბინაძე, 13. ზურაბ ძნელაძე, 12. თამაზ მჭედლიძე, 11. ლევან გოგოლაშვილი, 10. გოდერძი ჭინჭარაული, 9. ვაჟა ხუციშვილი. 1. გიორგი თეთრაშვილი, 2. გიორგი ლომთაძე, 3. ვახტანგ ახობაძე, 4. მინდია ელგუჯაური, 5. სანდრო ქოიავა, 6. ელგუჯა სურგულაძე, 7. ბექა მამრიკიშვილი, 8. ლაშა ლომიძე.

16. არჩილ ბეჟიაშვილი, 17. ვაჟა თაგაური, 18. ზაზა ნავროზაშვილი, 19. გურამ შენგელია, 20. გიორგი მისრიაშვილი, 21. გიორგი ბასილაია, 22. გიგა გაგოშვილი

3ლ: ბინაძე, ლომიძე, თეთრაშვილი. 4ს,2გ: ნიკოლავა.

გაძევება: ბინაძე.

კანადა: 15. ჯონ ვესტი, 14. ლუკას ჰამონდი, 13. ტეილორ პარისი, 12. მაიკლ ფუაილეფაუ, 11. ჯოშ ჰარტი, 10. კონორ მაკკენი, 9. ენდრიუ ფერგიუსონი. 1. ნოა ბარკერი, 2. კესი რიდი, 3. ჯეკი ილნისკი, 4. ენდრიუ მაკგინი, 5. იაკობ რამბოლი, 6. მეტი ჰიტონი, 7. ჩეზ კელეჰერი, 8. კემ სტონესი.

16. ერიკ სელვაგი, 17. ალექს მარშალი, 18. რაიან მონაჰანი, 19. იარედ დუგლასი, 20. გრადინ ბოუდი, 21. პატრიკ კეი, 22. მაიკ დალსინი.

2ლ: პარისი (2). 2გ,ს: მაკკენი.


ბურთით ელგუჯა სურგულაძე

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სოლტ ლეიკ სიტიში „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე“, რომელიც მომავალ წელინადს საფრანგეთში გასამართავი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრებაა, ჯგუფური ტურნირის პირველ მატჩში კანადის ნაკრები დაამარცხა - 31:17.

ჩვენი გუნდი იუტას შტატის ამ ულამაზეს ქალაქში, რომელმაც 2002 წელს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა, ერთი კვირის წინ ჩავიდა. ძნელი სათქმელია, საკმარისია თუ არა ეს დრო აკლიმატიზაციისთვის და დროში ათსაათიანი სხვაობით შექმნილი პრობლემების დასაძლევად, თუმცა ფაქტია, რომ მატჩის პირველ ნახევარში „უმცროსი ბორჯღალოსნები“ ოდნავ მძიმედ გამოიყურებოდნენ და შეცდომებიც საკმარისად ბევრი მოსდიოდათ.

შარშან, თბილისში ჩვენმა ნაკრებმა „ნეკერჩხლის ფოთლები“ დიდი ანგარიშით 38:9 დაამარცხა. კანადელები ეცადნენ მაშინ მიღებული გაკვეთილისგან სათანადო დასკვნები გამოეტანათ. მატჩამდე რამდენიმე დღის განმავლობაში, სხვადასხვა მედიასაშუალებებში კომენტარისას, მუდმივად ხაზს უსვამდნენ ჩვენი გუნდის ფიზიკურ სიძლიერესა და ღონიერი შერკინების ეფექტურობას. ალბათ, სწორედ ამიტომ იყო, რომ შემადგენლობაში ორი 120-კილოგრამიანი მოთამაშე დააყენეს, თუმცა ამან შედეგი მხოლოდ ნაწილობრივ გამოიღო.

კანადელებმა წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ პირველ ტაიმში შეძლეს. ანგარიში დასაწყისშივე საქართველოს ნაკრების ფულბეკმა **საბა ნიკოლავამ** საჯარიმოთი გახსნა - 3:0. აღსანიშნავია, რომ „არმიას“ ახალგაზრდა მცველმა თავი ფეხჩუბინობით გამოიჩინა. მან მეტოქის კარში შვიდჯერ დაარტყა და აქედან ექვსჯერ ბურთი ძელებს შორის გაატარა.

ჩრდილოამერიკელებმა ანგარიშში დაწინაურება მალევე შეძლეს. შუმარბმა **ტეილორ პარისმა** გაგვიტანა ლელო, რომელიც მგეზავმა **კონორ მაკკენმა** გარდასახა - 7:3. ამის მერე ნიკოლავამ და მაკკენმა თითო საჯარიმო გაცვალეს და ტაიმის შუაწელამდე კანადელები ოთხი ქულის სხვაობით იგებდნენ - 10:6.

მალე „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ ლელო გაიტანეს და ისევ დაწინაურდნენ. კანადელების იერიში ჩვენმა მორაგბეებმა მოედნის ცენტრში შეაჩერეს, ბურთი აართვეს და მორკინალებმა მარცხენა ფრთაზე რამდენიმე მოკლე დარტყმა განახორციელეს, მერე კი ცხრა ნომერმა **ვაჟა ხუციშვილმა** შეტევას მიმართულება შეუცვალა და მარჯვნივ მგეზავ **გოდერძი ჭინჭარაულს** გადააწოდა. მან შეტევაში გარემარბი **ლევან გოგოლაშვილი** ჩართო, რომელიც ცრუ მოძრაობით მეტოქის ორ მცველს ხელიდან დაუსხლტა, ათიოდე მეტრი ირბინა და კიდისკენ შუამარბ **ზურაბ ძნელაძეს** გადააწოდა, რომელმაც კიდევ უფრო წინ წაიწია და ბურთი იქვე მიმყოლ მეორე გარემარბს **გიორგი ბინაძეს** გადააწოდა. მისი შეჩერება კანადელებმა ვერაფრით შეძლეს და ქუთაისელმა მორაგბემ ლელო ძელებს შორის გაიტანა. ნიკოლავამ გარდასახა - 13:10

მეტოქე გონს მალევე მოეგო და მათმა საუკეთესო მოთამაშემ, ტეილორ პარისმა მეორე ლელო გაგვიტანა, მაკკენმა ესეც გარდასახა - 17:13. ტაიმის დასრულებამდე ნიკოლავამ კიდევ ორი საჯარიმო დაარტყა ზუსტად და შესვენებაზე საქართველოს ნაკრები ორქულიანი უპირატესობით წავიდა - 19:17.

მეორე ტაიმში ვითარება მოედანზე რადიკალურად შეიცვალა. საქართველოს ნაკრების შერკინება უფრო მძლავრად ამუშავდა, დაცვაში ჩვენი მორაგბეები ყურადღებით ირჯებოდნენ. შედეგად ბურთს ძირითადად აკონტროლებდნენ და, შესაბამისად, მატჩის სადავეებიც ხელთ ეპყრათ.

კანადელებმა მონაგარს ველარაფერი შემატეს. ქართველმა მორაგბეებმა კი ორი ლელო გაიტანეს. მეორე ნახევრის დასაწყისში თავი შერკინების მესამეხაზელმა **ლაშა ლომიძემ** გამოიჩინა, რომელმაც მეტოქის ხაზი გაჭრა და ჩათვლის მოედანში შეაღწია. ნიკოლავამ სწორედ ეს ლელო ვერ გარდასახა - 24:17.

გამარჯვება კი „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ პირველხაზელის **გიორგი თეთრაშვილის** ლელოთი განამტკიცეს, რომელიც კანადის ნაკრების ჩათვლის მოედანთან ჩვენი მორკინალების მიერ მოწყობილ შტურმს მოჰყვა. ნიკოლავამ ამჯერად ზუსტად დაარტყა - 31:17.

სამწუხაროდ, მატჩის მიწურულს საქართველოს ნაკრების გარემარბ **გიორგი ბინაძეს** არბიტრმა მეტოქესთან ჩხუბისთვის წითელი ბარათი უჩვენა. შედეგად, მას მინიმუმ ერთი მატჩის გამოტოვება მოუწევს, თუმცა ბინაძის კონკრეტულ სასჯელს სადისციპლინო კომისია დღეს დაადგენს.

საქართველოს ნაკრების მორიგი მეტოქე ზიმბაბვეს ნაკრებია, რომელიც შარშანდელი ტურნირის ფინალისტს და ჩვენი ჯგუფის ფავორიტს, იაპონიის ნაკრებს ბოლო წუთებამდე უგებდა, თუმცა ამომავალი მზის ქვეყნის შვილებმა ლელოს გატანა და მატჩში გამარჯვება მაინც მოახერხეს - 39:36.

სენსაციური შედეგებით დასრულდა ორივე შეხვედრა A ჯგუფში. შეჯიბრების ფავორიტი ტონგას ნაკრები მასპინძელთა გუნდთან 11:22 დამარცხდა. ჩილეს ნაკრებმა კი, რომელმაც სამხრეთ ამერიკის კონტინენტიდან ურუგვაი შეცვალა, რუსეთის 20-წლამდელთა გუნდი გაანადგურა - 53:19.

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ჩილე-რუსეთი | 53:19 |
| აშშ-ტონგა | 22:11 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჩილე - 5 ქულა, 2. აშშ - 4, 3. ტონგა - 0, 4. რუსეთი - 0.

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| იაპონი-ზიმბაბვე | 39:36 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. იაპონია - 5 ქულა, 2. საქართველო - 4, 3. ზიმბაბვე - 1, 4. კანადა - 0.

**22 ივნისი**

საქართველო-ზიმბაბვე
იაპონია-კანადა
ტონგა-რუსეთი
აშშ-ჩილე

**26 ივნისი**

საქართველო-იაპონია
ზიმბაბვე-კანადა
ჩილე-ტონგა
აშშ-რუსეთი

**30 ივნისი**

ფინალი


აშშ-ტონგა

● ინტერვიუ ლევან მაისაშვილთან


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელოს პრობლემა: ფინანსები

**სარაგბო კლუბი „ლელო“ ბოლო ათწლეულია ქართული რაგბის ერთ-ერთ წამყვან გუნდად და მორაგბეთა სამჭედლოდ გადაიქცა. ლელოელები მუდმივად მრავლად არიან წარმოდგენილი როგორც ეროვნულ, ისე ასაკობრივ ნაკრებებში. შარშანდელ ჩემპიონატში „ლელო“ მისთვის უჩვეულო, მეოთხე ადგილს დასჯერდა. ახლახან დასრულებულ გაზაფხულის ტურნირზე კი ნახევარფინალამდე გააღწია. განვლილი შეჯიბრებისა და მომავლის გეგმების შესახებ „ლელოს“ მთავარი მწვრთნელი ლევან მაისაშვილი გვესაუბრა.**

- გაზაფხულის ტურნირისთვის მოსამზადებელი პერიოდი, როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივ რეჟიმში გავიარეთ. სავარჯიშო მოედნის იჯარა „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ ძვირი ჯდება და ამიტომ იქ კვირაში სამჯერ ვვარჯიშობდით. სხვა დღეებში კი მთელ დროს ძალოსნობაში წვრთნას ვუთმობდით.

თუმცა, ამაზე მეტი პრობლემა უფრო ის იყო, რომ გუნდის სრული შემადგენლობის შეკრებას ვერაფრით ვახერხებდით. 20-წლამდელთა ნაკრებში ექვსი მორაგბე გვყავს მივლენილი და ექვსივე ჩვენი გუნდის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა.

**- გაზაფხულის ტურნირზე ნახევარფინალამდე გზა გუნდმა შესანიშნავად განვლო. იქაც პირველ მატჩში „ლოკომოტივთან“ ბრწყინვალედ ითამაშა. განმეორებით შეხვედრაში რა მოხდა, რატომ ვერ შეძელით ათქულიანი უპირატესობის შენარჩუნება?**

- ნახევარფინალამდე მართალაც ნორმალურად მივედით. იქ კი რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაგვაკლდა. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებმა გვთხოვეს არ გვეთამაშებიან ისინი, ვინც ამერიკის შეერთებულ შტატებში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ტრავმებისგან თავის არიდება სურდათ. ამასთან ერთად, შერკინებამაც ვერ ითამაშა სათანადოდ. ამას დაერთო მეტოქის შეუფასებლობა. გუნდი საასპარეზოდ ზედმეტად თავდაჯერებული გავიდა.

მართალი გითხრათ, ჩემთვის ამ ტურნირის მოგება თვითმიზანი არ იყო. მთავარი ამ შემთხვევაში გუნდის შენების პროცესია. თუმცა მიმაჩნია, რომ ამ ტურნირის ფორმატი არასწორი იყო. თუ პირველადგილოსნის გარკვევა უნდოდათ, მაშინ საქართველოს თასი უნდა დაერქმიათ, თუ არა, კარგი იქნებოდა, ყველა ყველას შეხვედროდა, ყოველგვარი ზედმეტი დაძაბულობის გარეშე, სადაც გუნდები სათამაშო სქემების დამუშავებას უფრო ნაყოფიერად შეძლებდნენ.

**- მალე საქართველოს ჩემპიონატიც დაიწყება, რომელიც ახალი ფორმატით ჩატარდება. როგორ ემზადებით ამ შეჯიბრებისთვის?**

- საქართველოს ჩემპიონატისთვის ჯერჯერობით არ ვიცით, როდის და სად მოვემზადებით. საწვრთნელი შეკრება ძალზედ ძვირი გვიჯდება. კლუბს კი სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს. ახლახან სამ კომპანიასთან გვქონდა მოლაპარაკება. მათგან ორი სპონსორობაზე დაგვთანხმდა, მაგრამ ბოლო მომენტში რატომღაც უარი გვითხრეს. არადა, ნებისმიერ მსურველს შეგვიძლია ორი ან სამწლიანი საინტერესო პროგრამა შევთავაზოთ. არავის აინტერესებს!

**- ახლა სატრანსფერო ციებ-ცხელებაა და მომავალი ჩემპიონატისთვის ვინმეს ხომ არ იმატებთ?**

- შერკინებაში დავიმატეთ სამი მოთამაშე ჩვენივე ახალგაზრდული გუნდიდან. ტრავმები მოიშუშეს და ჩემპიონატის დაწყებისთვის ფორმაში იქნებიან ზურაბ ხორბალაძე, დავით ბარბაქაძე და გიგა კორკელია. საფრანგეთიდან დაგვიბრუნდა „ლელოს“ აღზრდილი, საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი რეზო ბელქანია.

მალე 20-წლამდელთა ნაკრების მოთამაშეებთან ერთად, საქართველოს ნაკრების წევრებიც, ლექსო გუგავა, ალექსანდრე თოდუა, ირაკლი ყიასაშვილი და ლაშა ხმალაძეც შემოგვიერთდებიან. ამჯერად უკვე ყველას ერთად შევკრებთ და ვეცდებით სათანადოდ მოვემზადოთ.

**- ახლახან შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი გაიმართა, რომელიც „ლელომ“ დამაჯერებლად მოიგო...**

- სრული შემადგენლობით ვერც ამ ტურნირზე ვითამაშეთ. ჩვენი ოთხი უკანახაზელი ამჟამად საქართველოს ნაკრებთან ერთად კანადაში იმყოფება. რამდენიმე კი, ვისაც შვიდკაცას თამაში შეუძლია, 20-წლამდელთა ნაკრებშია. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის საინტერესო იყო ეს ასპარეზობა. გიორგი კაჭარავამ და ირაკლი გეგენავამ შესანიშნავად ითამაშეს. ბრწყინვალედ წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები გიორგი ჭყოიძემ, რომელიც საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებში მიიწვიეს.

შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატის პირველმა ეტაპმა საშუალება მოგვცა, რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე გამოგვეცადა. ალეკო ხეცოიძემ, ლევან კალანდარიშვილმა და დაჩი კოპაძემ დაამტკიცეს, რომ დიდი პოტენციალი გააჩნიათ და მუხლჩაუხრელი შრომით კარგი რაგბის თამაშს შეძლებენ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

რეიტინგი



ფლოიდ მეივეზერი

# ყველაზე მდიდრებში პირველი მეივეზერია

## მაღალანაზღაურებად სპორტსმენთა ასეულში მხოლოდ ორი ქალია

ამერიკელი მოკრივე **ფლოიდ მეივეზერი** სათავეში ჩაუდგა მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენების რეიტინგს. ამ სიას ყოველწლიურად ჟურნალი „ფორბსი“ აქვეყნებს. გამოცემის მიერ ჩატარებული კვლევებით ირკვევა, რომ 2011 წლის ივნისიდან 2012 წლის ივნისამდე მეივეზერმა 85 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. ამასთან, გამოცემა ხაზს უსვამს იმას, რომ ფლოიდმა ამ პერიოდში მხოლოდ ორი ბრძოლა ჩაატარა, რომელიც საერთო ჯამში საათზე ნაკლები გაგრძელდა.

რეიტინგში მეორე ადგილიც მოკრივეს უკავია - ფილიპინელ **მენი პაკიაოს**. გასულ წელს მისმა შემოსავალმა 62 მილიონი დოლარი შეადგინა. მეივეზერმა და პაკიაომ, რომლებსაც მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეებს უწოდებენ, არაერთხელ სცადეს ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლის ჩატარებაზე მოლაპარაკება, მაგრამ ჯერ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

ამერიკელი გოლფისტი **ტაიგერ ვუდსი**, რომელიც 2001 წლიდან მოყოლებული აღნიშნული რეიტინგის უცვლელი ლიდერი იყო, ამჯერად მხოლოდ მესამე ადგილზე აღმოჩნდა. ერთი წლის განმავლობაში ვუდსმა 59.4 მილიონი დოლარი მიიღო - 16 მილიონით ნაკლები გასულ წელთან შედარებით. 2009 წლის რეიტინგთან შედარებით, ვუდსის შემოსავალმა ორჯერ დაიკლო.

კალათბურთელი **ლებრონ ჯეიმსი** მეოთხეა 53-მილიონიანი შემოსავლით. ხუთეულში შედის შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი**, რომელმაც თავისი საბანკო ანგარიში 52.7 მილიონით შეავსო.

ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენების სიაში აგრეთვე შევიდნენ: კალათბურთელი **კობი ბრაიანტი** (52.3 მილიონი, მე-6 ადგილი), გოლფისტი **ფილ მიკელსონი** (47.8), ფეხბურთელები **დევიდ ბექჰემი** (46) და **კრისტიანო რონალდო** (42.5), აგრეთვე ამერიკული ფეხბურთის მოთამაშე **პეიტონ მენინგი** (42,4).

ასეულში მხოლოდ ორი ქალი სპორტსმენი მოხვდა. ორივე ჩოგბურთელია: **მარია შარაპოვა** და **ნა ლი**. „ფორბსის“ გამოთვლებით, რუსმა 27.6 მილიონი გამოიმუშავა და რეიტინგში 26-ე ადგილზეა, ჩინელის შედეგები უფრო მოკრძალებულია - 18.4 მილიონი და 81-ე ადგილი.

სულ კლასიფიკაციაში სპორტის 11 სახეობის წარმომადგენელს ვხედავთ. ლიდერობს ამერიკული ფეხბურთი, რომელმაც სიაში 30 სპორტსმენი მიავლინა. მეორეზეა კალათბურთი 13 სპორტსმენით.

რეიტინგის ასივე წევრის ჯამური შემოსავალი 2.6 მილიარდი დოლარია.

### TOP30

| | |
|---|---|
| 1. ფლოიდ მეივეზერი (კრივი) | 85 მლნ |
| 2. მენი პაკიაო (კრივი) | 62 მლნ |
| 3. ტაიგერ ვუდსი (გოლფი) | 59,4 მლნ |
| 4. ლებრონ ჯეიმსი (კალათბურთი) | 53 მლნ |
| 5. როჯერ ფედერერი (ჩოგბურთი) | 52,7 მლნ |
| 6. კობი ბრაიანტი (კალათბურთი) | 52,3 მლნ |
| 7. ფილ მიკელსონი (გოლფი) | 47,8 მლნ |
| 8. დევიდ ბექჰემი (ფეხბურთი) | 46 მლნ |
| 9. კრიშტიანო რონალდო (ფეხბურთი) | 42,5 მლნ |
| 10. პეიტონ მენინგი (ამ. ფეხბურთი) | 42,4 მლნ |
| 11. ლეონელ მესი (ფეხბურთი) | 39 მლნ |
| 12. ჰალოტი ნგატა (ამ. ფეხბურთი) | 37,3 მლნ |
| 13. ლარი ფიტცჯერალდი (ამ. ფეხბურთი) | 36.8 მლნ |
| 14. ნდამუკონგ სუჰი (ამ. ფეხბურთი) | 36 მლნ |
| 15. ჩარლზ ჯონსონი (ამ. ფეხბურთი) | 34.4 მლნ |
| 16. რაფაელ ნადალი (ჩოგბურთი) | 33,2 მლნ |
| 17. მარიო უილიამსი (ამ. ფეხბურთი) | 33,2 მლნ |
| 18. ალექს როდრიგესი (ბეისბოლი) | 33 მლნ |
| 19. ფერნანდო ალონსო (ფორმულა 1) | 32 მლნ |
| 20. ვალენტინო როსი (მოტოსპორტი) | 30 მლნ |
| 21. მიხაელ შუმახერი (ფორმულა 1) | 30 მლნ |
| 22. დარელ რევისი (ამ. ფეხბურთი) | 28.3 მლნ |
| 23. დეილ ერნჰარდტი (ავტოსპორტი) | 28,2 მლნ |
| 24. ვლადიმერ კლიჩკო (კრივი) | 28 მლნ |
| 25. ლუის ჰემილტონი (ფორმულა 1) | 28 მლნ |
| 26. მარია შარაპოვა (ჩოგბურთი) | 27,9 მლნ |
| 27. სემ ბრედფორდი (ამ. ფეხბურთი) | 27,8 მლნ |
| 28. ტომ ბრედი (ამ. ფეხბურთი) | 27.1 მლნ |
| 29. ჯო მაუერი (ბეისბოლი) | 27 მლნ |
| 30. ილაი მენინგი (ამ. ფეხბურთი) | 26.6 მლნ |

ჰოკეი

# ლეგენდა რჩება

„ანაჰაიმ დაქსის“ ლეგენდარული თავდამსხმელი **ტეემუ სელიანე** კარიერის გაგრძელებას აპირებს, - წერს ფინური პრესა. თუ ჰოკეისტს ტრავმები ხელს არ შეუშლის, ის კიდევ მინიმუმ ერთი წელი დარჩება მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში.

ამ გადაწყვეტილების შესახებ ოფიციალურად მოგვიანებით გამოცხადდება, როცა ფინელი ვეტერანი „ანაჰაიმთან“ ახალ კონტრაქტზე მოაწერს ხელს.

კალათბურთი

# ჯორდანმა მწვრთნელი იპოვა

ევროპული საკალათბურთო ასოციაციის უსუსტესმა გუნდმა „შარლოტ ბობკეტსმა“ ახალი მწვრთნელი იპოვა. გუნდი, რომელმაც 2011-12 წლების სეზონი მოგება/წაგების ყველაზე უარესი მაჩვენებლით დაასრულა, **მაიკ დანლეპმა** ჩაიბარა.

სააგენტო AP-ის ცნობით, დანლეპი ათკაციან კანდიდატთა სიაში შედიოდა. მოლაპარაკებების შემდეგ, ეს სია სამ კაცამდე დავიდა, მაგრამ დანლეპი იქ არ იყო მოხსენიებული. თუმცა საბოლოოდ, „შარლოტის“ წარმომადგენლებმა ისევ გადაწყვიტეს მასთან მოლაპარაკებების წარმოება და სამუშაო მას მიანდეს.

წინა მთავარ მწვრთნელთან **პოლ საილასთან** კონტრაქტი 2011-12 წლების სეზონში არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო არ გააგრძელეს. „შარლოტმა“ ბოლო ადგილი დაიკავა 7 მოგებით (66 მატჩში) და NBA-ის ყველა დროის ანტირეკორდი დაამყარა მოგება/წაგების პროცენტული მაჩვენებლით (10.6 პროცენტი). „შარლოტის“ კალათბურთელებმა დაამხეს 39 წლის წინანდელი ანტირეკორდი, რომელიც „ფილადელფიას“ ეკუთვნოდა - 9 მოგება 82 მატჩში (11.0 პროცენტი).

54 წლის დანლეპმა კარიერის დიდი ნაწილი საუნივერსიტეტო გუნდებში გაატარა. ასევე ორი სეზონის განმავლობაში ის „დენვერის“ მთავარი მწვრთნელის **ჯორჯ კარლის** ასისტენტად მუშაობდა.



მაიკ დანლეპი



სერჯო სკარიოლო

# საჩემპიონო გუნდს არ ცვლიან

## ესპანეთი ლონდონში თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით მიდის

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სერჯო სკარიოლომ** დაასახელა 13 კალათბურთელის სია, რომლებსაც ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლა შეუძლიათ. ეს განაცხადი თითქმის იგივეა, რაც ესპანელებმა შარშან, ლიტვაში მათთვის ტრიუმფალურ ევრობასკეტზე წარმოადგინეს. შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა - ტრავმირებული **რიკი რუბიო** მადრიდის „რეალის“ პლეიმეიკერმა **სერხიო როდრიგესმა** შეცვალა.

გარდა ამისა, სიაში მოხვდა შარშან ბოლო მომენტში საბოლოო განაცხადიდან მოკვეთილი „ვალენსიას“ მცველი **რაფა მარტინესი**.

სერჯო სკარიოლოს სია ასე გამოიყურება:

**მცველები**: ხუან-კარლოს ნავარო, ვიქტორ სადა (ორივე - „ბარსელონა“), სერხიო ლიული, სერხიო როდრიგესი (ორივე - „რეალი“), რუდი ფერნანდესი („დენვერ ნაგეტსი“, NBA), ხოსე კალდერონი („ტორონტო რეპტორზი“, NBA), რაფა მარტინესი („ვალენსია“);

**ფორვარდები**: ფერნანდო სან-ემეტერიო („კახა ლაბორალი“), ვიქტორ კლავერი („ვალენსია“), სერჟ იბაკა („ოკლაჰომა-სიტი“, NBA), ფელიპე რეიესი („რეალი“);

**ცენტრები**: პაუ გასოლი („ლოს ანჯელეს ლეიკერსი“, NBA), მარკ გასოლი („მემფის გრიზლისი“, NBA).

# მესინა მოსკოვში დაბრუნდა

წელს, ევროლიგის წაგების შემდეგ, მოსკოვის ცსკა-ს ხელმძღვანელობამ კლუბის განვითარების სამწლიანი პროგრამა წარმოადგინა. კლუბის მმართველმა საბჭომ გადაწყვიტა, არ გააგრძელოს კონტრაქტი **იონას კაზლაუსკასს** და სამომავლო გეგმების რეალიზაცია ცნობილ იტალიელ სპეციალისტს **ეტორე მესინას** მიანდოს.

ამ მწვრთნელის სახელს უკავშირდება ცსკა-ს თანამედროვე ისტორიის ყველაზე წარმატებული მონაკვეთი. მესინა არმიელებს 2005-09 წლებში ედგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით „წითლები“ ზედიზედ ოთხჯერ გავიდნენ ევროლიგის „ოთხთა ფინალში“ და ორჯერ მოიგეს კონტინენტის მთავარი ევროტიტული. იტალიელის კოლექციაში აგრეთვე ორი გამარჯვებაა ევროლიგაზე ბოლონიას „ვირტუსთან ერთად, იტალიის ჩემპიონატის ოთხი ოქრო და იტალიის შვიდი თასი. ცსკა-დან წასვლის შემდეგ, მესინა გასულ სეზონში მწვრთნელ-კონსულტანტად მუშაობდა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ შტაბში.

■ ■ ■

გუშინ, ცსკა-ს კიდევ ერთი შენაძენი გახდა 26 წლის ამერიკელი მცველი **აარონ ჯონსონი**. მოსკოველებმა ეს კალათბურთელი „ბილბაოდან“ გადაიბირეს. მანამდე ჯონსონი „ანტალიასა“ და ბოლონიას „ვირტუსში“ თამაშობდა.

გასულ სეზონში ესპანეთის ჩემპიონატში ჯექსონი საშუალოდ 19.0 ქულას, 4.0 მოხსნასა და 3.5 შედეგიან პასს აგროვებდა.

■ ■ ■

ახალი სეზონის წინ ცსკა-ს, შესაძლოა, ერთი სერიოზული დანაკლისიც ჰქონდეს. ფორვარდი **ანდრეი ვორონცევიჩი** „ოკლაჰომა-სიტისთან“ აპირებს კონტრაქტის გაფორმებას. როგორც რუსული პრესა წერს, „თანდერის“ ხელმძღვანელობასა და მოთამაშეს შორის უკვე არსებობს ზეპირი მოლაპარაკება.

*„ჯერ ნაადრევია კონკრეტული ლაპარაკი, მაგრამ NBA-დან შემოთავაზება არსებობს, თან არა მხოლოდ „ოკლაჰომადან“,* - ამბობს კალათბურთელის აგენტი.

ალსანიშნავია, რომ ვორონცევიჩს მოქმედი სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს ცსკა-სთან.

ამ მომენტისთვის ფორვარდი ხერხემლის ტრავმას მკურნალობს. ამ დაზიანების გამო ის მონაწილეობას ვერ მიიღებს ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირში, რომელიც ვენესუელაში გაიმართება.



ეტორე მესინა

### ნიქსი პრიჯიონით დაინტერესდა

„ნიუ იორკ ნიქსის“ ხელმძღვანელობა დაინტერესებულია ესპანეთის „კახა ლაბორალისა“ და არგენტინის ნაკრების გამთამაშებლით **პაბლო პრიჯიონით**. სანდო წყაროს ცნობით, „ნიქსის“ გენერალურმა მენეჯერმა **გლენ გრიუნვალდმა** 35 წლის მცველი ნიუ იორკში მიიწვია და მას ვახშმის დროს გაესაუბრა.

გასულ სეზონში სამხრეთამერიკელის საშუალო შედეგიანობა ევროლიგაზე 12.8 ქულასა და 4.6 შედეგიან გადაცემას უდრიდა.

### მაღალრეიტინგული ფინალური სერია

პლეი ოფის ფინალური სერიის მესამე მატჩმა „მაიამისა“ და „ოკლაჰომას“ შორის ამერიკელ ტელემაყურებლებს შორის უფრო ნაკლები ინტერესი გამოიწვია, ვიდრე შარშან „ჰიტისა“ და „დალასის“ მესამე შეხვედრამ. ABC-ზე რეიტინგის კლებამ 3 პროცენტი შეადგინა.

მიუხედავად ამისა, მიმდინარე სერიის ტელერეიტინგი ყველაზე მაღალია 2004 წლის შემდეგ.

### კიდი ჩიკაგოს არ გამორიცხავს

ვეტერანმა გამთამაშებელმა **ჯეისონ კიდმა** განაცხადა, რომ უარს არ იტყოდა კარიერის „ჩიკაგოში“ გაგრძელებაზე.

*„არ გამოვრიცხავ „ჩიკაგოს“ ვარიანტს. ეს გუნდი მზად არის ჩემპიონობისთვის საბრძოლველად. ის ყოველ მატჩში მოგებისთვის იბრძვის. იქნებ, შემდეგ სეზონში სწორედ ამ გუნდში გავაგრძელო გამოსვლა. მაშინ შევეცდები გავაკეთო ყველაფერი, რათა ბულზს“ მიზნის მიღწევაში დავეხმარო. ეს ცუდი ვარიანტი არ არის ჩემთვის“*, - ამბობს კიდი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ოლიმპიზმი

# დედოფლის შვილიშვილი ოლიმპიადაზე მიდის

ორი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ბრიტანეთის დედოფლის **ელიზაბეტ II**-ის შვილიშვილმა **ზარა ფილიპსმა** შეძლო ბრიტანეთის ცხენოსანთა ნაკრებში მოხვედრა და ის მონაწილეობას მიიღებს ლონდონის ოლიმპიადაზე. სამეფო ოჯახის წევრი მრავალჭიდში სცდის ძალებს და იმედი აქვს, რომ საშინაო კედლებში უმაღლესი სინჯის მედალს მიიღებს.

პრინცესა **ანას** 31 წლის ქალიშვილი, რომელიც 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, შესარჩევ ტურნირზე პირველ სამეულში მოხვდა და იმ ხუთ სპორტსმენს შორის შევიდა, რომლებმაც ლონდონის თამაშებზე გამოსვლა გაინაღდეს. ზარას ათენისა და პეკინის ოლიმპიადის გამოტოვებამ თავისი ცხენის - „თოითაუნის" ტრავმის გამო მოუწია. ლონდონში მას ახალი ცხენი ეყოლება, რომელსაც „ჰაი კინდემი" ჰქვია.

შეგახსენებთ, რომ ზარას მამამ - **მარკ ფილიპსმა** მიუნხენში, 1972 წლის ოლიმპიადაზე გუნდურ სამჭიდში მოიპოვა ოქროს მედალი. 1976 წელს მონრეალის თამაშებზე გამოდიოდა ზარას დედა - პრინცესა ანა, თუმცა ის პრიზიორებს შორის ვერ მოხვდა.


ზარა ფილიპსი

# ლონდონი 2012 ფეისბუქზე




სოციალურმა ქსელმა Facebook-მა სპეციალური გვერდი შექმნა, რომელიც ლონდონის ოლიმპიურ თამაშებს ეძღვნება. ამის შესახებ იტყობინებიან პრესრელიზში, რომელიც სოციალურმა ქსელმა გუშინ გამოაქვეყნა.

„ოლიმპიურ" გვერდზე შეკრებილია პოპულარული სპორტსმენების, მონაწილე ქვეყნების ნაკრებებისა და სპორტის სახეობების „აქაუნტები". მოგვიანებით იქვე გაჩნდება გაზეთებისა და სპონსორების ვებგვერდების მისამართები.

მომხმარებლებს შეუძლიათ „დაალაიქონ" მათთვის საინტერესო პროფილები, რათა საკუთარი ახალი ამბების გვერდზე სიახლეებს გაეცნონ. „ოლიმპიური" გვერდი 22 ენაზეა თარგმნილი.

# ფრანგებმა შემადგენლობა გაარკვიეს

საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციამ საბოლოოდ დააკომპლექტა ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობა. 11 ივნისს გამოქვეყნებული რეიტინგის თანახმად, მამაკაცებს შორის ლონდონის ოლიმპიადაზე გამგზავრების უფლება მიიღეს: **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** (მე-5 ჩოგანი), **ჟილ სიმონმა** (13), **გაელ მონფილსმა** (15) და **რიშარ გასკემ** (19).

შეგახსენებთ, რომ ცონგამ ტრავმის გამო გამოტოვა პეკინის ოლიმპიადა, გასკე პეკინში არ გაემგზავრა იმის გამო, რომ აქცენტი აშშ-ის ღია პირველობისთვის მომზადებაზე გადაიტანა, მონფილსმა ოთხი წლის წინ მეოთხედფინალში წააგო **ნოვაკ ჯოკოვიჩთან**, სიმონი კი მესამე წრეში დამარცხდა ამერიკელ **ჯეიმს ბლეიკთან**.

ქალებს შორის ფრანგული ჩოგბურთის ლიდერი და WTA-ის რეიტინგის მერვე ნომერი **მარიონ ბარტოლი** ვერ ითამაშებს ოლიმპიადაზე იმის გამო, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში არ უთამაშია ქვეყნის ნაკრებში ფედერაციის თასზე. საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ საერთაშორისო ფედერაციამ ოლიმპიადაზე ქალთა ძირითად ბადეში მოხვედრისთვის უაილდ-ქარდი გამოუყო ქვეყნის მეორე ნომერს **ალიზ კორნეს**, რომელიც 73-ე ადგილზეა რეიტინგში. 2008 წლის ოლიმპიადაზე კორნემ მესამე წრემდე მიაღწია და იქ ამერიკელ **სერენა უილიამსთან** დამარცხდა.

მამაკაცთა წყვილთა თანრიგში საფრანგეთს ორი დუეტი წარმოადგენს: **მიკაელ ლოდრა**/ჟო-ვილფრიდ ცონგა და რიშარ გასკე/**ჟულიან ბენეტო**. ქალების წყვილებში ითამაშებენ ალიზ კორნე და **კრისტინა მლადენოვიჩი**.

ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირი უიმბლდონის კორტებზე 28 ივლისს დაიწყება და 5 აგვისტოს დასრულდება.


საფრანგეთის ნაკრები

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ვენა-ჟუგანი | 0:3 |
| გიოტებორგი-იორგრიტე | 5:0 |
| ვილი-თუნი | 2:3 |
| ჟილინა-ბუდეიოვიცე | 3:0 |
| ციურიხი-ვინტერტური | 1:3 |
| **ფინეთი** | |
| ინტერი-იარო | 1:1 |
| **ბელარუსი** | |
| დინამო (ბრ)-ბელშინა | 1:1 |
| დინამო (მნ)-გომელი | 0:1 |
| **ლიტვა** | |
| სუდუვა-ბანგა | 3:1 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ისტბურნი** | |
| ლოდრა-ისტომინი | 4:6, 3:6 |
| დარცისი-ებდენი | 6:2, 6:4 |
| ბენეტო-ლუ | 3:6, 6:2, 6:7 |
| კოლშრაიბერი-სოედა | 6:4, 7:5 |
| როდიკი-კუერი | 5:2 უარი |
| გასკე-მატოშევიჩი | 6:1, 6:7, 6:7 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| ჩიპოლა-სტარაჩე | 4:2 უარი |
| სელა-კუბოტი | 1:6, 2:6 |
| ბოგომოლოვი-როჯე ვასელენი | 4:6, 4:6 |
| ფერერი-დუკლო | 6:4, 6:4 |
| მალისე-ტროიცკი | 7:6, 6:2 |
| **WTA. ისტბურნი** | |
| ჟენგი-ზაკოპალოვა | 3:6, 6:4, 3:6 |
| მაკაროვა-კვიტოვა | 7:5, 6:4 |
| კერბერი-ვესნინა | 3:6, 6:0, 7:5 |
| ა. რადვანსკა-პირონკოვა | 2:6, 4:6 |
| პავლიუჩენკოვა-ჰსიე | 6:2, 3:0 უარი |
| მაკჰეილი-ვოზნიაცკი | 6:1, 6:7, 6:4 |
| რობსონი-მარტინეს სანჩესი | 3:6, 6:2, 6:2 |
| ბაბოში-საფაროვა | 6:3, 3:6, 6:7 |
| ჩეტკოვსკა-ჰლავაჩკოვა | 3:6, 6:2, 6:1 |
| ბარტოლი-კირსტეა | 6:2, 6:2 |
| არნი-უოტსონი | 3:6, 4:6 |
| დუბუა-სუარეს ნავარო | 6:4, 6:4 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| ვიკმაიერი-გავრილოვა | 1:6. 2:6 |
| მედინა გარიგესი-პეტროვა | 5:7, 3:6 |
| ციბულკოვა-პეერი | 6:2, 7:6 |
| უ. რადვანსკა-პენეტა | 6:1, 6:1 |
| იანკოვიჩი-არვიდსონი | 2:6, 6:3, 4:6 |
| კლაისტერსი-კ. ბონდარენკო | 6:2, 6:1 |

TV პროგრამა

**20 ივნისი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-კაიზერი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-რომა.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლორიანი.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-მალაგა.
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. ქუინზ პარკ რეინჯერსი-მანჩესტერ იუნ.
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პარმა.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-ტიგრე.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა. IV მატჩი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ.
**17:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. გლაზგო ვორიორზი-ლენსტერი.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** NBA Action.
**20:00** პოკერ-რინგი 2.
**21:30** სპორტ-NEWS.
**22:00** საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**23:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა. IV მატჩი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-უელსი.
**15:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
**22:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
**23:40** რაგბი. ექვსი ერის თასი. შოტლანდია-საფრანგეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 20 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 18 | 28 | (მზე) |
| ფოთი | 19 | 28 | (მზე) |
| ზუგდიდი | 19 | 28 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 17 | 29 | (მზე) |
| თელავი | 17 | 27 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 16 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ქობულეთი | 18 | 27 | (მზე) |
| ბაკურიანი | 9 | 22 | (მზე) |
| ბორჯომი | 14 | 28 | (მზე) |
| მესტია | 11 | 23 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0542 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6286 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5512 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0062 |

ჩოგბურთი

# ნალბანდიანის საქმე გრძელდება

გრძელდება აჟიოტაჟი **დავიდ ნალბანდიანის** საქმესთან დაკავშირებით. პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაცია (ATP) აგრძელებს გამოძიებას და სავსებით შესაძლებელია, რომ ჩოგბურთელის მიმართ კიდევ უფრო მკაცრი სანქციები გამოიტანონ. როგორც იცით, ლონდონის „ქუინზ კლაბის" ტურნირის ფინალის დროს, არგენტინელმა მოთამაშემ სარეკლამო ბანერი დაამსხვრია და ამით ტრავმა მიაყენა ხაზის მსაჯს. ამასთან დაკავშირებით, ATP-მ 12 560 დოლარით დასაჯა 30 წლის ჩოგბურთელი, აგრეთვე ლონდონის ტურნირზე მოპოვებული სარეიტინგო ქულები და ჰონორარი ჩამოართვა მას.


დავიდ ნალბანდიანი

დაჯილდოვების ცერემონიაზე დავიდმა ბოდიში მოიხადა თავისი საქციელის გამო, მაგრამ შემდეგ, სატელევიზიო ინტერვიუში ეჭვქვეშ დააყენა ATP-ის გადაწყვეტილების მართებულობა და გააკრიტიკა ეს ორგანიზაცია იმის გამო, რომ ის ბევრ საკითხში არჩევანის უფლებას არ უტოვებს მოთამაშეებს.

ამ კრიტიკული გამოსვლის გამო, ნალბანდიანს დამატებითი ფულადი ჯარიმები და დისკვალიფიკაცია ემუქრება. სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ წელს, ავსტრალიის ღია პირველობაზე არგენტინელი 8 ათასი დოლარით დაისაჯა იმის გამო, რომ **ჯონ ისნერთან** ხუთსეტიან მატჩში წაგების შემდეგ წყალი შეასხა ტურნირის ერთ-ერთ თანამშრომელს. როგორც ATP-ის წარმომადგენელი აცხადებს, ბოლო 12 თვის განმავლობაში ჩოგბურთელის ყველა არასპორტულ საქციელს გაითვალისწინებენ საქმის განხილვის დროს.

შეიძლება ითქვას, ნალბანდიანს გაუმართლა კიდეც, რადგან ATP და ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITF) სხვადასხვა კოდექსით ხელმძღვანელობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არგენტინელს ფულადი ჯარიმის გარდა, რვაკვირიან დისკვალიფიკაციას გამოუწერდნენ.

მდგომარეობის მთელი სერიოზულობის მიუხედავად, დავიდს არ მოუწევს უიმბლდონის გამოტოვება. დისკვალიფიკაციის შემთხვევაშიც, ჩოგბურთელის აპელაცია გადადებს ამ გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, „დიდი სლემის" ჩემპიონატებსა და ATP-ის ტურნირებს არ გააჩნიათ სპორტსმენთა დისკვალიფიკაციის ერთიანი ნორმატივი.


არნო კლემანი

# კლემანმა ჩოგბურთი დაამთავრა

მსოფლიოს ყოფილმა მეათე ჩოგანმა, ფრანგმა **არნო კლემანმა** ოფიციალურად გამოაცხადა სპორტული კარიერის დასრულების შესახებ, - წერს ფრანგული გაზეთი „ეკიპი". ფრანგმა ორი დღის წინ, თანამემამულე **კენი დე შეპერთან** წააგო უიმბლდონის საკვალიფიკაციო ტურნირის პირველი წრე და ამის შემდეგ სპორტიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა.

*„ჩემს ხანგრძლივ კარიერაში ბოლო მატჩი ჩავატარე. მინდა განვაცხადო, რომ ეს გადაწყვეტილება იქამდე მივიღე, სანამ უიმბლდონზე ჩამოვიდოდი. დარწმუნებული ვარ ჩემი არჩევანის მართებულობაში. შესანიშნავი წლები გავიარე და არაფერს ვნანობ"*, - თქვა კლემანმა.

არნომ პროფესიული კარიერა 1996 წელს დაიწყო. პროფესიულ ტურში მან ოთხი ტურნირის მოგება შეძლო ერთეულთა თანრიგში. „დიდი სლემის" ჩემპიონატებში მისი საუკეთესო შედეგი იყო 2001 წელს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გასვლა. დანარჩენ სამ ტურნირში კლემანს მეოთხედფინალზე შორს არ გაუღწევია.

წყვილთა თანრიგში კლემანს 12 ტიტული დაუგროვდა, მათ შორის არის გამარჯვება უიმბლდონზე, სადაც მისი პარტნიორი იყო **მიკაელ ლოდრა**. ამავე დუეტმა ერთხელ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ითამაშა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფეხბურთი






# პორნოევრო 2012

ბერლინში გაიმართა უჩვეულო საფეხბურთო მატჩი გერმანელ და დანიელ პორნომსახიობებს შორის, რომელიც ევრო 2012-ზე ამ ქვეყნების შეხვედრას მიეძღვნა.

თამაში დანიელებმა გამანადგურებელი ანგარიშით – 13:1 მოიგეს. სამაგიეროდ, **იოახიმ ლიოვის** შეგირდებმა რევანში აიღეს (2:1) და დანია პლეი ოფის მილმა დატოვეს.

გერმანელი პორნოვარსკვლავები რეგულარულად იწვევენ ბრძოლაში თავიანთ კოლეგებს დიდი საფეხბურთო ფორუმების დროს. მაგალითად, 2010 წლის ივნისში, სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობისას ისინი ავსტრალიას შეხვდნენ და 5:10 წააგეს.



ჩოგბურთი

# საჩოგბურთო ხულიგნები

არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანი**, რომელმაც ლონდონის ტურნირზე ტრავმა მიაყენა ხაზის არბიტრს, პირველი ჩოგბურთელი არ არის, ვინც მატჩის მსვლელობისას დისკვალიფიკაცია მიიღო. ჩოგბურთის ისტორიას ასეთი არაერთი შეხვედრა ახსოვს.

**1974 წლის 30 მაისი.** უიმბლდონის მოქმედმა ჩემპიონმა **იან კოდეშმა** რომის ტურნირის მეორე წრეში ხელი ჰკრა ხაზის არბიტრს, რომელსაც პროფესიონალის სტატუსი არ ჰქონდა და უბრალო მოყვარული იყო. კოდეში ამბობდა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მსაჯები უხეშ შეცდომებს უშვებდნენ, ჩეხის მოთმინების ფიალა კი მაშინ აივსო, როცა ხაზის არბიტრმა **ალსიდე რაპიმ** კოდეშის დარტყმის შემდეგ "აუტი" დაიყვირა. თვითმხილველები იხსენებენ, რომ ბურთი აშკარად კორტში დაეცა. ამ შემთხვევის შემდეგ, ATP-მ აკრძალა არაპროფესიონალი არბიტრების გამოყენება.

**1990 წლის 21 იანვარი. ჯონ მაკინროი** ყოველთვის ცნობილი იყო თავისი სკანდალური ხასიათით. მისი ცნობილი რეპლიკა - You cannot be serious ფრთოსან ფრაზად იქცა და გამოიყენება ხუმრობებსა და სარეკლამო რგოლებში. შეუძლებელია დათვალო არბიტრების რაოდენობა, რომლებსაც მოუსმენიათ დიადი ამერიკელი უკმაყოფილება. *"მიმაჩნია, რომ ასეთი რამ აუცილებლად უნდა დამმართნოდა. ის, რაც მე გავაკეთე, ძალიან ცუდია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ გაკვირვებული ვარ"*, - განაცხადა მაკინროიმ. მან კი შემდეგი გააკეთა: ავსტრალიის ღია პირველობის მერვედფინალის მეოთხე სეტში მაკინროიმ ჩოგანი დაამსხვრია და პირდაპირ გინება დაიწყო კორტზე. მსაჯს **ჯერი არმსტრონგს** განრისხებული ჯონის დისკვალიფიკაციამ მოუწია.


ჯონ მაკინროი

**1995 წლის 30 მაისი.** გერმანელი **კარსტენ არიენსი** მაკინროიზე გაცილებით უცნობი ჩოგბურთელი იყო, მაგრამ თავისი საქციელით ის ისტორიაში შევიდა. თავიდან მან უკანა ხაზიდან ბადისკენ ისროლა ჩოგანი, რისთვისაც გაფრთხილება მიიღო. რამდენიმე წამის შემდეგ ჩოგანი აიღო და საკუთარი სკამისკენ გაისროლა, მაგრამ ხაზის არბიტრს გაარტყა.

**1995 წლის ივნისი.** ხანდახან მოთამაშეები საკუთარ თავს თავად გამოუწერენ ხოლმე დისკვალიფიკაციას. ამერიკელი **ჯეფ ტარანგო** უიმბლდონის მესამე წრის მატჩში მუდმივად კამათობდა მსაჯთან – **ბრუნო რებეუხთან.** პუბლიკა უკმაყოფილო იყო ამერიკელის ამგვარი საქციელით და უსტვენდა. ტარანგომ დაიყვირა: "ხმა ჩაიწყვიტეთ", რისთვისაც გაფრთხილება მიიღო. ჯეფმა ტურნირის მთავარი მსაჯი მოითხოვა, მაგრამ თავისას ვერ მიაღწია. ჩოგბურთელმა რებეუხს "ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული არბიტრი" უწოდა, რისთვისაც მეორე გაფრთხილება მიიღო. ამის შემდეგ ტარანგომ საკუთარი ბარგი აალაგა და კორტი დატოვა, მისმა მეუღლემ კი მსაჯს ორჯერ გაარტყა სახეში.

**1996 წლის 14 აგვისტო.** ყველაზე ხშირად სკანდალური ეპიზოდები ცნობილ ჩოგბურთელებს უკავშირდება. **ანდრე აგასიმ** ინდიანაპოლისის ტურნირზე **დანიელ ნესტორთან** მატჩში საკუთარი მოწოდების წაგების შემდეგ, რამდენიმე ბურთი ტრიბუნებისკენ გაისროლა. არბირტრმა **დანა ლოკონტომ** გააფრთხილა ჩოგბურთელი. ამერიკელმა ვერ მოითმინა და არანორმატიული ლექსიკის დახმარებით გამოხატა უკმაყოფილება. მაყურებელმა ანდრეს მხარი დაიჭირა და თავისი უკმაყოფილება აგასის დისკვალიფიკაციის გამო კორტზე ქაღალდებისა და ბოთლების სროლით გამოხატა.

**2007 წლის 17 ივლისი.** ავსტრალიელი **ანასტასია როდიონოვა** ცინცინატის ტურნირზე უკმაყოფილო იყო იმით, რომ პუბლიკა მხარს გერმანელ **ანჟელიკ კერბერს** უჭერდა. მესამე სეტის დასაწყისში ანასტასიამ ბურთი კერბერის გულშემატკივრებისკენ დაარტყა. *"შოკში ვარ. ვერ გამიგია, რატომ მომცეს დისკვალიფიკაცია. იმედგაცრუებული დავრჩი. გაფრთხილება არ მიმიღია, კონკრეტულად არავისთვის დამიმიზნებია ბურთი, უცენზურო სიტყვები არ მიხმარია და ჩოგანიც არ მისვრია"*, - განაცხადა როდიონოვამ.

**2008 წლის 16 ივნისი.** რუსი **დმიტრი ტურსუნოვი** ნოტინგემის ტურნირის წყვილთა თანრიგის მატჩში ძალიან აქტიურად გამოხატავდა უკმაყოფილებას მსაჯის გადაწყვეტილებების გამო. ის და მისი პარტნიორი **კრის ჰაგარდი** დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ. დისკვალიფიკაცია რუსისთვის ერთეულთა თანრიგზეც გავრცელდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:10
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოყენება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608